ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

21 — 22 მაისი, 2011 №119 (5500) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ „სერვანტესი“

8 ლარი

16 მაისიდან 30 მაისამდე






## ჩვენ საქართველოს გათავისუფლებას ვიწყებთ!

რას აპირებს სახალხო კრება

გვ.12



## ხელისუფლებას სამხედრო ალლუმის ჩატარების უფლება არა აქვს

გვ.5

## ეკლესიაში ქალი შარვლით არ უნდა შევიდეს!

გვ.7





გვ.4

## ფეისბუქდამოკიდებული არა ვარ

გია ხუროშვილი დაოჯახდა

## კოდორის ხეობა რუსი გენერლის დახმარებით შევინარჩუნეთ

გვ.3

რა პირობა შეუსრულეს სვანებს ყაბარდოელებმა



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## გოჩა კაპანაძე 17 თეატრიდან მიიღო შეთავაზება

გვ.8



გოდერ ი ჩოხელს რუსთაველის თეატრში დადგამენ

ISSN 1987-9385

## კვირის ქრონიკა



გვ.2

# სერგეი მირონოვი თანამდებობიდან გადააყენეს

რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერი სერგეი მირონოვი თანამდებობიდან გადააყენეს. აღნიშნულის შესახებ „რია ნოვოსტი“ იტყობინება.

პარლამენტის ზედა პალატიდან სერგეი მირონოვი სანქტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრებამ გაიწვია. რუსული მედიის ცნობით, მირონოვის გაწვევას 43-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხუთი კი წინააღმდეგი წავიდა.

კენჭისყრამდე მირონოვმა განაცხადა, რომ სპიკერის სავარძელს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის სავარძლით შეცვლის.

მან საქალაქო პარლამენტის შენობა კენჭისყრამდე დატოვა.

სერგეი მირონოვის ნაცვლად ფედერაციის საბჭოს სპიკერის მოვალეობას ფედერაციის საბჭოს ვიცე-სპიკერი ალექსანდრე ტორშინი შეასრულებს.

მირონოვის თანამდებობიდან გადაყენებას წინ ხანგრძლივი კონფლიქტი უძღოდა მმართველ პარტია „ედინაი როსიასთან“.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერის თანამდებობიდან მირონოვის გადაყენება ქვეყნის ხელმძღვანელობასთან იყო შეთანხმებული.

სერგეი მირონოვი რუსეთის ფედერაციის საბჭოში პეტერბურგის პარლამენტს 2001 წლიდან წარმოადგენდა.

# რა კავშირი აქვს გამსახურდიას ბენ ლადენთან



ამ კვირაში უსამა ბენ ლადენის სიკვდილის ამბავი კიდევ აქტუალური გახდა. ამერიკის სპეცსამსახურების ყოფილი აგენტი ბერკან იაშარი ამტკიცებს, რომ ის 2006 წლის 26 ივნისს საკუთარი სიკვდილით მოკვდა.

მსოფლიოს პირველი ტერორისტის სიკვდილზე, ალბათ, კიდევ ბევრი სკანდალური ცნობა გავრცელდება. იაშარის განცხადება ჩვენთვის



სხვა რამით იყო მნიშვნელოვანი.

ყოფილი აგენტის მტკიცებით, საქართველოს პირველი პრეზიდენტი და უსამა ბენ ლადენი გროზნოში ერთ სახლში ცხოვრობდნენ.

იაშარი წარმოშობით ჩეჩენია. ის გარკვეული დროის მანძილზე ჯოხარ დუდაევის იდეოლოგი იყო.

მისი თქმით, ის 1992 წელს გროზნოში პირადად შეხვდა ბენ ლადენს. შეხვედრა იმ სახლში შედგა, სადაც გამსახურდიას ოჯახი ცხოვრობდა.

იაშარის ინფორმაციას სისულელეს უწოდებს საქართველოში ჩეჩნური დიასპორის თავკაცი ხიზრი ალდამოვი. მისი თქმით, ბენ ლადენი გროზნოში არასდროს ყოფილა.

# ოქრო მოსკოვში ჩავიდა



საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ერთ დროს ანტირუსულობის სიმბოლოდ აღიქმებოდა, ახლა კი ყველა იმის მტკიცებაშია, რომ ოქრუაშვილი პრორუსული ძალაა.

ამ დღეებში ქართულმა ტელეკომპანიებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ოქრო მოსკოვში ჩავიდა. ეს ინფორმაცია ქართული პარტიის პრესსამსახურმა უარყო.

თუმცა, ძალიან მალე რუსულმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი რუსეთში ქედის მოსახრელად ჩავიდა. მას სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა უნდა“.

— საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი, რომელიც სამშობლოდან რამდენიმე წლის წინ წავიდა და საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო, მოსკოვში ჩავიდა. მის მოსკოვში ვიზიტამდე კი მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციონერებმა ქვეყანაში მოსალოდნელი რევოლუცია დააანონსეს, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა მოხდეს, — ნათქვამია სტატიაში.

ჟურნალისტი ასევე იხსენებს, რომ ეს რუსეთის დახმარებით ოპოზიციის მიერ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის მესამე მცდელობაა და ოქრუაშვილამდე მოსკოვთან მოლაპარაკებებს სხვა ქართველი პოლიტიკოსები — ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი მართავდნენ.

— ჯერჯერობით უცნობია, საქართველოს ექსთავდაცვის მინისტრი მხოლოდ რუსულ სპეცსამსახურებთან კონსულტაციით შემოიფარგლება თუ რუსეთი ცხინვალის გავლით მის თბილისში ჩასვლასაც უზრუნველყოფს. ცოტა ხნის წინ ოქრუაშვილმა პირობა დადო, რომ 21 მაისს საქართველოს დედაქალაქში იქნებოდა, — წერს სტატიის ავტორი.

გამოცემა ოქრუაშვილსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებებს გასაკვირს უწოდებს, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ყოფილმა მხარდამჭერმა ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ „რუსებს ფეკალური მასის დალევაც შეუძლიათ“ და ოსეთიდან რუსული სამშვიდობოების გაყრით იმუქრებოდა.

— როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოსვლის ძლიერმა სურვილმა ოქრუაშვილის მეხსიერება შეამოკლა და რაღაცები დაავიწყა, — ასე ასრულებს ავტორი სტატიას საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილზე.

# ებრალიძე ქართული ოპოზიციის დაფინანსებას უარყოფს



საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი ლიდერი ქართული ოპოზიციის დაფინანსებას უარყოფს.

როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს სპეცსამსახურების მიერ დამონტაჟებულია და საჩვენებლად მზადდება ფსევდოდოკუმენტური ფილმი, რომლის მიზანია მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ქართული წარმომავლობის რუსი ბიზნესმენები საქართველოში ოპოზიციური აქციების დაფინანსებაში მონაწილეობენ.

— საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ საქართველოს ხელისუფლების ყველა პროვოკაციული განცხადება იმის თაობაზე, რომ კონგრესი აფინანსებს ოპოზიციის საქმიანობას, მოკლებულია ყველა საფუძველს. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ გივი თარგამაძემ, რომელიც საქართველოს პარლამენტის დეპუტატია, სახელისუფლებო პარტიიდან, სიუჟეტში, რომელიც ნაჩვენები იქნა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერში, უკვე სცადა, დაედანაშაულებინა კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე ებრალიძე მუხროვანის ამბოხის მომზადების მონაწილეობაში. ებრალიძის სარჩელის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადასტურა, რომ გივი თარგამაძემ ნამდვილად იცრუა საჯაროდ, მაგრამ ამისათვის პასუხი არ უნდა აგოს. ამჟამად მზადდება მეორე სიცრუე, — ნათქვამია განცხადებაში.

# შაშიაშვილმა ხელისუფლება ამხილა



პოლიტიკური გაერთიანება „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა ამ კვირაში მედიას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ანალიზი გააცნო.

როგორც თემურ შაშიაშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა, კვლევისთვის საჭირო მასალებად გამოყენებულია ოფიციალური მონაცემები, სტატისტიკის დეპარტამენტისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები და აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები.

კვლევების მიხედვით, საარსებო მინიმუმი ოთხსულიანი ოჯახისთვის არის 256 ლარი, ხოლო აშშ-ში ერთსულიანი ოჯახისთვის — 1450 ლარი.

როგორც შაშიაშვილმა განმარტა, ამ გაანგარიშებით ხელისუფლება აღიარებს, რომ რიგით ქართველს შეუძლია, 22.7-ჯერ ნაკლები დანახარჯით შეინარჩუნოს ჯანმრთელობა, დაიკმაყოფილოს სულიერი და კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებები, დაიცვას ჰიგიენური ნორმები და გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, ვიდრე ეს ამერიკაშია შესაძლებელი.

კვლევების მიხედვით, საქართველოს მოქალაქის საშუალო ხელფასი 1986 წელს 180 მანეთს შეადგენდა, რითიც მას 90 კილოგრამი ხორცის ან 90 კილოგრამი პურის ან 900 ლიტრი ბენზინის და ან 600 ცალი სახელმძღვანელოს ყიდვა შეეძლო. 2010 წლის მონაცემებით, საშუალო ხელფასი 420 ლარს შეადგენს, რითიც მნიშვნელოვნადაა შემცირებული მისი მსყიდველობითი უნარიანობა.

თემურ შაშიაშვილის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით საზოგადოების ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯებით რეიტინგში 170 ქვეყანას შორის საქართველო იემენთან, ტოგოსთან და ერითრიასთან ერთად 149-152-ე ადგილზეა, ეკონომიკური განვითარების დონით კი — პოსტსაბჭოთა 15 სახელმწიფოს შორის — მე-11 ადგილზე.

როგორც შაშიაშვილმა განმარტა, 2003 წლიდან 2010 წლამდე საქართველოში სურსათზე ფასებმა 120 პროცენტით მოიმატა, ბუნებრივი აირის ფასი 4-ჯერ გაიზარდა, ელექტროენერგიის ღირებულებამ კი 1.6-ჯერ მოიმატა. ამრიგად, 2010 წლის დეკემბრის პენსიის მსყიდველობითი უნარი 2003 წლის დეკემბრის ფასებთან მიმართებით მხოლოდ 40-42 ლარის ეკვივალენტურია.

კვლევაში გამოყენებულია როგორც ოფიციალური დოკუმენტები, ასევე სპეციალისტებისა და ექსპერტების — ლადო პაპავას, პაატა კოღუაშვილის, თენგიზ ურუშაძის, ანზორ თოთაძისა და სხვათა 2010-2011 წლებში გამოთქმული და გამოქვეყნებული მოსაზრებები და შეხედულებები.

შორენა მარსაგიშვილი

# ისრაელის ნაწილმა საქართველოს „მინი-ბოიკოტი“ გამოუცხადა

ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო ისრაელი ჩვენზე ისევ განაწყენებულია. ნაწყენი ებრაელები საქართველოს სხვადასხვა სიურპრიზს სთავაზობენ.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ისრაელის ქალაქ ჰაიფასა და ჩრდილოეთ ოლქის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ საქართველოს „მინი-ბოიკოტი“ გამოუცხადა.

რუსეთში ბაზირებულ საინფორმაციო პორტალ „იზრუსის“ ცნობით, პალატის ხელმძღვანელობამ ორგანიზაციის წევრები საქართველოში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით არსებული საფრთხეების შესახებ გააფრთხილა და მოუწოდა, რომ „ამ სამხრეთკავკასიურ ქვეყანაში ბიზნესსაქმიანობისაგან თავი შეიკავონ“. პალატის ხელმძღვანელობამ წევრებს ეს გადაწყვეტილება სააკაშვილის მთავრობის „ტრადიციებით“ აუხსნა.

„იზრუსის“ ინფორმაციით, ხსენებული პალატის გენერალურმა დირექტორმა დომ მარომ საქართველოში დაკავებულ ბიზნესმენებსა და უპილოტო საფრენი აპარატების მწარმოებელ ებრაულ კომპანია „ელბიტ სისტემზე“ გაამახვილა ყურადღება.

მისი თქმით, რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელს საქართველომ, ლონდონის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისად, 100 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს, ხოლო კომპანია „ელბიტი“ საქართველოს ასევე 100 მილიონ აშშ დოლარს ედავება.

# კოკოითის დაცვის წევრები ჩაცხრილეს

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მესამედ მოსვლისთვის ემზადება. სანამ ის ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებაზე ჩალიჩობდა, ვლადიკავკაზში მისი დაცვის წევრები ჩაცხრილეს. ინციდენტი ღამის კლუბ „რეტროში“ მოხდა.

რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დაცვის ორი მოკლული წევრიდან ერთ-ერთი, ალიმ



კაბულოვი, კოკოითის ბიძაშვილი იყო, ხოლო ოლეგ იკაევი — დაცვის რიგითი თანამშრომელი.

ამასთან, რუსეთის ფედერაციის გენპროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით საქმე უკვე აღიძრა მკვლელობის მუხლით, რაც სამუდამო პატიმრობასაც ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა რომ ვლადიკავკაზში მცხოვრებმა 35 წლის სპორტსმენმა, გვარად ძაგოევმა, „სტეჩკინის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღიდან 16-ჯერ გაისროლა.

გავრცელებული ინფორმაციით, კოკოითის დაცვის წევრები ვლადიკავკაზში პირად საქმეზე იმყოფებოდნენ და მომხდარი ინციდენტი ოს სეპარატისტთა ლიდერს არ უკავშირდება.

ოსური მედიასაშუალებების ცნობით, მკვლელი მილიციაში უკვე გამოცხადდა. კოკოითის დაცვის თანამშრომლებსა და ვლადიკავკაზის 35 წლის მცხოვრებს შორის შელაპარაკება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოიშვა, რის შემდეგაც კოკოითის დაცვის წევრმა იარაღი ამოიღო. ვლადიკავკაზის მცხოვრებმა მას იარაღი წაართვა და ედუარდ კოკოითის სახელმწიფო დაცვის უფროსის მოადგილე ალიმ კაბულოვი და მისი კოლეგა ოლეგ იკაევი ადგილზე დახოცა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

თეა მარხვაი ე

# კოდორის ხეობა რუსი გენერლის დახმარებით შევინარჩუნეთ

## რა პირობა შეუსრულეს სვანებს ყაბარდოელებმა

**ყოფილი ვიცე-პრემიერი ავთო მარგიანი იმედოვნებს, რომ მალე გაირკვევა, როგორ მოხდა 3 წლის წინ კოდორის ხეობის ჩაბარება. ადგილი, რომელსაც ქართველი მოსახლეობა წლების განმავლობაში იცავდა, 2997 წელს ერთ დღეში გადავიდა მოწინააღმდეგის ხელში.**

როგორ ხდებოდა ხეობის დაცვა, რა პირობა მივიღეთ ყაბარდოდან, რაში დაგვეხმარა რუსი გენერალი, რა შტაბი გაიხსნა ქუთაისში — ამ და სხვა თემებზე ავთო მარგიანი „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ავთო მარგიანი:**

— ომის დასრულების შემდეგ მძიმე დრო დადგა ქვეყანაში. განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში. შიდა დაპირისპირებას დევნილების პრობლემა ემატებოდა და გამოსავალი თითქმის არ ჩანდა. გადაწყდა, შექმნილიყო დასავლეთ საქართველოს სტაბილიზაციის საგანგებო შტაბი. მისი თავმჯდომარე მე ვიყავი. პასუხისმგებელი მდივანი გახლდათ ანზორ ბურჯანაძე.

***— ეს შტაბი სად იყო განთავსებული?***

— ქუთაისში.

***— ქუთაისში რატომ?***

— დასავლეთ საქართველოზე მომუშავე შტაბს თბილისში ხომ არ გავხსნიდით.

***— თქვენი და ბურჯანაძის გარდა, კიდევ ვინ იყო ამ შტაბში?***

— მაშინ პრიორიტეტული დასავლეთ საქართველოს დაწყნარება იყო. ვინც კი მოწინავე ადამიანი იყო იმ პერიოდში ხელისუფლებაში, ყველა იქ გახლდათ. იმავე პერიოდში დღის წესრიგში აქტიურად იდგა დალის ხეობის შენარჩუნების საკითხი. სოხუმის დაცემიდან რაღაცა დროის შემდეგ მოწინააღმდეგემ დალის ხეობაზე, რომელსაც კოდორსაც ეძახიან, მიიტანა იერიში.

***— დალის ხეობა იმ დროისთვის გამაგრებული იყო?***

— მეტ-ნაკლებად დაცული იყო. ხეობის დაცვაზე ზრუნვა ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე დავიწყეთ. დალის ხეობას განსაკუთრებით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ჩვენზე უკეთ იცოდა მოწინააღმდეგემ. ვიცოდით, რომ ისინი ადრე თუ გვიან შტურმს განახორციელებდნენ. ამიტომ ყველაფერს ვაკეთებდით მის შესანარჩუნებლად.

***— კონკრეტულად რას აკეთებდით, იარაღს არიგებდით?***

— იარაღიც დავარიგეთ. მაგრამ მხოლოდ იარაღის დარიგება საკმარისი არ იყო. პირადად მე გამოვედი ინიციატივით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მოემზადებინათ.ჩვენ მათ ვასწავლიდით იარაღის გამოყენებას.

***— სვანებს რაში სჭირდებოდათ ამის სწავლება?***

— ომი და იარაღის გამოყენება სვანებმა კი კარგად იცოდნენ, მაგრამ მაინც საჭირო იყო პატარა ინსტრუქციები და წვრთნები. სხვა თუ არაფერი, შეთანხმებულად უნდა ემოქმედათ, ცალ-ცალკე ხომ არ დაიწყებდნენ საქმის კეთებას. ამ მიზნით იქ დავაფუძნეთ ლაშქარი.

***— რა ლაშქარი დააფუძნეთ?***

— სახალხო ლაშქარი. პირველად მისი ხელმძღვანელი იყო ზურაბ არღვლიანი. მერე სახალხო ლაშქარს სათავეში ჩაუდგა ემზარ კვიციანი. მე გახლდით სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე.

***— რა სამხედრო საბჭოს ედექით სათავეში? იმ დროისთვის ხომ საქართველოში სამხედრო საბჭო აღარ ფუნქციონირებდა?***

— მე დალის ხეობის სახალხო ლაშქრის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე გახლდით. შტაბის უფროსად დავნიშნეთ ნუგზარ ფანგანი. იმ თანამდებობაზე ახლაც ვარ.

***— კოდორის ხეობა ჩვენი აღარ არის, შესაბამისად, აღარც სახალხო ლაშქარია. თქვენი როგორღა ხართ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე?***

— კოდორი ისეთ თავის ადგილზეა, იმ ლაშქრის წევრებიც ცოცხლები არიან და მეც ჩემს თანამდებობაზე ვარ. როგორც გითხარით, ხეობის დაცვისთვის ვემზადებოდით. იმ ომში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ბოევიკები. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა გზით შემოდიოდნენ, მათ შორის — საცალფეხო ბილიკებიდანაც. დალის ხეობაშიც გადმოდის ერთი უღელტეხილი ჩრდილოეთ კავკასიიდან.

***— მარუხის უღელტეხილი გაქვთ მხედველობაში?***

— დიახ, მარუხის უღელტეხილი. იქიდან თავისუფლად შეიძლებოდა გადმოსულიყვნენ ჩეჩენი ბოევიკები.

***— მაინცდამაინც ჩეჩნები რატომ?***



— ყველაზე აქტიურები ეგენი იყვნენ. ასეთი რამე რომ არ მომხდარიყო, ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ კი ყაბარდო-ბალყარეთში ვაფრინეთ კაცი. იქ საგანგებო მისიით გაიგზავნა გადასარევი ქართველი კაცი, კიმი ჯაჭვლიანი. ეს ადამიანი კოდორის ხეობიდან გახლავთ. ჩავიდა კიმი ყაბარდოში და იქაურებს მოელაპარაკა, რომ ისინი ჩეჩნებს კოდორის მიმართულებით არ გადმოუშვებდნენ.

***— რა თქვეს ყაბარდოელებმა?***

— რა ქნეს და ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს, გააფრთხილეს ჩეჩნები, აქ არავინ დაგინახოთო.

***— ისე, როგორც ამბობენ, სვანებსა და ყაბარდოელებს ბევრი საერთო აქვთ. მათ, სვანების მსგავსად, კუბდარიც კი სცოდნიათ.***

— საკვირველი ის იქნებოდა, რომ არ სცოდნოდათ.

***— რატომ იქნებოდა საკვირველი?***

— იმიტომ რომ ყაბარდო-ბალყარელები და ყარაჩაელები ჩვენი ნათესავები არიან.

***— რანაირი ნათესავები არიან?***

— რანაირი და გამუსლიმანებული სვანები არიან. სამამულო ომის დასრულების შემდეგ, როგორ გგონიათ, რატომ დაგვაბრუნა სტალინმა უკან სვანები? მხედველობაში ქლუხორისა და იალბუზის რაიონები მაქვს. იცოდეთ ყველამ, რომ იქ სოფლებს სვანური სახელები ჰქვია.

***— რა სახელები?***

— მაგალითად, უშგული.

***— ხუმრობთ თუ მართალს ამბობთ?***

— რას ვხუმრობ, კაცო. ამაზე ხუმრობა როგორ შეიძლება. იქ ორ ადგილს უშგული ჰქვია, ერთ ადგილს — კუბრონი, რაც სვანურად შესაკრებს ნიშნავს. ბალყარეთი, ბალყარ ნიშნავს თხმელას. იმ ადგილებში ამ ჯიშის ტყეებია გავრცელებული. ყველამ იცის, რომ ჩვენ იქიდან ვართ. ყველამ იცის, რომ ის სვანეთი იყო. სტალინმა იმიტომ დააბრუნა იქ სვანები.

***— თუ დაგაბრუნათ, უკან რატომღა წამოხვედით?***

— ვინ წამოვიდა უკან? ხრუშჩოვმა გამოგვერეკა იქიდან. არადა, ეს ტერიტორიები საქართველოსი იყო. ჩრდილოეთ კავკასია კი იყო, მაგრამ ჩვენი გახლდათ. სვანეთის იყო აფხაზეთიც. იქ ყველაფერს თითქმის სვანური სახელი ჰქვია. სოხუმი, იგივე ცხუმი, სვანურად ნიშნავს თხმელას. გაგრა ნიშნავს კაკლნარს. მერხეული ნიშნავს ჭინჭარს. წებელდა იგივეა, რაც წაბლი. სვანებზე ძალიან საინტერესო რამეებს წერენ სხვადასხვა ისტორიკოსები და მოგზაურები. სტრაბონი წერს, რომ დიოსკურიის მახლობლად სვანები ცხოვრობენ. 200-ათასიანი არმიის გამოყვანა შეუძლიათ. თითქმის ერთნაირი მებრძოლები არიან მამაკაცები და დედაკაცები. კავკასიის მაღალი მთები უჭირავთ და თითქმის ყველა მეზობელ ტომს განაგებენ. ამაზე ბევრმა ვინმემ დაწერა.

***— მოდით, ისევ კოდორის ხეობას მივუბრუნდეთ. რა პროცესები განვითარდა იქ ომის დასრულების შემდეგ?***

— სოხუმის დაცემის შემდეგ მათ ხეობის აღებაც სცადეს. მახსოვს, სერიოზული შეტევა განახორციელეს ჩვენზე სომხებმა და ჩეჩნებმა.

***— აკი ჩეჩნები არ გადმოუშვეს ყაბარდოდანო?***

— მერე, ვინ გადმოუშვა?! შეტევაში ის ჩეჩნები მონაწილეობდნენ, რომლებიც აფხაზეთში უკვე იმყოფებოდნენ. ყაბარდოელებმა პირობა კაცურად შეასრულეს. ჩეჩნებისა და სომხების შეტევა ძალიან სერიოზული იყო. ამ ოპერაციაში 2500 ბოევიკი მონაწილეობდა. იმ დროს სამშვიდობო ჯარები უკვე შემოყვანილია. სამშვიდობო ძალების სარდლად დანიშნულია გენერალი იაკუშევი. ის ძალიან კარგი კაცია. სხვათა შორის, მისი შვილიშვილის ნათლია ვარ. ის თბილისის პატარა სამებაში მოვნათლეთ. მისი ქალიშვილის ქორწილშიც ვარ ნამყოფი. ეს ქორწილი მინსკში იყო.

***— მინსკში რატომ, იაკუშევი ბელორუსია?***

— არა, რუსია. უბრალოდ, მისი ქალიშვილი გათხოვდა მინსკში. ქორწილში ჩავედით თენგიზ ჩაჩიბაია, მე და მურად ანჯაფარიძე.

***— და რატომ დააფასეთ ასე ძალიან?***

— იმიტომ, რომ კარგი კაცია.

***— რით გამოიხატებოდა მისი კარგი კაცობა?***

— მან შეგვანარჩუნებინა კოდორის ხეობა.

***— მან როგორ შეგვანარჩუნებინა?***

— როგორ და იარაღი გადაგვამალვინა. ბრძანების თანახმად, მას უნდა ამოეღო იარაღი მოსახლეობიდან, მაგრამ არ ამოუღია.

***— იქნებ არ იცოდა?***

— ძალიან კარგად იცოდა. უბრალოდ, კარგი ადამიანი იყო.

***— ხეობაში, ალბათ, ბევრი იარაღი იყო...***

— უამრავი. ეს იარაღი გადავმალეთ და მტრის მოსაგერიებლად ბევრჯერ გამოვიყენეთ. ამაში იაკუშევი გვეხმარებოდა. ის ხეობას საკვები პროდუქტებითაც ამარაგებდა. ორსული ქალები ვერტმფრენით გადაჰყავდა სოხუმში.

***— სოხუმში რომ ჩადიოდნენ, პრობლემები არ ექმნებოდათ?***

— ვინ შეუქმნიდა პრობლემას. სამშვიდობოების სარდალი ხელმძღვანელობდა მათ ჩაყვანას. გეუბნებით, რომ ეს იაკუშევი კარგი ადამიანია. ერთი პერიოდი საქმე იქამდეც მივიდა, რომ გენერალმა გვითხრა, მოდით და გალი გააკონტროლეთო. ეს იქაურებს ძალიან კარგად ახსოვთ. ამ საქმეში ჩართული იყვნენ ოთარ ფაცაცია და ცხონებული თამაზ ნადარეიშვილი. დავიწყეთ ამ საქმის გაკეთება, მაგრამ ხალხი ვერ შევკრიბეთ.

***— რას ნიშნავს, ხალხი ვერ შეკრიბეთ?***

— არავინ გამოჩნდა იმის მსურველი, რომ გალში დაბრუნებულიყვნენ. მხედველობაში გალის არამცხოვრებლები მყავს. სხვა რაიონებიდან წამოსულები გვჭირდებოდა. ძალიან ცოტა შევკრიბეთ.

***— ცოტა — რამდენი?***

— 500 კაცამდე შევაგროვეთ. ამის გამო ჩაიშალა. კოდორის ხეობის მმართველობა დაიწყო. ჯერ მართავდა სახალხო ლაშქარი, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა იყო გაწევრიანებული.

***— რა კრიტერიუმით არჩევდით ლაშქარში გასაწევრიანებელ ხალხს?***

— ვაჟკაცები უნდა ყოფილიყვნენ. იქ ლომებს ვაწევრიანდებდით. ერთ დღეს სომხებმა შემოგვიტიეს. შეტევა 2 კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მერე გაყარეს ჩვენებმა. მაგრამ სომხებმა დიდი ზარალი ნახეს, ბევრი ბოევიკი დაეხოცათ.

***— ბაგრამიანის ბატალიონი იმ ომში ქართველებს განსაკუთრებული დაუნდობლობით ექცეოდა. რატომ ჰქონდათ იქაურ სომხებს ქართველების მიმართ ასეთი აგრესია?***

— მართალი რომ გითხრათ, ეს დღემდე ვერ გამიგია. როგორც ჩანს, იქაურ სომხებს უნდოდათ აფხაზეთში გაბატონება და ქართველებმა ამის საშუალება არ მისცეს. ამაზე იყვნენ დაბოლმილები. მათ გაბატონება ახლაც უნდათ. ახლაც არიან დაბოლმილები, ოღონდ — აფხაზებზე. რაც შეეხება ხეობას, როცა საქართველოში მეტ-ნაკლებად ყველაფერი მიწყნარდა, შემოიღეს რწმუნებულის ინსტიტუტი. პირველ რწმუნებულად იქ დაინიშნა ივერი ჭელიძე. მისი მოადგილე იყო ემზარ კვიციანი. ხეობაში ვითარება ნელ-ნელა მოგვარდა. ისე კარგად მიდიოდა ყველაფერი, მაგრამ ვინ გაცალა. ყველამ ვნახეთ, რაც მოხდა სამი წლის წინ. იმედი მაქვს, ოდესმე ეს ფაქტი გამოძიებული იქნება. ასეთი ღალატი რომ არა, დალის ხეობა ახლაც ჩვენი იქნებოდა. იცით, რა კარგი და მშვიდი ცხოვრობა იყო ხეობაში?!

***— მშვიდი ცხოვრება როგორ იყო, როცა ინციდენტები ხშირად ხდებოდა?***

— მერე რა, ინციდენტები თბილისშიც არის.

***— გაეროს დამკვირვებლების გატაცებაზე რას იტყვით?***

— ეგ კრიმინალების საქმეა, მოსახლეობა რა შუაშია.

***— ამბობდნენ, რომ კრიმინალების თავშესაფარი იყო ხეობა.***

— ეს იყო სიცრუე, ვიღაცებმა მობოდეს. თუ ამბობენ, დაასახელონ.

***— იყო ასეთი ვერსია, რომ მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან იყრიდნენ იქ თავს კრიმინალები.***

— სისულელეა. მე ვაკონტროლებდი იქაურობას. ეგღა მაკლდა, კრიმინალები ხეობაში გამეჭაჭანებინა. ერთი პერიოდი ჩემ წინააღმდეგ კომისია შეიქმნა. ამ კომისიას გია ბარამიძე ედგა სათავეში. ბოდავდნენ და რაღაცებს ჩხრეკდნენ. არაფერი გამოუვიდათ. ამის გამო დალის ხეობაში ორი მიტინგი გაიმართა. მესამედ აქ ჩამოვიდნენ. ისეთი ამბებს დატრიალებას აპირებდნენ, მტრისას.

***— რატომ არ დაატრიალეს?***

— მე გავაჩერე. მაგნაირი ლომი და ვაჟკაცი ხალხი არსად ცხოვრობს საქართველოში.

***— სამწუხაროდ, ეს ხალხი დღეს თავშესაფრებში ცხოვრობს, ხეობა კი სხვებს აქვთ დაკავებული.***

— არა უშავს, მალე დავაბრუნებთ ამ ლომებს თავიანთ სახლებში.

***— მალე — როდის?***

— საჯაროდ ამ ინფორმაციის გაჟღერება არ შემიძლია.

***— რა ვითარებაა დღეს იქ?***

— სიმშვიდეა. იქ ხალხი ცხოვრობს, ოღონდ ეგაა, რომ იქაურობას ჩვენ ველარ ვაკონტროლებთ. ბევრი სისულელე ჩავიდინეთ ამ ხეობის მიმართ.

***— რა სისულელები?***

— გილაევის ხალხს რომ უნდოდა შესვლა.

***— რატომ — უნდოდა, ხომ შევიდნენ?***

— შევიდნენ და მეტი ვერაფერი ქნეს. ვითომ აფხაზეთს აბრუნებდნენ. დღესაც აფხაზები და რუსები მომხრე არიან, რომ იქ ქართველები დაბრუნდნენ.

***— ბრუნდებიან?***

— ნელ-ნელა ბრუნდებიან.

***— სახიფათო არ არის?***

— არა, არაფერს ერჩიან.

***— ჩვენმა ხელისუფლებამ მოღალატეებად რომ გამოაცხადოს?***

— ვინც მათ მოღალატეებად გამოაცხადებს, თავად იქნება მოღალატე. როცა ხეობაზე ხმა ამოვიღე, მეც მოღალატედ გამომაცხადეს.

***— ვინ და როდის გამოგაცხადათ მოღალატედ?***

— 2006 წელს კოდორში რაღაც გაუგებრობა მოხდა. მე დავუჭირე იქაურებს მხარი და გამომაცხადეს მოღალატედ. ეს გივი თარგამაძემ გააკეთა. მოღალატე იმიტომ მიწოდა, რომ ემზარ კვიციანს დავუჭირე მხარი. ამათ ისიც მოღალატედ გამოაცხადეს. ეს უნამუსობაა. ემზარი და ღალატი სად გაგონილა. ის არის ვაჟკაცი, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია. ვაჟკაცები და რაინდები მარცხდებიან მოღალატეებისა და ნაცარქექიებისგან. სადაც ერთი რაინდი გამოჩნდება, იქ ნაცარქექიებიც ჩნდებიან. მაგას ყველაზე დიდი სახელი დაარქვა დიდმა ილიამ. „ყველა ბუზი კი ბზუისო, მაგრამ ფუტკართან ყველა ტყუისო". ბაბაჯოს შემთხვევაშიც ასეა.

***— რატომ აქვს ეს „კლიჩკა" კვიციანს?***

— ეს „კლიჩკა" არ არის. ბაბაჯო სვანურად ნიშნავს ბაბუას. მოფერებით ეძახიან ხოლმე. ბაბაჯომ ისეთი კარგი ლექსი დაწერა დევნილობაში.

***— რომელი ლექსი, ადრე რომ მოგვიყევით? ეს ლექსი ხომ მაგას არ დაუწერია.***

— მერე რა, ხომ გადააკეთა. აი, როგორია ეს ლექსი: „გადაეცით ყველა სვანებს, მათი წმინდა ვალი არის, მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას კოდორი და დარიალი".მე თუ მკითხავთ, გადაკეთებასაც დიდი მოხერხება უნდა. ჩემი მხრიდან დავწერე ბაბაჯოზე ლექსი: „რაც არ უნდა იყეფონ, ბაბაჯო მაინც კარგია, ვისაც ეს ვერ გაუგია, ჭკუა დაუკარგია".

ნანა მიშელაშვილი

# ფეისბუქდამოკიდებული არა ვარ

## გია ხუროშვილი დაოჯახდა

**მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი დაოჯახდა. მისი რჩეული იურისტია და შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს. გია ხუროშვილი ამბობს, რომ მეუღლე ფეისბუქის საშუალებით არ გაუცვნია, თუმცა, მეგობრების ნაწილმა მის ცხოვრებაში არსებული სიახლე სწორედ ფეისბუქიდან შეიტყო. ხუროშვილი ხუმრობს, რომ ფეისბუქმა „გაყიდა“.**

რისი მომზადება შეუძლია მთავრობის საპარლამენტო მდივანს, რატომ გამოიქცა მუსიკალური სკოლიდან და ვის გაუტეხა თავი? **„ახალი თაობა“ გია ხუროშვილს ესაუბრა.**

— ***ვინ არის თქვენი რჩეული?***

— ის ადამიანია, რომელსაც ამდენი ხანი ვეძებდი.

— ***თქვენი მეუღლე რა პროფესიისაა?***

— იურისტია. ერთი პროფესიის წარმომადგენლები ვართ.

— ***როგორ გაიცანით?***

— ეს იმდენად ბუნებრივად მოხდა, რომ დიდი ისტორიული თავგადასავლები არა გვაქვს. მოკლედ, ამაზე ბევრი საუბარი არ მინდა.

— ***რაც შეეხება თქვენი გვარის ისტორიას, ხუროშვილები საიდან ხართ?***

— ხუროშვილების ისტორია მოდის „ხუროდან“. ეს გვარი დაკავშირებულია ეკლესიის მშენებლობასთან — ხუროთმოძღვართან. ჩვენს სოფელში არსებობს ეკლესია, სადაც წინამძღოლი იყო ხუროშვილი. გვარი შენებასთან არის დაკავშირებული. როდესაც უცხოელებთან მაქვს ურთიერთობა, ხშირად ვხუმრობ, რომ ტერნერი ვარ. მთლად ჩემი გვარის პირდაპირი თარგმანი არ არის, მაგრამ, როდესაც ხუროშვილის დამახსოვრება უჭირთ, ინგლისური ანალოგიის თანხლებით ვაწვდი.

— ***ხუროშვილები დიდი გვარი ხართ?***

— ხუროშვილები და ხუროძეები ერთი გვარის განაყოფია. ძალიან დიდი გვარი არ არის, თუმცა, არც პატარაა. ხუროშვილები მხოლოდ ერთ რეგიონში არ ცხოვრობენ, ცხოვრობენ შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში. მოკლედ, ამ გვარის წარმომადგენლები საკმაოდ საინტერესო ხალხია.

— ***საგვარეულო შეკრებები გაქვთ?***

— ერთი ლამაზი ისტორია უნდა მოგიყვეთ: სრულიად უცნობმა ადამიანმა წერილი გამომიგზავნა. ეს იყო პედაგოგი, ქალბატონი თამარ ხუროშვილი, რომელიც ნინოწმინდაში საქმიანობდა. თბილი მოკითხვის შემდეგ წერილი ასე მთავრდებოდა: „ჩემ მიერ გაკეთებული ერთი ცალი ჩურჩხელა და ერთი ჭიქა ღვინო ყოველთვის ექნება თამარა ბებოს შენთვის შენახული“. სამწუხაროდ, ეს ისტორია ტრაგიკულად დასრულდა, რადგან მისი გაცნობა ვერ მოვახერხე — თამარა ბებო გარდაიცვალა. ასეთი სითბო და მოფერება იციან ხუროშვილებმა. რაც შეეხება შეკრებას, ჩვენი გვარის წარმომადგენლებმა საგვარეულო შეკრებას ვერ დავუდეთ საფუძველი, ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ტიპის შეკრებაზე არ ვყოფილვარ. ბოლო პერიოდში, სოციალური ქსელის მეშვეობით ახალ-ახალი შეთავაზებები გამოჩნდა.

— ***სოციალური ქსელი ერთმანეთთან დაკავშირებაში გეხმარებათ?***

— კი. ერთ-ერთმა ხუროშვილმა ფეისბუქსზე დადო — ხუროშვილები ფეისბუქზე და საშუალება გვაქვს, ვირტუალურად გავიცნოთ ერთმანეთი, მათ შორის, საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი გვარის წარმომადგენლები.

— ***საერთოდ, რამდენი მეგობარი გყავთ ფეისბუქზე?***

— დაახლოებით 500. არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც სოციალურ მედიას იყენებს, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებას, ურთიერთობენ საჯარო თემებზე. არიან ადამიანები, რომელთაც ფეისბუქი გამოყენებული აქვთ ძალიან პრივატულ წრეში. მე ამ კატეგორიას მივეკუთვნები.

— ***ფეისბუქს მიჯაჭვული ხართ?***

— არა, ფეისბუქდამოკიდებული არა ვარ, თუმცა, დღეში ერთხელ ვცდილობ, შევიხედო.

— ***მერე, საინტერესო ამბებს ხშირად იგებთ ფეისბუქის მეშვეობით?***

— ჩემი მეგობრები ჭორიკნები არ არიან.

— ***არ არსებობს, რომ 500 ადამიანიდან რამდენიმე მაინც არ იყოს ჭორიკანა.***

— მოდით, მაშინ დავაზუსტოთ, ჩემი მეგობრები არ არიან ბოროტად ჭორიკნები. ისინი კეთილი ჭორიკნები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის პოზიტიურ ჭრილში აშუქებენ ამბავს.

— ***ფეისბუქზე უკვე იციან, რომ დაოჯახდით?***

— მე მგონი, ფეისბუქმა გამყიდა.

— ***რატომ, მეუღლის სურათი გიდევთ?***

— კი. ეს სიახლეა ჩემს ცხოვრებაში, თუმცა, ეს გადაწყვეტილება ფეისბუქის საშუალებით არ მიმიღია. ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც სოციალური მედია ორ ადამიანს ერთმანეთთან აკავშირებს.

— ***თქვენს მეუღლეს დღის განმავლობაში ფეისბუქის საშუალებით ეკონტაქტებით?***

— არა, იქიდან გამომდინარე, რომ იმ დაწესებულებებში, სადაც ჩვენ ვსაქმიანობთ, შეზღუდვებია. საჯარო სამსახური არ არის ის დაწესებულება, სადაც ადამიანებს იმის დრო უნდა ჰქონდეთ, რომ სოციალური ქსელით ისარგებლონ.



— ***თქვენი მეუღლე სად მუშაობს?***

— შინაგან საქმეთა სამინისტროში.

— ***რა თანამდებობაზე?***

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი.

— ***არ მჯერა!***

— საჯარო მოხელეა...

— ***რისი გაკეთება შეგიძლიათ, მარტო ყოფნის პერიოდში შეგეძლოთ თუ არა სადილის მომზადება?***

— ყველაფრის გაკეთება შემიძლია. არასოდეს მიცდია ტორტების გაკეთება და ხაჭაპურის გამოცხობა, მაგრამ, რასაც ჰქვია მამაკაცური საჭმელების მომზადება, ყველაფერის გაკეთება შემიძლია. შემიძლია მწვადის შეწვა, ხაშლამის მოხარშვა, ლობიოს გაკეთება ქოთანში, კარტოფილის შეწვა.

— ***ხინკალი გაგიკეთებიათ?***

— ერთხელ ვცადე და არ გამომივიდა.

— ***რამდენი ნაოჭი გაუკეთეთ?***

— ნაოჭი საერთოდ არ გამიკეთებია, ტომარას ჰგავდა. ასე რომ, იქაურობას სასწრაფოდ მომაშორეს.

— ***თქვენ მიერ მომზადებული სადილები მეგობრებს მოსწონთ?***

— საერთოდ, სამეგობროში ცნობილია ჩემ მიერ მომზადებული ლობიო. მცხეთაში, მისაქციელში, მაქვს თიხის ჭურჭელი, რომელშიც ვამზადებ ლობიოს, სადაც პრიორიტეტი ენიჭება ინგრედიენტებს, მწვანილებს, ბულგარულ წიწაკას. არავის ახსოვს, ჩემ მიერ მომზადებული სხვა სადილები, ამბობენ, ხუროშვილთან წავიდეთ ლობიოზეო, მაგრამ, ლობიოზე მოსულები, მერე ყველაფერს ითხოვენ, ლობიოს არ სჯერდებიან.

— ***ღვინის დაყენება შეგიძლიათ?***

— კი. ყოველ წელს 500 ლიტრ ღვინოს ვაყენებ და წლიდან წლამდე მყოფნის. ყურძენს ვყიდულობ და ვწურავ.

— ***საქეიფოდ რომელი ღვინო გირჩევნიათ?***

— მიუხედავად იმისა, რომ ღვინოს ვაყენებ, ღვინოს არ ვსვამ.

— ***საერთოდ?***

— სუფრაზე ერთ-ორ ჭიქა წითელ ღვინოს მივირთმევ, რომელიც მართლა სამკურნალო საშუალებაა და კარგია. ვთვლი, რომ ის ტრადიცია, რომელიც ქართველებს გვახასიათებს, 5-7 ლიტრის დალევა და 5 ჭიქით ერთმანეთის დღეგრძელობა, ზედმეტია. ყოველთვის მაქვს კონიაკი და ვისკი და ზომიერების ფარგლებში მივირთმევ.

— ***თამადობა ხშირად გიწევთ?***

— სუფრებზე, სადაც ნამყოფი ვარ, დაახლოებით 90%-ში თამადა ვარ.

— ***მერე, როგორი თამადა ხართ?***

— მე ვარ თამადა, რომელიც ხშირად იცავს ბალანსს. ჩემი მეგობრები ხშირად ხუმრობენ, რომ ეს არის შოუ, რადგან ყველა მონაწილე სუფრის მსვლელობაშია ჩართული. ეს იმით გამოიხატება, როდესაც თამადა ვარ, სუფრაზე ვაცხადებ კონკურსს საუკეთესო ლექსზე, სიმღერაზე, ცეკვაზე. ჩემი მეგობრებიდან თითქმის ყველა ცეკვავს და მღერის.

— ***ვინც არ მიიღებს კონკურსში მონაწილეობას, როგორ „ისჯება“?***

— თუკი ისეთი ვინმე გამოგვერია, რომ კონკურსში მონაწილეობაზე უარს აცხადებს, ფულადი ჯარიმაა.

— ***რამდენი?***

— ყველა გამოტოვებულ კონკურსში არმონაწილეობისთვის ჯარიმა 10 ლარია.

— ***ამ ჯარიმებით რამდენი გროვდება და რისთვის იყენებთ?***

— ამ თანხას მეორე დღეს „პახმელიაზე“ გამოსასვლელად ვიყენებთ.

— ***დაახლოებით რამდენს აგროვებთ?***

— ისეთი აქტიურები არიან, რომ ყველა იღებს კონკურსში მონაწილეობას და შესაძლოა 10 ლარიც კი არ შეგროვდეს. ეს მეთოდი აღარ ამართლებს.

— ***სუფრიდან ხმაურის გამო ვინმე გაგიძევებიათ?***

— არა. პროფესიული ჩვევა მაქვს, რომ აუდიტორია უნდა ვმართო. ეს ჩემი ლექტორობის პერიოდიდან გამომდინარეობს. არასოდეს სტუდენტი ხელს არ მიშლიდა.

— ***ახლა ლექტორი აღარ ხართ?***

— კი, ახლაც ვარ, თუმცა, ისეთი ინტენსიურობით არ ვასწავლი, როგორც ადრე. წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ სემესტრს ვახერხებ იმ საქმის კეთებას, რომელიც მე ძალიან მიყვარს.

— ***სად ასწავლით?***

— სხვადასხვა უნივერსიტეტში მაქვს მიწვევები, მათ შორის, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტექნიკურ უნივერსიტეტში.

— ***მუსიკალური განათლება გაქვთ?***

— პირველ კლასში, როდესაც მუსიკაზე შემიყვანეს, მასწავლებელმა დედაჩემს უთხრა, სმენა არა აქვსო და ორი კვირის შემდეგ გამომიყვანეს. კოშმარად მახსენდება სოლფეჯიო.

— ***რატომ, თითებში გირტყამდნენ?***

— თქვენ ხუმრობთ, მაგრამ დღემდე მახსენდება ის დიდი სახაზავი, რომლითაც მუსიკის მასწავლებელი დადიოდა და ყველა მოსწავლეს ხვდებოდა.

— ***სახაზავი თქვენც მოგხვედრიათ?***

— არა, სანამ მომხვდებოდა, მანამ გამოვასწარი. მერე მყავდა არაჩვეულებრივი მასწავლებელი, რომელმაც საესტრადო სიმღერები მასწავლა. თუ ძალიან ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამეთვლება, რაღაცის გაკეთება შემიძლია.

— ***დუეტის ჩაწერას ხომ არ აპირებთ რომელიმე ცნობილ მომღერალთან?***

— ასეთ პომპეზურ რამეს არ ვაპირებ, მაგრამ, ბევრი მეგობარი მყავს, რომლებიც დღეს სცენაზე დგანან და მათთან ერთად მიყვარს დუეტების შესრულება, მოლხენა. ამ მხრივ ძალიან გამათამამა ლაშა ღლონტმა.

— ***ცეკვავთ?***

— კი, მე მგონი, ყველა ქართველი ცეკვავს.

— ***გამოდის, რომ სუფრასთან არასდროს ჯარიმდებით, რადგან ცეკვაც გცოდნიათ და სიმღერაც...***

— საერთოდ არ ვამბობ სიტყვას — „ვერა“. მაქსმალურად ვცდილობ, გავაკეთო ის, რაც გასაკეთებელია.

— ***ამორჩეული ნივთები, საათი, აქსესუარები გაქვთ?***

— არაფერი მაქვს ამორჩეული. ერთადერთი, თეფშების კოლექცია მაქვს.

— ***როგორი თეფშების?***

— როცა რომელიმე ქვეყანაში ჩავდივარ, ვცდილობ, იმ ქვეყნის, ქალაქის გამოსახულებით თეფში შევიძინო.

— ***ასეთი სიმბოლოების ამსახველი თეფში ბევრი გაქვთ?***

— საკმაოდ. ზოგიერთი ქვეყნის რამდენიმე ქალაქის გამოსახულებიანი თეფში მაქვს. ეს კოლექცია რამდენიმე ათეულს შეადგენს.

— ***კიდევ რისი კოლექცია გაქვთ?***

— ბავშვობაში მარკების კოლექცია მქონდა. მაშინ ძალიან მოდაში იყო. სამწუხაროდ, ეს კოლექცია აგარაკზე მქონდა და ისე უკვალოდ გაქრა, ვერაფერი გავიგე. არადა, 5 ალბომს შეადგენდა. ასე დავემშვიდობე მას.

— ***ბავშვობაში რაიმე ტრავმა გაქვთ მიღებული?***

— არა.

— ***ხელი-ფეხი მოტეხილი არა გაქვთ?***

— არა, გადავრჩი.

— ***არც თავი გაქვთ გატეხილი?***

— არა.

— ***ჭკვიანი ბავშვი იყავით?***

— სხვათა შორის, მე არ ვიტეხდი, თორემ სხვას ვუტეხდი.

— ***მართლა?***

— საბავშვო ბაღში ერთ ბავშვს გავუტეხე თავი, რომელიც პოლიციელის შვილი აღმოჩნდა. საერთოდ, ბოროტი არ ვიყავი, მაგრამ რაღაცაზე გამაბრაზა და თავი გავუტეხე, თუმცა, სისხლი როდესაც დავინახე, შემეშინდა.

— ***რამდენი წლის იყავით?***

— 3-4-ის. იმ ბაღიდან გამომაძევეს, იქ აღარ მატარეს.

— ***საბავშვო ბაღის გარდა, სხვა დროსაც გაგიტეხიათ ვინმესთვის თავი?***

— არა, თავი არავისთვის გამიტეხია, მაგრამ ჩხუბში მონაწილეობა მიმიღია.

— ***მერე, გალახული თქვენ დარჩით თუ მეორე მხარე?***

— ხან ჩვენ გვლახავდნენ, ხან ჩვენ ვლახავდით. ეს ადრეული ბავშვობის წლებში იყო, თუმცა, ვცდილობდით, რომ აქამდე არ მისულიყო საქმე.

— ***სკოლაში რომელი საგანი არ გიყვარდათ?***

— ხაზვა და ხატვა. აბსოლუტურად უნიჭო ვარ ამ სფეროში.

— ***ორიანი მიგიღიათ?***

— ერთადერთი ორიანი მაქვს მიღებული რუსულ ენაში, რადგან დამავიწყდა, რომ იმ დღეს რუსული ენა მქონდა. ყოველთვის პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი სწავლას. ძალიან ბევრი გაჭირვება გვაქვს გამოვლილი სტუდენტობის პერიოდში, პურზე, შაქარზე რიგები იყო, მაგრამ ლაღი ცხოვრების წესს ჩვენ თვითონ ვადგენდით, რათა ყოფა გაგვეხალისებინა.

— ***მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— საკმაოდ ხმაურიანი და ცელქი, ინიციატივიანი ბავშვი ვიყავი.

— ***ეგ რით გამოიხატებოდა?***

— არც ერთ „შატალოს“ არ ჩამოვრჩენილვარ, პირიქით, თითქმის ყველა „შატალოს“ ორგანიზატორი ვიყავი. ერთ დღეს კლასის დამრიგებელმა მშობელთა კრებაზე გამოაცხადა, უარს ვამბობ ხელფასის მიღებაზე, რადგან ხუროშვილს უნდა გადავურიცხოო. ყველა მშობელი გაოცდა. მასწავლებელმა თქვა, მე არავინ მიჯერებს, ყველა მის სიტყვაზე დადისო. მესამე დღეს მოულოდნელი წერა გვქონდა, განათლების განყოფილებიდან დამსწრე მოდიოდა. მე ცუდად ვიყავი. კლასის დამრიგებელი სახლში მოვიდა, რომ წერას დავსწრებოდი, რადგან კლასის ერთ-ერთი სახე ვიყავი.

— ***ე.ი. კლასში ლიდერი იყავით?***

— შეიძლება, ასე ითქვას. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ სკოლაში არასოდეს ბოროტად არაფერი გაგვიფუჭებია. ამას წინათ ჩემმა შვილმა მკითხა, „შატალოზე“ თუ ყოფილხარო. ჩემი განცხადება მოისმინა მანდატურებთან დაკავშირებით და ეს თემა შემომიტრიალა. ჩემი შვილი მეშვიდე კლასშია. ეტყობა, მის კლასში იყო ამაზე საუბარი. რაც გულწრფელად თავში მომივიდა, ის ვუთხარი — ალბათ, დღევანდელი მანდატურები რომ ყოფილიყვნენ, ვერც ჩვენ წავიდოდით „შატალოზე“-მეთქი. მაგრამ ჩემ დროს, როდესაც ჟუჟუნა ბებოს ხელში ცოცხი ეკავა, თან ალაგებდა და თან ვითომ მანდატური იყო. ცოტა სახალისო დამოკიდებულება გვქონდა.

— ***ჟუჟუნა ბებო ახლაც არის სკოლაში?***

— არ ვიცი, არ მომიკითხავს...

— ***„შატალოზე“ სად მიდიოდით?***

— კინოში, პრემიერაზე.

— ***ისეთი ფილმი თუ იყო, რომელიც „შატალოს“ დროს რამდენჯერმე გაქვთ ნანახი?***

— არა, ჩვენ მხოლოდ პრემიერებზე დავდიოდით.

— ***კიდევ სად მიდიოდით?***

— მუშტაიდის ბაღში, ვაკის პარკში. ჩვენ დროს „მაკდონალდსი“ არ იყო, ფენოვან ხაჭაპურებს მივირთმევდით, მაინცდამაინც არც კოკა-კოლა იყო, ფული თუ შეგვიგროვდებოდა, ლაღიძის წყლების დასალევად მივდიოდით. მოკლედ, ლამაზი ბავშვობა გვქონდა.

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან**

# ხელისუფლებას სამხედრო აღლუმის ჩატარების უფლება არა აქვს

***— ქალბატონო ნანა, ხვალ 21 მაისია. დიდი მოლოდინია საზოგადოებაში ამ დღესთან დაკავშირებით. როგორია თქვენი შეფასებები და რას ელოდებით?***

— საერთოდ, დიდი მოლოდინები იცის ჩვენმა ხალხმა. სურვილია ამ დიდი მოლოდინების ასრულებისა და ამ დიდ მოლოდინებში იგულისხმება, ალბათ, ის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს და ქვეყანაში მოვიდეს ნორმალური ხელისუფლება, მაგრამ 21-ში ხელისუფლების შეცვლის მოლოდინი მე არა მაქვს. თუმცა, შეცვლის პროცესი აუცილებლად დაჩქარდება. როგორც არ უნდა განვითარდეს 21-ში მოვლენები, ხელისუფლების შეცვლის პროცესი აუცილებლად დაჩქარდება.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ამის დასაწყისი იქნება 21 მაისი?***

— დასაწყისი — არა. ეს პროცესი დაწყებულია. მე ვგულისხმობ საერთაშორისო დონეზე ამ ხელისუფლების მიმართ უკვე ცალსახა დამოკიდებულებას, ანუ დღეს აღარავინ ფიქრობს იმაზე, რომ ამ ხელისუფლების სიმახინჯეები, ამ ხელისუფლების უკანონო ქმედებები დამალოს. დღეს ყველა ფიქრობს იმაზე, რომ მოხდეს მხილება ამ ხელისუფლებისა. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი დაწყებულია. უბრალოდ, 21-ში დაჩქარდება ამ ხელისუფლების წასვლა.

***— სახალხო კრებასთან ამ ეტაპზე მხოლოდ ნინო ბურჯანაძის პარტია დგას. როგორ ფიქრობთ, დღეს სხვა პოლიტიკური პარტიებიც დადგებიან სახალხო კრებისა და საზოგადოების გვერდით?***

— ალბათ, პოლიტიკური პასუხისმგებლობა იქნება იმ გუნდზე, რომელიც ამას ხელმძღვანელობს, მაგრამ იქ ყველა იქნება, როგორც მოქალაქე. ალბათ, ყველა პოლიტიკოსი მივა, ხოლო პასუხისმგებლობა იქნება ორგანიზატორებისა, რომლებმაც თარიღი დათქვეს.

***— როგორც ცნობილია, ქართულმა პარტიამ შესთავაზა სახალხო კრებას კონსულტაციები, თუმცა, უარი მიიღეს და მიზეზად დროის უქონლობა დასახელდა...***

— ჩემი აზრით, არასწორია ეგ ნაბიჯი. ვინც არ უნდა გამოხმაურებოდა ამ პროცესს, ყველა უნდა გაიერთიანონ, იმიტომ რომ დღეს ერთიანი ძალის გარეშე, ერთიანი ძალისხმევის გარეშე ამ დიქტატურის შეცვლა აბსოლუტურად შეუძლებელია.

***— როგორც ვხედავთ, სერიოზულად ემზადება 26 მაისისთვის ხელისუფლება. ამის რეკლამირება თითქმის ყოველდღიურად ხდება ტელევიზიებით. საუბარია, რომ რუსთაველზე მრავალრიცხოვანი ჯარი იდგება ტექნიკით შეიარაღებული და ამ სიტუაციაში რას უნდა ველოდოთ?***

— უპირველესად ყოვლისა, ვიტყვი იმას, რომ სამარცხვინოა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რაიმე ზეიმი, მით უმეტეს — სამხედრო. ეს სამარცხვინოა, მაშინ როცა ტერიტორიების 20% დაკარგული გაქვს და ომი წააგე. იქ უნდა მოახდინო შენი ძალების დემონსტრირება, თუკი ეს ძალები გაგაჩნია და არა რუსთაველზე. რუსთაველზე სასეირნოდ არ სჭირდება ქვეყანას ჯარი. ქვეყანას ჯარი სჭირდება ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და არა რუსთაველზე სანავარდოდ. როდესაც ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და ხელისუფლება ისეთი შერცხვენილია, როგორც აგვისტოს ომის დროს, ასეთი ხელისუფლება არ უნდა ზეიმობდეს არანაირ აღლუმს. ელემენტარულად, მას განცდა უნდა ჰქონდეს იმ სირცხვილისა, რომელიც მათ აგვისტოს ომის დროს მთელ მსოფლიოს აჩვენეს. საზეიმო ნამდვილად არაფერი გვაქვს. როცა გვექნება საზეიმოდ საქმე, მაშინ რუსთაველზეც ვიზეიმებთ და სრულიად საქართველოც იზეიმებს. დღეს მხოლოდ სირცხვილია სამხედრო აღლუმები და არარსებული ტექნიკის რეკლამირება.

***— როგორ ფიქრობთ, წავა პროვოკაციაზე ხელისუფლება ან თუ გაისვრის? წინასწარ ბევრს საუბრობენ ამის შესახებ...***

— ზუსტად ვერ იტყვით. იმას, რომ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი დამდგარია, ხელისუფლებაც კარგად გრძნობს. არ ვიცი, ისინი რას ჩათვლიან საჭიროდ. საჭიროდ ჩათვლიან იმას, რომ მოახდინონ პროვოცირება თუ სხვაგან გადაიტანონ აქცენტები და სხვანაირად გაიხანგრძლივონ ხელისუფლება, იგივე ომის პროვოცირება, ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ მათგან ყველაფერია მოსალოდნელი, თუნდაც იგივე რეპრესიებს თუ ამჯობინებენ, რომ წავიდნენ გარკვეულ დათმობებზე, რომელიც, ასე თუ ისე, დასავლეთიდან წამოსულ ნიაღვარს, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ არის, ამას შეაჩერებს. თუ ესენი წავლენ დემოკრატიული ცვლილებებისკენ, ჩემი აზრით, უფრო მეტად შეძლებენ ხელისუფლების გახანგრძლივებას. თუ ესენი წავლენ პროცესების გამწვავებისკენ, ეს კიდევ უფრო დააჩქარებს მათ წასვლას.

***— საუბარია, რომ დღეს სააკაშვილს ჰაერივით სჭირდება დასავლეთის მხარდაჭერა და ყველანაირად შეეცდება პროვოცირებას, რომ შემდეგ დასავლეთს აჩვენოს, სხვა გზა არ მქონდა, მარგინალური ოპოზიცია მყავს და ძალით დავუპირისპირდიო. თქვენ თუ იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— ჰაერივით რომ სჭირდება სააკაშვილს დასავლეთის მხარდაჭერა, ეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით, იმიტომ რომ ბიუჯეტით დაწყებული, პოლიტიკური სიძლიერით დამთავრებული, ყველაფერი ეს არის დამოკიდებულია დასავლეთზე. ქვეყნის ბიუჯეტი, საერთაშორისო შეხვედრები, საერთაშორისო ურთიერთობები — ყველაფერი დამოკიდებულია დასავლეთის მხარდაჭერაზე. თუ ეს არ ექნა ხელისუფლებას, ის ელემენტარულად ორ დღესაც ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, სისხლხორცეულად არის მისთვის ეს საჭირო, მაგრამ საკითხავია, რამდენად შეძლებს ამ მხარდაჭერის მოპოვებას. რამდენად შეძლებს უკვე დაკარგული მხარდაჭერის დაბრუნებას, არ ვიცი. დაბრუნება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაშია შესაძლებელი — თუ ესენი შეცვლიან იმ ანტიდემოკრატიულ კურსს, რომელიც ამ ხელისუფლებას აქვს. თვითონვე უნდა შეცვალონ კურსი. თუ ისინი არ შეცვლიან ამ არადემოკრატიულ კურსს, მათ მხარდაჭერა არ ექნებათ. თუ იძულებით შეაცვლევინეს, დაათმობინეს და, ვთქვათ, აიძულეს, წავიდეს ეს ხელისუფლება, მით უმეტეს — ძალისმიერი მეთოდებით, მაშინ მხარდაჭერილი იქნება ის ახალი ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში მოვლენ.



***— ალბათ, იმასაც დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ რა რაოდენობის ხალხი გამოვა ქუჩაში...***

— რაოდენობასაც აქვს მნიშვნელობა და ხარისხსაც. თუ ვინ იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები და პროცესები უნდა დაიწყოს, თუ რა მოთხოვნები უნდა იქნეს დაყენებული და როგორი მხარდაჭერა ექნებათ ისევ და ისევ დასავლეთისგან.

***— ამბობენ, რომ ისინი უკან არ დაიხევენ და ყველაფრისთვის მზად არიან. იმედია, პროვოკაციების შემთხვევაშიც ექნებათ შემხვედრი ნაბიჯები...***

— არ ვიცი, რამდენად მზად არის, ვერ გეტყვით, მე არა ვარ საქმის კურსში. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის თეორიულად მზად უნდა იყვნენ. თუ არ არიან — ძალიან ცუდი.

***— 26 მაისს ასევე გრანდიოზულ კონცერტს გეგმავს ხელისუფლება. ბევრი ცნობილი სახე მონაწილეობს მასში. როგორ ფიქრობთ, ამით ერის გახლეჩასა და დაპირისპირებას ხომ არ ცდილობს ხელისუფლება?***

— ერის გახლეჩას ვერ მოახერხებს, იმიტომ რომ ერი არ არის დღეს ხელისუფლების გვერდით. ხელისუფლების გვერდით არიან ნომენკლატურის ჩინოვნიკები და იმ ნომენკლატურის ჩინოვნიკებშიც ძალიან ბევრია, რომლებიც იძულებით არიან იქ და არა თავიანთი ნებით. ასე რომ, ერი არ დგას ხელისუფლების გვერდით. ერის გახლეჩას ვერ მოახერხებს, მაგრამ ერის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებას შეძლებს, თუკი მან თავზე ხელი აიღო და გადაწყვიტა, რომ სხვა გზა აღარ აქვს, ძალაუფლება უკვე დაკარგული აქვს და გადავიდა ანგარიშსწორებაზე. თუ ფიქრობს, რომ მას კიდევ აქვს შანსი, რაღაც პერიოდი შეინარჩუნოს ძალაუფლება და გაიხანგრძლივოს არსებობა, მაშინ ძალადობაზე არ გადავა. ის, რასაც ხელისუფლება 26 მაისს გეგმავს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სამარცხვინო ნაბიჯია, მაშინ როდესაც ტერიტორიები დაკარგული გაქვს და რუსთაველზე სეირნობ არარსებული და ყოვლად უმაქნისი ტექნიკით.

***— ამ ტექნიკის აფიშირებით ხომ არ უნდათ საზოგადოების შეშინება და ოპოზიციისთვის იმის ჩვენება, რომ ისინი უკან დახევს არ აპირებენ?***

— მათ მხოლოდ იმის დანახვება უნდათ, რომ ქუჩის აქციებისთვის ძალა ჰყოფნით, მაგრამ, ჯარის ფუნქცია რაც არის, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება დაიცვას, ამაში ისინი უმაქნისები არიან და ხელისუფლება ამას ვერ ახერხებს. ქუჩის აქციებისთვის რომ საკმარისი ძალა აქვთ, სწორედ ამის დემონსტრირებას აპირებს, ალბათ, 26-ში ხელისუფლება და სხვას ვერაფერს. სხვა ძალის დემონსტრირება უკვე მოხდა აგვისტოს ომში.

***— ალბათ, 7 ნოემბრის გამეორებას ვერ გაბედავს ხელისუფლება. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

— არა 7 ნოემბერი სულ სხვა რეიტინგის მქონე ხელისუფლების დროს მოხდა. დღეს ისინი ნულოვანი რეიტინგით არიან საერთაშორისო დონეზეც და ქვეყნის შიგნით ხომ არიან და არიან.

***— ხომ შეიძლება, ხელისუფლებამ უკან დაიხიოს და სხვა ადგილას გამართოს აღლუმი? წავლენ ამაზე?***

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. ძნელია ხელისუფლების აზრების გამოცნობა, მაგრამ, თავისთავად, სადაც არ უნდა გამართოს აღლუმი, ნებისმიერ ადგილზე, ეს იქნება მათი სირცხვილის კორიდორი.

***— აღლუმი ომის წაგებიდან რამდენიმე თვეში გამართა და ეს აღლუმი, ალბათ, აღარავის გაუკვირდება...***

— მაშინ გაიძახოდა, მოვიგეო და ამით ატყუებდა ხალხს, დღეს უკვე ველარ ამბობს, მოვიგეო და დღეს უნდა თქვას, წაგებულ ომს ვზეიმობო. თუ ამის დემონსტრირება სჭირდება, მაშინ, დაე, გააკეთოს.

***— ქალბატონო ნანა, ასევე არ შემიძლია არ გკითხოთ რვიანის შესახებ. ისინი ერთხმად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, რომ განზე დგანან და არ შეუერთდებიან ამ პროცესებს. თქვენ მათ შეხვედრას ესწრებოდით გუშინ. როგორია მათი სტრატეგია, რას ფიქრობენ? ხელისუფლებისთვის ვადა აქვთ მიცემული 30 მაისამდე. რას აპირებენ ამის შემდეგ?***

— როგორც ასეთი, რომ ემიჯნებიან ამ პროცესებს, მე ასე არ ვიცი, მე ვიცი, რომ ისინი უარს ამბობენ პოლიტიკური პასუხისმგებლობის ალებაზე, მაგრამ, როგორც რიგითი მოქალაქეები, რომლებიც თავიანთი ხალხის გვერდით უნდა იდგნენ, ისინი იდგებიან ხალხთან ერთად. უბრალოდ, ისინი არ აიღებენ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, რადგან არ ეთანხმებიან ამ გზას.

***— რაც შეეხება ხელისუფლებასთან დიალოგს, ამ კუთხით რა ხდება?***

— ცხადია, რომ ხელისუფლება ამას მოლაპარაკების გზით არ თმობს. რვიანი იქნება ეს, სხვა პარტიებიც შეუერთდებიან თუ როგორც იქნება, ახლა მათ ეს ბრძოლა უნდა გააგრძელონ ხალხთან ერთად, საზოგადოებასთან ერთად. მათაც დღეს ასევე მნიშვნელოვნად სჭირდებათ საზოგადოების მხარდაჭერა ამ პროცესებში.

***— მათ განაცხადეს, რომ თუკი ხელისუფლება წავა ძალადობაზე და ხალხს დაარბევს, ისინი აუცილებლად დადგებიან ხალხის გვერდით...***

— პოლიტიკოსი, რომელიც ვერ განსაზღვრავს, რომ ამ დროს ხალხის გვერდით უნდა იდგეს, პოლიტიკიდანაც უნდა წავიდეს. კიდევ ერთხელ გიმეორებთ — ისინი არ იდგებიან ავანსცენაზე და არ იქნებიან მიტინგების წარმმართველები, მაგრამ ისინი, როგორც რიგითი მოქალაქეები, აუცილებლად იდგებიან ხალხთან ერთად. ეს გარდაუვალი პროცესია.

***— გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ დღეს ქართული პარტიაც გეგმავს აქციის გამართვას. როგორ ფიქრობთ, ეს აქციები საბოლოოდ ხომ არ შეერწყმება ერთმანეთს?***

— რაღაცას რომ აპირებს, მეც ვიცი, მაგრამ, არ ვიცი, რამდენად შეერწყმებიან ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, კარგია, თუ პროტესტს აპირებენ, ეს პროტესტი მოხდეს ერთიანი ძალით. მე არ ვფიქრობ, რომ რაიმე ცუდი მოხდება, არ მინდა, რომ ცუდი მოხდეს და იმასაც ვფიქრობ, რომ ეს ხელისუფლება, საზოგადოებას თუ არა, საკუთარ თავს მაინც გაუფრთხილდება. მან ძალიან კარგად იცის, რომ დღეს საზოგადოებასთან დაპირისპირება საკუთარ სავარძელთან დაპირისპირების ტოლფასი იქნება და ისინი საზოგადოების ნდობასთან ერთად დაკარგავენ სავარძლებსაც. ნდობა უკვე დაკარგული აქვთ, ერთადერთი, სავარძლებია, რაც აქვთ შენარჩუნებული. თუ დაპირისპირება მოხდება, ამ სავარძლებსაც დაკარგავენ.

***— საუბარია იმაზეც, რომ 2007 წლისგან განსხვავებით, საზოგადოება გაცილებით მძიმე მდგომარეობაშია, დასაკარგი არაფერი აქვს და უკან არ დაიხევს...***

— დასაკარგი ადამიანებს ყოველთვის აქვთ, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლე დგას ამ ყველაფრის უკან. დასაკარგი აქვთ, მაგრამ, მთავარი ის არის, რომ არის ქვეყნის ინტერესები. ისევე, როგორც ეს ინტერესები მიბმულია თითოეული მოქალაქის ინტერესებთან, ეს ინტერესები ცალკე განყენებული არ არსებობს. დარწმუნებული ვარ, რომ თუნდაც ეს ქვეყნის ინტერესები, რომელიც თითოეული ჩვენგანის ინტერესებსაც გულისხმობს, აიძულებს საზოგადოებას, რაც შეიძლება მეტად შეძლონ, იყვნენ მტკიცენი, იყვნენ ერთიანი სულისკვეთებით და ყველამ ერთად იბრძოლოს იმ ღირებულებებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

***— თქვენ თუ შეუერთდებით ამ პროცესს?***

— მე ვიქნები იქ, სადაც ჩემი ხალხი იქნება. რა შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს ეს, მე უნდა ვიყო იქ, სადაც არიან დანარჩენები. იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ოპოზიციური რვიანი სააკაშვილის თამაშს თამაშობს

## ქართული პარტიის გულწრფელობაში ეჭვი შეგვეპარა

შორენა კოწოწაშვილი

**დღეიდან სახალხო კრება მზადყოფნას გამოთქვამს და მოქმედებებზე გადადის სააკაშვილის ხელისუფლების დასამარცხებლად. სახალხო კრების ინიციატორები პირობას დებენ, რომ ბოლომდე იბრძოლებენ და სააკაშვილის რეჟიმს სათანადო ძალას დაუპირისპირებენ.**

ბურჯანაძის თანაგუნდელი და კრების თანამონაწილე გიორგი კობახიძე დარწმუნებულია, რომ რვიანი ხელისუფლების თამაშს თამაშობს და ამას აკეთებს ახალ პარლამენტში ცოტათი იმაზე მეტი ადგილის მოსაპოვებლად, ვიდრე ამ ერთობაში შემავალ პარტიებს დღეს გააჩნიათ.

რატომ უთხრეს უარი ქართულ პარტიას კონსულტაციებზე და რატომ ეპარებათ ეჭვი ოქრუაშვილ-კიწმარიშვილის ტანდემის გულწრფელობაში სახალხო კრების ორგანიზატორებს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დემოკრატიული მოძრაობის წევრ გიორგი კობახიძესთან.

***— ბატონო გიორგი, სახალხო კრების მიერ აქციების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ქართულმა პარტიამ კრების ორგანიზატორებს კონსულტაციები შესთავაზა. რაზე მიანიშნებს ეს და რატომ მიიღო ოქრუაშვილის პარტიამ უარი თქვენი მხრიდან?***

— მოდით დავაზუსტოთ, რა იყო კრების პოზიცია და აქედან გამომდინარე, უფრო არ შეგვეშლება შეფასებების გაკეთება. სახალხო კრება ამბობს, რომ მისი კარი ღიაა ყველასთვის და არ განსაზღვრავს დროს, როდიდან როდემდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს კარი მუდმივად ღიაა. ვისაც სურვილი აქვს, აქციების დროსაც შეუძლია სახალხო კრებას შემოუერთდეს. როდესაც ლაპარაკია მოლაპარაკებებზე, რაში სჭირდება მოლაპარაკებები, სრულიად გაუგებარია, ამ მხრივ კითხვის ნიშანი ჩნდება. თუ იმას სჭირდება მოლაპარაკებები, რომ ჩვენ გეგმაში რაიმე კორექტივები შევიდეს, ეს გამორიცხულია. სახალხო კრება მუშაობს წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში და ყოველდღიური მუშაობის შედეგად დგებოდა გეგმა იმ რესურსების და იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც მას და მასში გაწევრიანებული ადამიანების ჯგუფებს გააჩნდა. აქედან გამომდინარე, სიტყვა „მოლაპარაკებები" სრულიად უშინაარსოა თუ გულწრფელად სურს ამა თუ იმ სუბიექტს კრების მიერ გამოცხადებულ ბრძოლაში ჩაბმა. ვიმეორებ, რომ ამისთვის კარი ყველასთვის ღიაა. როცა ვამბობ ყველასთვის, რა თქმა უნდა, აქ ქართული პარტიაც იგულისხმება. მოლაპარაკებები უკვე ცოტა სხვანაირ ინტერპრეტაციას აძლევს იმ სურვილს და კითხვის ნიშანს აჩენს იმ გულწრფელობასთან დაკავშირებით, რომელშიც უნდათ, რომ დაგვაჯერონ ქართული პარტიის წარმომადგენლებმა ამ ბრძოლაში. ეს მართლაც სერიოზულ კითხვის ნიშანს აჩენს იმიტომ, რომ მოლაპარაკება შეიძლება გაიმართოს რაღაცასთან დაკავშირებით. ეს რაღაც როცა არ ჩანს, ვიმეორებ, უკვე კითხვის ნიშნების საფუძველს აჩენს.

***— სახალხო კრებას ქართული პარტიის და კიწმარიშვილ-ოქრუაშვილის ტანდემის გულწრფელობაში ეჭვი შეეპარათ?***

— დიახ, გულწრფელობაში ეჭვი შეგვეპარა. იმიტომ, მათ კარგად იციან, რომ კრების კარი დახურული არ არის და ნებისმიერ დროს შეუძლიათ ამ ბრძოლაში ჩაერთონ. მაგრამ თუ მათ მხედველობაში ის აქვთ, რომ გადაწყვეტილების მიღებაში მიიღონ მონაწილეობა, ან კორექტირება შეიტანონ იმ გეგმაში, რომელიც კრების მიერ იქნა შემუშავებული, ეს გამორიცხულია და ეს მათაც კარგად იციან. იმიტომ, რომ 2010 წლის 2 მაისის შემდეგ არის გამოცხადებული ფინიშის სწორი. გასული წლის 2 მაისიდან ამა წლის 21 მაისამდე



არის იმის გამართვის პერიოდი, რაც მანამდე დიდი შრომით მთავრდებოდა. შემდეგ კი მოხდება ბრძოლაში გადაშვება მთელი არსით, მთელი ძალით და გონებით. უკვე გამოცხადებულია სახალხო კრების გეგმა და ყველა კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ ამაში ცვლილება არ შეიძლება. ეს აუცილებლად პროცესს დაარტყამს და უარყოფითად წაადგება. ამიტომ ვფიქრობ, ასეთი ინიციატივებით არ უნდა გამოდიოდნენ.

***— თქვენ კრების გეგმა ახსენეთ. თუმცა ბევრისთვის კრების გეგმები და ნაბიჯები გაუგებარი და ბუნდოვანია. მხოლოდ განცხადებები ისმის, არადა ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რა სახის ბრძოლაში ეპატიჟებიანო. გეგმის გაუცხადებლობა არ აბნევს საზოგადოებას. როგორ ფიქრობთ, ხალხი გაჰყვება კრებას?***

— დეტალური გეგმა საზოგადოებისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილი არ არის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დეტალური გეგმა სხვადასხვა შინაარსის არსებობს და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, რა რაოდენობის მოსახლეობა იქნება მზად პროტესტის გამოსახატავად. აქედან გამომდინარე, შესაბამისი გეგმა ამოქმედდება. ის ზოგადი გეგმა ყველასთვის კარგად არის ცნობილი. უკვე ის ფაქტი, რომ 1991 წლის შემდეგ პერიოდში მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა საქართველოში, რომ რამდენიმე ადგილას გაჩენილიყო საპროტესტო კერა და ეს სახალხო კრების მიერ ორგანიზებული პროტესტის პირობებში მოხდება, ეს უკვე თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის და ვერავინ ვერ იტყვის, რომ ეს არ არის გეგმა. თბილისი, ბათუმი და კიდევ იცით, რომ ოთხი რაიონია გამოცხადებული, საიდანაც კრების წევრებს მიეთითათ, რომ ადგილზე იყვნენ მზად დავალებების მისაღებად და მათ თბილისში არ იწვევს კრების ხელმძღვანელობა. ეს უკვე თავისთავად მრავლისმეტყველია და მნიშვნელოვანი. კრების გეგმის ნაწილია ისიც, რომ დავალებები გაიცა ცალკე შეფიცულებზე, ცალკე ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ცალკე კომიტეტებზე. ესეც ხომ გეგმაა. ის, რაც დავუშვათ, თბილისის ორგანიზაციას აქვს დავალების სახით მიცემული, ეს ჩემთვის, როგორც თბილისის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელისთვის, კონკრეტული სახით არის მოწოდებული. ჩვენ ამ მიმართულებით ვმუშაობთ. ეს არის ყოველდღიური მუშაობა.

***— იქნებ ქართული პარტია კრების ორგანიზატორებს გეგმას არ გიდებდათ. ერთი საკონსულტაციო შეხვედრის გამართვა ასე პრობლემატური იყო კრების ორგანიზატორებისთვის? ერთიანი პოზიცია იყო თუ განსხვავებული აზრი კრების შიგნით ამასთან დაკავშირებით?***

— მათ შეეძლოთ მარტივად ეთქვათ და ისე ემოქმედათ, როგორც გააკეთეს ძალიან ბევრი ორგანიზაციის დიდმა ჯგუფებმა. ზოგიერთი ორგანიზაციიდან იმდენი რაოდენობის ხალხი შემოვიდა სახალხო კრებაში, რომ დარწმუნებული ვარ, თვითონ იმ ორგანიზაციებში ბევრად ნაკლები წევრი და მხარდამჭერი დარჩა. მე არ მინდა ახლა ეს ორგანიზაციები დავასახელო. მოსულიყვნენ და ეთქვათ, ჩვენ ვართ კრებაში, ვუერთდებით, ვიზიარებთ თქვენს პოზიციას და გიერთდებით. ამის შემდეგ ისინიც მიიღებდნენ შესაბამისად დავალებებს, როგორც იღებს დემოკრატიული მოძრაობა. ნურავინ ნუ ჩაიყენებს თავს იმაზე მეტ მდგომარეობაში და ნუ მოითხოვს იმაზე მეტს, როგორც იღებს სხვა რომელიმე ასეთი გაერთიანება, პოლიტიკური იქნება თუ საზოგადოებრივი. ამაზეა ლაპარაკი. არანაირი მოთხოვნები არ წაუყენებია დემოკრატიულ მოძრაობას. ჯერ კრებაში შევიდა და შემდეგ პროცესში აქტიური მონაწილეობით თავის პოზიციასაც გამოხატავს, სხვასაც მიხედავს და მიიღებოდა ერთობლივი გადაწყვეტილება. ეს არის ნორმალური დამოკიდებულება და პროცესებში ჩართვის ჩვეულებრივი კარგი გაგებით, სტანდარტული ნაბიჯი.

***— არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რვიანის პოზიციას მხარს უჭერენ, უკვე ღიად აკეთებენ განცხადებას, რომ უკვე დროა მოლაპარაკებების პარალელურად რვიანი მხარდამჭერთა მობილიზებაზე და აქტიურ ნაბიჯებზე გადავიდეს. თქვენი აზრით, ამ განცხადებით არასამთავრობოები ხომ არ მოუწოდებენ პოლიტიკური რვიანის წევრებს, სახალხო კრების საპროტესტო ტალღას შეუერთდეს რვიანიც?***

— ჩემი დამოკიდებულება რვიანისადმი და საერთოდ, იმ გეგმისადმი, რომელსაც საზოგადოებას ისინი სთავაზობენ, არაერთხელ გამოვთქვი. ხშირად გამოვდიოდი კრიტიკით მათ მიმართ შარშანდელი ივნისიდან მოყოლებული. ეს არის საუკეთესო შემთხვევაში რეალობას მოწყვეტილი ძალების რაღაც სრულიად აბსურდული შეთავაზება საზოგადოებისთვის. ეს არის წმინდა წყლის უტოპია. მიზეზებს აღარ გავიმეორებ, ვიტყვი ერთ მარტივ, ფორმულის დონის არგუმენტს: საარჩევნო გარემო არის თვითონ რეჟიმი და რეჟიმი რეჟიმს არ ცვლის. ჩემი ეს შეფასება სიახლე არ არის. ეს არის კლასიკა ასეთი სახელმწიფოების ცხოვრებაში. ბუნებრივია, რომ ის, ვინც ცდილობს აბსურდით რაღაცნაირად დაიმკვიდროს თავი პოლიტიკაში, ის ამას ვერ გააკეთებს. მაქსიმუმი, რაც შეიძლება ამ გეგმით ამ ორგანიზაციებმა მიაღწიონ, არის ის, რომ ხელისუფლებისგან, რომელსაც ისინი სიცოცხლეს უხანგრძლივებენ, საჩუქრად მიიღონ იმაზე ცოტა მეტი ადგილი, ვიდრე ჩვეულებრივ საკუთარი ენერგიისა და ძალების ხარჯვით შეეძლებათ მიიღონ. როგორც ჩანს, აქ ვაჭრობა წავა იმაზე, იმ ადგილებიდან, რომელიც ხელისუფლებას გადაწყვეტილებების მიღების დროს არ სჭირდება. ანუ პარლამენტის საერთო რიცხვის ერთი მესამედიდან გაუნაწილებს პარტიებს თავ-თავის კვოტებს. აი, ეს იქნება მაქსიმუმი, რასაც ეს ძალები მიიღებენ, იმიტომ, რომ არ შეიძლება შავზე ამტკიცო, რომ თეთრიაო.

***— ზვიად ძიძიგურის განცხადებაზე რას იტყვით, რომელმაც ღიად თქვა, იმის ადეკვატურად იმოქმედებს, როგორიც იქნება ხელისუფლების დამოკიდებულება 21 მაისს გამოსული ხალხის მიმართ.***

— ეს რვიანისგან სულ სხვა პოზიციაა. ეს არის იმ პოლიტიკური ძალის ლიდერის განცხადება, რომელაც ესმის თავისი პასუხისმგებლობა. ის ორგანიზაცია, ვინც ხალხთან არ მიდის, ერთგვარ პოლიტიკურ თვითმკვლელობას ახორციელებს, რადგან ერთადერთი საყრდენი და ერთადერთი ძალა, რომელიც შეიძლება პოლიტიკურ ორგანაზაციას აცოცხლებდეს, ეს არის ხალხი. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად გამართლებულია და სწორია ის პოზიცია, რომელიც ზვიად ძიძიგურმა გუშინ გამოხატა.

***— დაახლოებით რა რაოდენობის ხალხის გამოსვლას ელით 21 მაისს?***

— ძალიან ბევრი ადამიანი დადგება ხელისუფლების დანაშაულებრივი საქმიანობის გასაპროტესტებლად და იმ პრინციპული მოთხოვნის რეალიზებისთვის, რასაც ჰქვია ამ ხელისუფლების, ამ ავტორიტარული რეჟიმის დემონტაჟი.

***— კრების წევრებმა არაერთხელ მიუთითეთ ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე. კონკრეტული ინფორმაციდან გამომდინარე აკეთებდა იგივე ბურჯანაძე მსგავს განცხადებებს?***

— როდესაც რაიმე განცხადებას ვაკეთებთ, ყოველთვის ვეყრდნობით იმ ფაქტებს და არგუმენტებს, რომელიც ამ ხელისუფლებას ახასიათებს. დავუშვათ, დღეს ახალი სათქმელი მაქვს ამ მიმართულებით ქართველი ხალხისთვის. გუშინ საშინელი ვანდალიზმი ჩაიდინა ხელისუფლებამ, საშინელი არაადამიანური ფაქტი მოხდა, სისასტიკის მწვერვალებზე გავიდა საკუთარი ხალხის მიმართ. ჩვენი პარტიის ოთხ წევრს, კახეთის ორგანიზაციის ოთხ აქტიურ წევრს, საიდანაც ორი რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო, სამი მანქანით გზა გადაუკეტეს და შავნიღბიანებმა ავტომატებით გადმოიყვანეს ადამიანები მანქანებიდან და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ერთ-ერთს ესროლეს ტყვია. მას შუბლიდან კეფამდე კანი აქვს გადახსნილი. აი, ასეთი დონის თავდასხმა იყო ჩვენს წევრებზე. სტაციონალურ მკურნალობას გადის ამ ოთხიდან სამი წევრი. ერთ-ერთი წარმომადგენელი გამოვიდა მეორე არხის ეთერით იმისათვის, რომ ეს ფაქტი საზოგადოებისთვის ემცნო. 21 მაისამდე პერიოდში ცალკეული წევრების გაფრთხილება შეიძლება ძნელი იყო ჩვენთვის იმიტომ, რომ ხელისუფლებას გააჩნია იარაღი, გააჩნია სხვა უამრავი ტექნიკური საშუალება იმისათვის, რომ ჩასაფრებები და დევნები მოაწყოს. მაგრამ 21 მაისიდან მოყოლებული ყველამ კარგად იცოდეს, რომ ყველა ადეკვატურ პასუხს მიიღებს. ეს არის ჩვენი კონსტიტუციური უფლება, რომ ხელისუფლების მხრიდან უკანონო ხელყოფისგან თავი დავიცვათ.

***— დღეიდან აქციები იწყება. რა პერიოდზე თვლით აქციების ხანგრძლივობას? ფაქტია, დროში გაწელილი პროტესტი საქართველოში უშედეგოდ მთავრდება. თქვენ კი აცხადებთ, უკან არ დავიხევთო.***

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია ხალხის რაოდენობაზე. ამიტოი ძნელია იმის თქმა, რამდენ დღეს გასტანს ეს ჩვენი ბრძოლა. მაგრამ ის პირობა, რომელიც თქვენ კითხვაში გამოყავით, რომ უკან არ დავიხევთ და ვიდგებით, სანამ გამარჯვებას არ მივაღწევთ, პირობად დარჩება, რამდენ დღესაც არ უნდა გაგრძელეს ეს ჩვენი ბრძოლა.

***— რვიანის წევრები ირწმუნებიან, რომ დღეს სააკაშვილს აწყობს პროცესის რევოლუციური განვითარება. არასამართლიანია ეს ბრალდება?***

— რვიანი თავიდან ბოლომდე თამაშობს სააკაშვილის თამაშს. იმიტომ, რომ არც ერთი არგუმენტი არ გააჩნიათ მათ იმის, ხალხი დაარწმუნონ, რომ მათი ეს „ბრძოლა" შედეგის მომტანია. უფრო მეტსაც გეტყვით, რვიანში არის რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც ღიად, გაცხადებულად საზოგადოებისთვის არის ასოცირებული ხელისუფლებასთან და მის გეგმებთან. მარტივად ვიტყვი, ორგანიზაცია, რომელსაც ხმა აქვს მიცემული ახალი კონსტიტუციისთვის, არის ხელისუფლების პარტია. როცა რაღაც სიმრავლეში არის შერეული ორო თუ სამი ხელისუფლების მიერ დანიშნული ე.წ. ოპოზიცია, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მთელი ეს გაერთიანება მუშაობს ხელისუფლებაზე.

# ეკლესიაში ქალი შარვლით არ უნდა შევიდეს!

ნათია ხურციძლავა

**დედა ანას თანამედროვე დედებსა და ზოგადად ქალებზე ვთხოვეთ საუბარი, თუ რა არ მოსწონს მას დღევანდელ ქალებში და რას ურჩევს ის მომავალ დედებს.**

დედა ანა ქალის დიდ პასუხისმგებლობაზე საუბრობს, რომელიც თითოეულ ქალს აკისრია და ის ვალდებულია, რომ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულოს.

რატომ მოხშირდა ბოლო დროს ნაგავსაყრელზე ჩვილების გადაგდების ფაქტები, რატომ ამბობენ დედები დედობაზე უარს?

ამ კითხვებზე მონაზონი, დედა ანა სურგულაძე პასუხობს „ახალ თაობას“:

***— დედა ანა, რას იტყვით დღევანდელ დედებზე, ზოგადად ქალებზე, რომლებიც შვილებს ზრდიან. შვილის აღზრდა არ არის მარტივი საქმე? რას ურჩევდით მათ და როგორი უნდა იყოს კარგი დედა?***

— ზოგადად ქალს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან ის ქალია, ის უკვე არის მომავალი დედა და მისი პასუხისმგებლობა ერისა თუ თავისი შვილის, ოჯახის წინაშე ძალიან დიდია. ქალის პასუხისმგებლობა დღეს კიდევ უფრო გაზრდილია. რაც შეეხება დღევანდელ დედებს, პირველ რიგში რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ ქართველმა დედებმა ქართული ტრადიციები დაკარგეს. სამწუხაროდ, ბევრ ოჯახში მოიშალა ის ძირძველი ტრადიციები, რომლითაც დღევანდლამდე მოვიდა ჩვენი ერი. ერის მდგომარეობა ძალიან ბევრად არის დამოკიდებული ქალზე, უპირველეს ყოვლისა, დედაზე. როგორ შვილებსაც აღზრდიან დედები, სწორედ ისეთი იქნება ქვეყანაც. ამიტომ ვამბობ, რომ დედაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. როგორ უნდა აღვზარდოთ შვილები? ეს არის ურთულესი პრობლემა, მაგრამ პირველ რიგში, მთავარია ღვთისნიერება, ღვთისადმი მორჩილება და ღვთისმოშიშობა. პირველ რიგში, ოჯახი უნდა იყოს ქრისტანულ მორალზე დაყრდნობილი, რომ იმ ოჯახში კარგი მომავალი თაობა აღიზარდოს. ბავშვის აღზრდა არ არის მარტივი, მაგრამ თუ ქრისტიანულად მივუდგებით, აცილებლად იქნება ამ პროცესში ღვთის შეწევნა. პირველ რიგში, ყველა დედამ უნდა გააცნობიეროს, რომ შვილი სულიერად უნდა აღზარდოს. ბავშვები სულიერად უნდა აღიზარდონ. იოანე ოქროპირი ბრძანებს: ქალს, რომელსაც ღმერთმა დედობის უნარი მისცა და ის ქრისტიანულად არ აღზრდის შვილებს, მკვლელ დედად ითვლება. დიდი განსაცდელები ელოდება ამ შემთხვევაში დედას. ქალებს მოვუწოდებ, რომ შვილები ქრისტიანულად აღზარდონ. ეს მათ ბევრად უფრო გაუადვილებთ აღზრდის პროცესს. მათ ამით უფრო შეუმსუბუქდებათ თავიანთ შვილებთან ურთიერთობა. პირველ რიგში, მთავარია, სულიერი კვება, რომელსაც დედამ უნდა აზიაროს შვილები. როდესაც ქრისტიანულ ცხოვრებას დაიწყებენ ბავშვები, როდესაც ისინი დაიწყებენ აღსარების თქმას, მოძღვართან საუბარს, მერე უკვე წირვა-ლოცვაზე დასწრებას და ზიარების მადლის მიღებას, დედები აუცილებლად შეამჩნევენ, რომ მათი შვილები სულ სხვანაირები გახდნენ, რომ ცხოვრება უფრო მშვიდი და უფრო საინტერესო გახდა მათთვის. მინდა დედებს ვურჩიო, რომ რაც შეიძლება მალ-მალე აზიარონ ბავშვები ქრისტეს წმინდა ხორცს და სისხლს. წმინდა ზიარების მიღება ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან წმინდა ზიარების მიღებით ადამიანი ბოროტებისგან იწმინდება. ბოროტს, რომელიც შეიძლება იყოს ადამიანში ჩასახული, სწორედ წმინდა ზიარება ამარცხებს. ღვთისმშობელი სამი წლის იყო, ტაძარში რომ მიიყვანეს თავისმა მშობლებმა. ეს ისე ხომ არ მოხდა. დედებმაც უნდა მიბაძონ ღვთისმშობლის დედას და თავიანთი შვილები მიიყვანონ ტაძარში. ქართველმა ერმა უნდა შეძლოს და დაუბრუნდეს თავის ტრადიციებს, იმ ტრადიციებს, რომელმაც, ვიმეორებ, აქამდე მოგვიყვანა. მიუხედავად უამრავი ომისა, შემოსევისა, ჩვენი ტაძრების აოხრებისა, მამულის წართმევისა ქვეყანა მაინც გადარჩა და აქამდე მოვიდა.

***— ყველაზე მეტად რა არ მოგწონთ ქართველ დედებში?***

— არ მომწონს ის, როდესაც სალოცავებში შარვლებით შედიან, თავზე მანდილი არ ახურავთ. ქალმა კაბა უნდა ჩაიცვას. მამაკაცის სამოსელში ქალი აკრძალულია. ეს მიუღებელია. ერთ ამბავს მოგიყვებით, პატარა ბავშვს ღვთისმშობელი გამოეცხადა, რომელმაც უთხრა, ქალებმა ქალის სამოსელი უნდა ჩაიცვან, ეს ყველას უთხარიო. მე ღმერთს ვთხოვ, რომ დღევანდელი ახალგაზრდები გონს მოიყვანოს. თავიანთი ჩაცმულობით ზოგიერთი თავისი უზრდელობის ხაზგასმას ახდენს. ბევრი უზრდელად დადის. ამას ჰქვია, ჩაცმის კულტურა რომ არა აქვთ. არ შეიძლება წელი მოშიშვლებული მოუჩანდეს ქალს, ჭიპი მოუჩანდეს. გარდა იმისა, რომ ეს არ არის ლამაზი, ასევე არ არის მისაღები ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ხშირ შემთხვევაში ეს უშვილობას იწვევს. უშვილობა კი გარკვეულწილად სასჯელიც არის. ამიტომ ვამბობ, რომ ქრისტიანული ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ, რომ ცხოვრება რთული არ იყოს. ზოგჯერ მრისხანებაც კი გამომდის, სამწუხაროდ, როდესაც ქალს მამაკაცის სამოსელში ჩაცმულს დავინახავ, მამაკაცის მანერებით და მისი ქცევით. მახათას მთაზე ვიყავი ამასწინათ და ვნახე ქალი, რომელსაც, შემიძლია ვთქვა, რომ უზრდელად ეცვა, მუცელი ჰქონდა გადმოგდებული, შარვალი ბოლომდე არც კი ჰქონდა შეკრული, გულ-მკერდი სულმთლად მოშიშვლებული, თანაც სალოცავად იყო ამოსული. გული დამწყდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სხვამ იგივე არ გაიმეოროს. ამით ხომ ღვთისმშობელს ვაყენებთ შეურაცხყოფას.

***— დედა ანა, აბორტის შესახებ მინდა გკითხოთ. საკმაოდ პრობლემატური საკითხია. სტატისტიკური მონაცემებით, ძალიან ბევრი ქალი თუ მომავალი ბავშვი არის აბორტის მსხვერპლი. რას იტყვით ამ საკითხზე?***

— ეს არის გათვითცნობიერებული მკვლელობა. ეს არის ძალიან დიდი ცოდვა. უფალმა დედას მისცა უნარი, რომ იყოს დედა და ის ამაზე უარს ამბობს, მეტიც, ღვთის მიერ მოცემულ საჩუქარს კლავს თავისივე ხელით. ამაზე დიდი ბოროტება რა უნდა იყოს. უფალმა დედას დედობა მისცა და ის სიცოცხლეს უსპობს მომავალს, ეს ყველაზე დიდი დანაშაულია. ერი უნდა გამრავლდეს, ამის ნაცვლად კი კლავენ. ჩვენი ქვეყანა, რომელიც მცირერიცხოვანია, უნდა გამრავლდეს, არადა, პირიქით, სიცოცხლეს კლავენ. რამდენჯერ გამიგია, რომ ჩვილი სანაგვეზე იპოვეს, რომ დედამ თავისი ხელით გადააგდო, ან ცხოველმა დაგლიჯა.



ამას წინათ მოვისმინე, რომ ღორმა შეჭამა ჩვილი ბავშვი. ეს ხომ ამაზრზენია. ეს ხომ საშინელი ბოროტებაა. რადგანაც ღმერთმა დედობის ღირსი გაგხადა, უნდა გაზარდო. თუ ვერ უვლის და ვერ გაზრდის არსებული სიდუხჭირიდან გამომდინარე, მისცეს იმას, ვისაც არ ჰყავს შვილი, მაგრამ სანაგვეზე გადასაგდებად ნუ გაიმეტებს. ამაზე დიდი ბოროტება და საშინელება არ არსებობს. ეს დანაშაულია. რას აკეთებ, ხომ უნდა იცოდე. პირუტყვი არ კლავს თავის ნამშობს, თავის შვილს, კბილებით დაჰყავს, უფრთხილდება, არ გავჭყლიტო, არ დავაწვეო. ადამიანები კი იქამდე მივიდნენ, რომ საკუთარ ნაშობს სანაგვეზე ისვრიან. ეს ყოვლად წარმოუდგენელია. პირუტყვი იცავს თავის შვილს, ახლოს არ აკარებს არავის, რადგან მას აქვს დედობის ინსტინქტი და ამით მოქმედებს, ჩვენ კი, ადამიანები...

***— როგორ ფიქრობთ, რატომ დაეცა აქამდე, რატომ სჩადის ამას ადამიანი?***

— რატომ სჩადის? რატომ არის ასე გაბოროტებული ადამიანი? იმიტომ, რომ არაქრისტიანულად ცხოვრობენ და არაქრისტიანულად არიან გაზრდილები. ასეთი დედები თავის დროზე თავიანთმა დედებმა არაქრისტიანულად გაზარდეს. არ შთაუნერგეს ადამიანის სიყვარული, მოყვასისადმი სიყვარულის უნარი. აქედან მოდის ყველაფერი, მიზეზი აქ უნდა ვეძებოთ. ამ ადამიანებს ბოროტი დაეუფლა. სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას ის, რომ დედამ საკუთარი სიცოცხლე, მომავალი, ჩვილი სანაგვეზე გადააგდოს ან პირუტყვს გააგლეჯინოს, ან ცოცხლად დამარხოს, რაც ამ ბოლო დროს მესმის.

***— ეშმაკმა იმძლავრა?***

— დიახ, ამ ადამიანებს სულში ბოროტი ჩაუსახლდათ. როდესაც ეშმაკი მძლავრობს ადამიანზე, იგი ყველა ბოროტებას ჩაადენინებს მას, აიძულებს, რომ სწორედ საკუთარი შვილი მოკლას, გადააგდოს.

***— რა უნდა გააკეთოს ამ დროს ადამიანმა?***

— აუცილებლად ეკლესიაში უნდა მივიდეს მოძღვართან და აღსარება თქვას. შემდეგ უკვე მოძღვარი წარმართავს ყვლაფერს. აღსარება, ზიარება, შვიდგზის ზეთისცხება ეს არის აუცილებელი ამ დროს.

***— როდესაც წყვილი არ არის ჯვარდაწერილი, ამ შემთხვევაში შეიძლება ქრისტიანულად გაზარდო შვილი?***

— წყვილი აუცილებლად ჯვარდაწერილი უნდა იყოს და უნდა ეზიარებოდნენ. წყვილის ჯვრისწერა აუცილებელია. როდესაც ქორწინება არ არის ქრისტიანული წესის თანახმად შესრულებული, მაშინ ისინი არ არიან ქრისტიანული ოჯახი, ასეთი ოჯახი არ არის ღვთისგან კურთხეული, ამიტომ მე ყველა ოჯახს, ახლად შექმნილი იქნება თუ წლების წინ შექმნილი, მოვუწოდებ, რომ ქრისტიანული წესის თანახმად ჯვარი დაიწერონ. ჯვრისწერის შემდეგ წყვილი ეკლესიაში არ მოდის, ეს არის უარყოფა ღვთის. არადა, ღმერთს აძლევ აღთქმას და ამ დროს ეკლესიაში არ დადიან. რაც, რასაკვირველია, არ შეიძლება.

***— არის შემთხვევები, როდესაც არაკანონიერად ფეხმძიმდებიან და ხშირად ეს არის აბორტის, გადაგდების მიზეზიც...***

— მე მათ ვეტყოდი, რომ ამ შემთხვევაში ბავშვები უნდა გააჩინონ. ეკლესიაში მოვიდნენ, მოინანიონ და ეკლესიურ ცხოვრებას შეუდგნენ. იყო შემთხვევა, როდესაც ტაძარში მოვიდა გზააცდენლი გოგონა. დიდება უფალს, ღმერთმა ჩვენთან მოაგზავნა. პირველ რიგში ვკითხე, იყო თუ არა მონათლული. არაო, მითხრა. მაშინვე ვიზრუნეთ და მოვნათლეთ, მერე სამშობიაროში წავიყვანეთ და ვამშობიარეთ. გიორგობა დღეს გაჩნდა ბავშვი. რადგან გოგონა გაჩნდა, თამარი დავარქვით. ღვთისწყალობით ისეთი კარგი ბავშვია, სრულიად ჯანმრთელი. დედაც კარგად არის, დაიწყო ეკლესიური ცხოვრება. ისეთი მადლიერია, რომ ღვთის შეწევნა დააფასა. სამუშაოც ვუშოვეთ. მერე ბავშვთა სახლში წავიყვანეთ, იყვნენ ორივე დედა-შვილი, ახლა აქ არიან, ღმერთმა ყველაფერი გამოუჩინა, ყველა ყურადღებას აქცევს, მაგრამ ერთი დარდი ის გვაქვს, რომ ამ გოგოს მშობლები არ შეურიგდნენ. დედმაშვილებიც არ პატიობენ, გაბუტულები არიან. ძალიან დიდ შეცდომაში შედიან. ის ხომ უკვე მობრუნდა ღვთისწყალობით, ხომ მოინანია და დაიწყო ეკლესიური ცხოვრება. ღმერთმა მოიყვანა თავის სახლში. ახლა მისი უარყოფა არ შეიძლება, რა იცის, რა მოიელის თავად. დიდება უფალს, ყველაფერი მოგვარდა. ადამიანმა არ უნდა გადაწყვიტოს, ეს ასე უნდა იყოს და ის ისე, ყველაფერს ღმერთი განაგებს.

***— დედა ანა, თქვენ როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ ღვთის სამსახურში ჩამდგარიყავით?***

— ეს ღვთის ნება იყო შვილო. დიდება უფალს, უფლის რა ღირსი ვიყავი, მაგრამ ალბათ დედის მუცლიდანვე იყო გადაწყვეტილი, რომ ამ გზაზე დავეყენებინე უფალს. ეს ყველაფერი ღვთის განგებით იყო. ჩემით არაფერი მოხდებოდა. სულ დავიდიოდი ეკლესიაში და ვლოცულობდი. ხშირად მეცხადებოდა დედა ღვთისმშობელი და მეუბნებოდა: ჩემს სახლში წამოდი, ჩემთან წამოდი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და არ ვიცოდი, ეს რას ნიშნავდა. ბებიასთან ვიზრდებოდი. დედა და ბებია მზრდიდნენ. ბებია ძალიან ეკლესიური იყო, დედაც მორწმუნე იყო. მაშინ კომუნისტური პერიოდი იყო და ეკლესიაში სიარული გვეკრძალებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩუმად დავდიოდით. მახსოვს, დედა როგორ სწირავდა ეკლესიას ძღვენს. დედაჩემმა ხუთი შვილი ობლად გაგვზარდა ღვთის შეწევნით. ეკლესიები დაკეტილი იყო, კომუნისტები გვიკრძალავდნენ, მაგრამ მაინც დავდიოდით. მერე მივიღე გადაწყვეტილება, რომ მონაზვნად აღვკვეცილიყავი. პირდაპირ წავედი მცხეთაში დედათა მონასტერში. ეს იყო 1970 წელს. ახლა 78 წლის ვარ. დედებმა ძალიან კარგად მიმიღეს, სიხარულით სავსენი დამხვდნენ. ძალიან დიდი განსაცდელი მქონდა, 15 წლის ბიჭი დამეღუპა. მერე აღთქმა დავდე, რომ მონასტერში წავიდოდი. ჩემი შვილები პატარები იყვნენ, მაგრამ დედას დავუტოვე და მე მონასტერში წავედი. დღემდე მონასტერში ვარ, ისე საპატრიარქოში ვითვლები.

# მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ოთარ ჩხეიძის ნოველა წაიკითხა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ოთარ ჩხეიძის ნოველა „შავი თუთა“ წაიკითხა.

როგორც მწერლის ვაჟმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ოთარ ჩხეიძეს უამრავი ნოველა აქვს დაწერილი, რომლებმაც სამ წიგნად მოიყარა თავი. მესამე წიგნი ახლახან გამოვიდა. სწორედ მასში არის შესული „შავი თუთა“.

— ავტორის თავდაპირველი ჩანაფიქრით, ეს ნოველები უნდა ყოფილიყო გლოვა იმაზე, თუ როგორ ქრება სანუკვარი ქართული სოფელი, იკარგება მისი სიწმინდე. მაგრამ მერე მან დაინახა, რომ მხოლოდ გლოვა არ კმაროდა და ნოველებიც თანამედროვეობის მკაცრ სატირად გადაიქცა. ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისათვის არც ტრაგიზმი, არც დრამატიზმი და არც იუმორია უცხო. ეს ნოველაც იუმორით არის გაჟღენთილი, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ და დასძინა, რომ ნაწარმოების სიუჟეტის მარცვალი მწერალს მეგობარმა შოთა ასანიძემ მიაწოდა.




როგორც ზურაბ ცინცქილაძემ აღნიშნა, მას სურდა, ნაწარმოები ზეპირად ესწავლა და დამსწრე საზოგადოების წინაშეც ისე წარმდგარიყო, მაგრამ ორიგინალური სტილის გამო ორი აბზაციც ვერ დაიმახსოვრა.

ქართულ ლიტერატურაში ოთარ ჩხეიძის განსხვავებულ სტილს ხაზი ყველა გამომსვლელმა გაუსვა.

— მისი ენა და ნაწარმოებში აღწერილი გარემო ერთმანეთთან კონტრასტშიც არის და ჰარმონიაშიც. ამ ნოველაში ყველანაირი განწყობაა სოფლის, მისი სიწმინდეების დაკარგვის ნოსტალგიაც და თანამედროვე უარყოფითი ნაკადის გაკიცხვაც, რაც მშვენიერებას ებრძვის. „შავი თუთა“ გვიჩვენებს, რომ გარემომცველი სამყარო უთვალავი ფერით არის შექმნილი. მკითხველისათვის ამის სრულყოფილად ჩვენება ოთარ ჩხეიძეს შეუძლია, — აღნიშნა ელისო კალანდარიშვილმა.

თემურ ნადარეიშვილმა ოთარ ჩხეიძის შემოქმედება უილიამ ფოლკნერისას შეადარა. მისი თქმით, სახელოვანი მწერლის ნაწარმოებები ცნობიერების ნაკადით არის დაწერილი, რაც ამ დიდი ხელოვნების ერთგვარი დამცავი მექანიზმია.

შეხვედრაზე ისიც აღინიშნა, „შავი თუთა“ დღეისათვის მტკივნეულ საკითხებს იმდენად ხელშესახებად ასახავს, რომ 90-იან წლებში შექმნილი ეს ნოველა გუშინდელ დღეს დაწერილი გეგონება.

ზურაბ ცინცქილაძის მოსაზრებით, სასურველი იქნება, ნაწარმოებს სიდი-დისკიც ახლდეს, რომელზეც პროფესიონალის მიერ წაკითხული ტექსტი იქნება ჩაწერილი. მისი თქმით, ეს მკითხველამდე ნაწარმოების ინტონაციის სწორად მიტანას შეუწყობს ხელს.

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე: მწერალი თამაზ ხმალაძე, ექიმი მარინე პირველაშვილი და მთარგმნელი ნანი თარხან-მოურავი.

მედიანიუსი

ეკა ირემაშვილი

# გოჩა კაპანაძემ 17 თეატრიდან მიიღო შეთავაზება

## გოდერ ი ჩოხელს რუსთაველის თეატრში დადგამენ

**ქართველმა რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ აზერბაიჯანში რეკორდი მოხსნა — მან 17 თეატრიდან შეთავაზება მიიღო, რომ მათ თეატრში სპექტაკლი დაედგა. მის მიერ დადგმული „ხანუმა" ნამდვილი აღმოჩენა გახდა აზერბაიჯანულ თეატრალურ სამყაროში. აზერბაიჯანის კულტურის მინისტრისგან კი ბაქოს ერთ-ერთი დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდების დაკავების წინადადებაც მიიღო.**

გოჩა კაპანაძე:

— ეს ჩემთვის ძალიან დიდი წარმატებაა. მთელი ბაქო იყო პრემიერაზე. „ხანუმა" იქ ძალიან პოპულარულია. ბოლოს 30-40 წლის წინ დაიდგა ბაქოში. ყოფილ საბჭოთა სივრცეშიც კი „ხანუმა" იდგმება მოსკოვში, უკრაინაში. როგორც ჩანს, ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა" არ ბერდება. ახლა ამ სპექტაკლზე ბუმია. ამდენად, აზერბაიჯანელების სურვილი იყო, ეს პიესა დაგვედგა. არაერთი სპექტაკლი მინახავს ხანუმას შესახებ, თუმცა შეყვარებული ხანუმა არსად დაუდგამთ. ჩვენს სპექტაკლში კი ხანუმა შეყვარებულია.

***— ვისი მუსიკა შეუსაბამეთ თქვენს სპექტაკლს?***

— მუსიკასთან დაკავშირებით იყო რამდენიმე ვერსია — გია ყანჩელის ვერსია, აზერბაიჯანელი შემოქმედის ვერსია. მათ გაახსენდათ, რომ ბაქოს თეატრში წლების წინ იდგმებოდა „ქეთო და კოტე" ვიქტორ დოლიძის ვერსიით და ამ სამი ვერსიიდან გადაწყვიტეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, მუსიკათმცოდნეების ჯგუფმა და დირიჟორებმა კლასიკური ვერსია ანუ ვიქტორ დოლიძის ვერსია აერჩიათ. ვიქტორ დოლიძის მუსიკა და უშუალოდ ეს ოპერა არ არის მსუბუქი სამღერი, რაც საკმაოდ რთული შესასრულებელი აღმოჩნდა მათთვის, რადგან მასში შედის როგორც სოლოები, ასევე დუეტები, ტრიოები, კვარტეტები, გუნდები, არიები — ასე რომ, დიდი შრომა ჩატარდა და ძალიან საინტერესო შედეგი მივიღეთ.

***— რა დრო დაგჭირდათ სპექტაკლის დასადგმელად?***

— ამ ყველაფერს დასჭირდა სუფთა ოთხი თვე, მაგრამ რამდენიმე ხანი შეჩერებული ვიყავით, იმიტომ, რომ თეატრში რემონტი დაიწყო, რამაც დიდი პაუზა გამოიწვია, შემდეგ ისევ განვაახლეთ რეპეტიციები, ამიტომ პრემიერა დროში ცოტა გაგვეწელა. ეს არის 100 წლის თეატრი, სადაც ახლა საფუძვლიანი რემონტი მიმდინარეობს, მართლა უნიკალური თეატრია. თავის დროზე ამიერკავკასიაში ეს თეატრი ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკურად აღჭურვილი იყო მაშინ, რადგან ბოლო ტექნიკა პარიზიდან იყო ჩამოტანილი. იმ დროის შემდეგ ეს თეატრი სულ ლამაზდება და ლამაზდება. თეატრის იუბილესთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ კიდევ უფრო გალამაზდეს და დამშვენდეს. გამოდის, ულამაზესი იტალიელები აშენებენ, ჰოლანდიელები და ფრანგები კი ტექნიკურ მხარეზე ზრუნავენ.

***— როგორი იყო შეფასებები?***

— ძალიან კარგი პრესა იყო, ცოტა გადამეტებულიც, რომ მიკითხავდნენ, კი არ მეღიმებოდა, მეცინებოდა კიდეც.

***— რატომ?***

— ბევრად აღფრთოვანებული სიტყვები იყო გამოყენებული. ჩვენთან არ ვართ ასეთ რაღაცეებს მიჩვეული. შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ კარგი სპექტაკლია და რეჟისორიც ნიჭიერია, მაგრამ ქართველი თეატრმცოდნეები ერიდებიან ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიცაა, „ქართველმა რეჟისორმა გადაატრიალა აზერბაიჯანული რეჟისურის თანამედროვე გაგება", „ქართველმა რეჟისორმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის არის ქართველი გენიალური რეჟისორების შთამომავალი", „25 წელი მსგავსი სპექტაკლი აზერბაიჯანულ სცენას არ ღირსებია", „ჩადით საქართველოში და ისწავლეთ რეჟისურა" და ა.შ. ეს არის ცოტა გადაჭარბებული შეფასება, მაგრამ მთავარია, რომ სპექტაკლი მართლა კარგი გამოვიდა. არტისტები, რომლებიც გადაჩვეული იყვნენ ამდაგვარ მუშაობას რეჟისორთან, კმაყოფილები არიან. ისინი იხსენებდნენ აზერბაიჯანის თეატრის ოქროს ხანას. კარგი წერილები მიეძღვნა სპექტაკლს და კმაყოფილი ვარ.

***— თქვენ მიერ დადგმულ „ხანუმას" ჩამოიტანთ საქართველოში?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ საქართველოში გასტროლები აუცილებლად გვექნება. ჩემი დიდი სურვილია და მათაც გამოთქვეს მონდომება, ჩამოვიტანოთ ეს სპექტაკლი ქუთაისში, ბათუმში, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქართულ რეგიონებში. გვინდა სპექტაკლი ვაჩვენოთ მარნეულში, გარდაბანში. ერთი სპექტაკლი კიდევ გვინდა ვითამაშოთ ან რუსთავში, ან საქართველოს სხვა დიდ ქალაქში.

***— გამოდის, ამოქოქეთ აზერბაიჯანული თეატრი?***

— კი და სხვათა შორის, თვითონაც კმაყოფილები არიან. ჩვენ პრემიერა ვითამაშეთ ახალგაზრდულ თეატრში, ევროპული, ლამაზი თეატრია, რომელიც გერმანელებმა გაარემონტეს. რემონტის დასრულების შემდეგ, „ხანუმას" უკვე ჩვენი მშობლიური თეატრის დიდ სცენაზე ვითამაშებთ.

***— სხვა ქართველი ხელოვანებიც არიან ბაქოში?***

— კი, ჩვენი შესანიშნავი ქართველი მხატვარი შოთა გლურჯიძე მუშაობს უკვე მეორე სპექტაკლზე. ვიცი, რომ „რომეო და ჯულიეტას" იწყებენ. აზდრამაში, რომელიც ნაციონალური თეატრია და ჩვენი რუსთაველის თეატრივით არის, ლევან წულაძეა მიწვეული სპექტაკლის დასადგმელად.

***— თქვენ არ გაქვთ სხვა თეატრებიდან შემოთავაზებები?***

— რა თქმა უნდა. ბევრი შემოთავაზება მაქვს. იქ ქართველები ისედაც მრავლად არიან, ახლა კი ჩვენ, ხელოვანებმაც გადავსხით კულტურული დესანტი რაღაც პერიოდით. ეს ის არის, დათვი შემხვდა ტყეში, დავეტაკე, დამეტაკაო. მგონია, რომ ძალიან ნაყოფიერი იქნება ჩვენი კულტურული ურთიერთობა ორივე მხარისთვის. ძალიან სასიამოვნო პროცესია. ერთია, როცა ჩადიხარ რამდენიმე დღით როგორც ტურისტი, მოსწონხარ და შენც მოგწონს, მაგრამ მეორეა, როცა ხანგრძლივად გიწევს იქ ცხოვრება მათ ხასიათებს, ბუნებას, თვისებებს ადამიანურს და პროფესიონალურს ეცნობი და მათთან ერთად შრომობ. ისინი არიან ძალიან შრომისმოყვარე, სასიამოვნო, დადებითი, მაღალპროფესიონალი, სიტყვის ადამიანები, ნებისმიერი ადამიანისთვის კარგია მათთან მუშაობა. რაც მთავარია, ქართველები ძალიან ვუყვარვართ.

***— მანამდე გიმუშავიათ ბაქოს თეატრში?***

— არა, ბაქოს თეატრში არასოდეს მიმუშავია. მარტო როგორც მაყურებელი ვარ იქ ნამყოფი და ბევრი სპექტაკლი მაქვს ნანახი. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, როცა იქ ჩავდიოდით, სულ ვეცნობოდი მათ თეატრს. აქაც რომ ჩამოდიოდნენ, მაშინაც ვესწრებოდი მათ სპექტაკლებს.

***— სიმბოლურია, რომ დღეს თბილისის აზერბაიჯანულ თეატრს ხელმძღვანელობთ...***

— ალბათ. დღეს ვხელმძღვანელობ თბილისში არსებულ ჰეიდარ ალიევის სახელობის დრამატულ თეატრს. თუმცა ამას არ გადაუწყვეტია ის, რომ ბაქოში სპექტაკლი მე უნდა დამედგა. ვიცი, რომ ბევრ რეჟისორთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, მათ შორის იყვნენ ქართველებიც, რუსებიც, უკრაინელებიც. მთავარ როლს ვინც თამაშობს, მათი სახალხო არტისტია 55 წლის აფაქ



ხანუმი. ის არის ერთ-ერთი ცნობილი თეატრალური გვარის წარმომადგენელი. მისი მამა ძალიან ცნობილი მსახიობი იყო და პანთეონშია დაკრძალული, ბაქოში მისი ქუჩაც არსებობს. ამ ქალბატონმა გადაწყვიტა, რომ მე დამედგა სპექტაკლი, არ ვიცი რა მოტივით შემარჩია, მაგრამ როგორც ჩანს, გასაუბრებაზე გადაწყდა, რომ მე ვიქნებოდი ხანუმას რეჟისორი. მისი მოთხოვნა იყო, ხანუმა მისთვის გაეკეთებინათ, რადგან 55 წლის იუბილის გარდა, თეატრის სცენაზე მოღვაწეობის 30 წლის იუბილეც აქვს. ძალიან მონდომებული იყო დირექტორიც, რომელიც ყოფილი რეჟისორია და ახლა აღარ დგამს სპექტაკლებს, მაგრამ აქვს ძალიან საინტერესო ხედვა. ის ახალი მისულია თეატრში და უნდა, რომ ამ თეატრმა ახალი სიცოცხლე დაიწყოს. ძალიან საინტერესო გეგმები აქვს ამ ადამიანს თავის თეატრთან დაკავშირებით. ჩვენი სპექტაკლის მხატვარებიც ქართველები იყვნენ, ბატონი ლომგულ ურუშაძე და ორი ახალგაზრდა კოსტიუმების მხატვარი — ქეთევან ციციშვილი და თამარ მაჭარაშვილი, რომლებმაც მართლაც ფურორი მოახდინეს ბაქოში და დღეს მთელი ბაქო მათზე საუბრობს. მიხარია, რომ „ხანუმას" განხორციელება მარტო ჩემი წარმატება არ იყო და მჯერა, რომ მათ კიდევ არაერთხელ ექნებათ მიწვევა სხვადასხვა თეატრებიდან.

***— თქვენ როდის ჩახვალთ ბაქოში?***

— ბოლომდე არ გადამიწყვეტია, მაგრამ მოლაპარაკებები მაქვს სხვადასხვა თეატრებთან ერთჯერადი თანამშრომლობის შესახებ. მე მთლიანად არ შემიძლია მოვწყდე ჩემს ქვეყანას, საქართველოს, აქ ბევრი ვალდებულება მაქვს, ვმუშაობ რამდენიმე თეატრში, ამიტომ გრაფიკის დალაგება მიჭირს, თუმცა ხელშეკრელუბის დადების დროს აზერბაიჯანულ მხარესთან ამ ყველაფერს გავითვალისწინებ, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალოს.

***— ანუ ბაქოს კულტურის მინისტრის მიერ შემოთავაზებულ თანამდებობაზეც უარს ამბობთ?***

— რა თქმა უნდა. როცა დიდ თანამდებობას გთავაზობენ, მაშინ ვალდებულებაც დიდია, მე კი ხელის წაკვრით მუშაობა არ შემიძლია. თუ ასეთ თანამდებობას დათანხმდები, მაშინ იქ უნდა იყო, რომ ჩაირბინო, ჩააკითხო თეატრს და უკან წამოხვიდე, ასე არ შემიძლია. მირჩევნია, რამდენიმე სპექტაკლი დავდგა, ვიყო მიწვეული რეჟისორის სტატუსით სეზონის განმავლობაში, ვიდრე სულ იქ ვიყო. ჩემთვის უმჯობესია რამდენიმე სპექტაკლი შევათანხმო დირექციასთან და საქართველოში ვიყო. ეს გრაფიკი მაძლევს საშუალებას, იქაც ვიმუშავო პროექტებზე და აქაც. არ მინდა ვინმეზე და რამეზე მიჯაჭვული ვიყო. ადამიანი რაც უფრო მოძრაობაშია, მით უფრო საინტერესოა როგორც მისთვის, ისე იმ საზოგადოებისთვის, სადაც მუშაობ. როცა ერთ ადგილას ზიხარ, უფრო გიქვეითდება აღქმის მომენტი, აქცენტები, შეგრძნებები თანამედროვე პულსაციისა და ეჩვევი შენს სამყაროს, ამიტომ, რაც უფრო მოძრაობაში ხარ და ბევრგან მუშაობ, პირველ რიგში შენთვის არის საინტერესო. იმდენად დაკავებულია ყველა თეატრი, რეპერტუარი რომ შესთავაზო, მოდით, თქვენს თეატრში სპექტაკლს დავდგამო, ეს ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე ცოტა მიუღებელია და ბარიერებთან არის დაკავშირებული. დღეს თეატრალური სივრცე, თეატრალური ეთერი ისეთი გამჭვირვალეა, ვერაფერს დამალავ — ყველამ ყველაზე ყველაფერი იცის. იციან, ვინ როგორი რეჟისორია, ვინ რას დგამს, ვინ რისი მაქნისია, ამიტომ ყოველთვის ცდილობენ მაღალპროფესიონალი რეჟისორები მიიწვიონ თავის თეატრში.

***— რამდენი თეატრისგან მიიღეთ შეთავაზება?***

— 17-მა თეატრმა შემომთავაზა, მათ თეატრში დამედგა სპექტაკლი. ხუმრობდნენ კიდეც, გოჩამ კი არ აირჩიოს, რომელ თეატრში დადგამს სპექტაკლს, ჩვენ დავწეროთ ფურცლებზე თეატრის სახელები და ვინც ამოვა, იქ იმუშავოსო.

***— უახლოესი გეგმები როგორია?***

— გეგმაში მაქვს, დავდგა „ედიტ პიაფი", სადაც მრავლად იქნება ქორეოგრაფიული ელემენტებიც. ეს იქნება საერთაშორისო ქართულ-აზერბაიჯანულ-ფრანგული პროექტი. სექტემბრის ბოლოდან უკვე მეცოდინება ჩემი მთელი წლის თეატრალური გრაფიკი, რომ დავალაგო გეგმები. რაღაც პერიოდი მაქვს, როცა ვემზადები. ცოტა დიდხანს ვიცი მომზადება მასალაზე. ამის მიუხედავად, სეზონში სამი-ოთხი პრემიერის თამაშს მაინც ვახერხებ ხოლმე.

***— როგორც მსახიობსაც ხომ არ მოგიწევთ თამაში აზერბაიჯანულ თეატრებში?***

— აზერბაიჯანულ თეატრში არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ მარჯანიშვილის თეატრში ბატონი გიზო ჟორდანია აკეთებს გოგოლის „რევიზორს", სადაც დაკავებული ვარ, ამიტომ ვემზადები ამ სპექტაკლში სათამაშოდ. აზერბაიჯანს რაც შეეხება, ენა არ ვიცი, თუმცა არც ენის შესწავლის პრობლემაა, თუ მოინდომებ, ექვს თვეში უკვე მათი ენა გეცოდინება. იდეები მაქვს და რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს.

***— ხომ იციან, რომ მსახიობიც ხართ?***

— კი, იციან. იქ იცით, როგორ არის? ერთი კვირის შემდეგ უკვე ყველა ინტერნეტში ზის და ეძებს შენზე ინფორმაციას. თან არ მიყვარს ინტერნეტში ჩემზე ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ მაინც იგებენ რა გამიკეთებია და რას წარმოვადგენ.

***— დიდი ხნით ჩამოხვედით საქართველოში?***

— დიახ. საქართველოში დიდი ხნით ჩამოვედი, მაგრამ ერთი დღით მომიწევს ისევ გაფრენა ბაქოში. 13 ივნისს დაინიშნა „ხანუმას" კიდევ ერთი სპექტაკლი, ახლა ამერიკაში მიდის თეატრი სხვა სპექტაკლით. წინ კიდევ ერთი თვეა და უკვე არც ერთი ბილეთი არ არის სალაროში. დამირეკეს და მითხრეს, ეს რეკორდია, ასეთი რამ არ ხდებაო. ძალიან ბედნიერები არიან. ბაქოში ალბათ ორი დღით ადრე ჩავალ, რომ ტექნიკური რეპეტიცია ჩავატაროთ და სპექტაკლი მერე ვითამაშოთ.

***— რა ეტაპზეა აზერბაიჯანში კულტურული ცხოვრება?***

— ძალიან ინტენსიური მუშაობა მიდის, ბევრ ჩამოსულ უცხოელთან მუშაობენ — რუსებთან, ლიტველებთან. ლიტველებს ჰქონდათ შესანიშნავი პროექტი „სამყაროს შექმნა", რომელიც საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი პროექტი იყო. მანამდე ბერგმანმა გააკეთა ოპერა. მათი თეატრები მთლიანად მოდერნიზაციაზეა გადასული, ყველგან რემონტებია, სულ უცხოელები ჩამოყავთ — ძალიან კარგი კოლექტივები, სხვადასხვა ფესტივალების გამარჯვებულები, უზარმაზარი ფული იხარჯება ამ ყველაფერში. ამიტომ ხვდებიან აზერბაიჯანის კულტურული დაწესებულების ხელმძღვანელები, რომ თეატრები და კულტურული დაწესებულებები მაქსიმალურად თანამედროვედ უნდა იყოს აღჭურვილი მათ მისაღებად. ძალიან ბევრი საინტერესო რეჟისორი მუშაობს ბაქოში, კარგი სამსახიობო სკოლაა, ძალიან კარგი კინოსკოლა ჰქონდათ თავის დროზე აზერბაიჯანელებს, შესანიშნავი მომღერლები ჰყავთ, ფოლკლორი უმაღლეს დონეზეა, მათ ძალიან ეხმარება პირველი ლედი, ულამაზესი მეჰრიბან ხანუმ. შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთი შედარებით ნელა მიიზლაზნება, ვიდრე ევროპა, მაგრამ განახლებული ბაქო არის ძალიან გალამაზებული, ყოველდღე იცვლება, ლამაზდება, ყოველდღე ახალი ოფისი იხსნება და ძალიან ბევრი ქართველები არიან. როგორც ვიცი, ბაქოში ქართული სკოლის გახსნასაც აპირებენ.

***— როგორ დაგხვდათ თბილისის აზერბაიჯანული თეატრი უთქვენოდ?***

— მათთან ყოველდღიურად მქონდა სატელეფონო კონტაქტი, კარგი დასია, კარგი მოადგილეები არიან. ჩვენი თეატრის გალამაზება ხდება, ჩვენ თბილისის ძველ ისტორიულ უბანში ვართ, ირგვლივ ყველაფერი იცვლება. სახურავიც გვქონდა ახდილი, მაგრამ გაგვიკეთეს, ქუჩის მოპირკეთება ხდება, კიბეების განახლება მიმდინარეობს და მოკლე დროში ჩვენც ძალიან ლამაზი თეატრი გვექნება.

***— უკვე ტრადიციად იქცა, რომ თქვენ მიერ დადგმული „მოხუცი ჯამბაზები" ვარსკვლავების გახსნის ცერემონიალის განუყოფელი ნაწილია...***

— ეს უკვე ტრადიციაა და ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთი დიდი მსახიობების ვარსკვლავების გახსნა, სწორედ ჩემ მიერ დადგმული სპექტაკლის თანხლებით მიმდინარეობს.

***— „მოხუცი ჯამბაზები" და „მზის დაბნელება საქართველოში" მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ასეთი კომერციული გათვლა როგორ გააკეთეთ?***

— არავითარი კომერციული გათვლა არ გამიკეთებია, გულწრფელად გეუბნებით, მე დავდგი სპექტაკლი იმ მსახიობებთან, რომლებთანაც მუშაობა ძალიან მინდოდა. ამ სპექტაკლებში ისეთი მსახიობები არიან დაკავებული, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ვიცი, რომ მაყურებელი ძალიან მადლიერია. 7 ივნისს არის დანიშნული „მოხუცი ჯამბაზები" და ბილეთები უკვე არ არის. ჩემი ინგლისელი მეგობრები ჩამოდიან სტუმრად და მიუხედავად იმისა, რომ დამდგმელი რეჟისორი ვარ, ორი ბილეთი ვიყიდე.

***— საკუთარ სპექტაკლებზე ბილეთებს ყიდულობთ?***

— კი, სხვათა შორის, ბაქოშიც ასე მომიწია.

***— კონფლიქტური რეგიონების თეატრებთან თუ იმუშავებთ?***

— ვაკეთებ სპექტაკლს ცხინვალის თეატრში, მისმა მმართველმა შემომთავაზა დამდეგა სპექტაკლი და უარი არ მითქვამს. მინდოდა ვოდევილი განმეხორციელებინა და ვაკეთებ გიორგი ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდს". პარალელურად, სოხუმის თეატრში დავიწყებ შალვა დადიანის „გუშინდელნის" დადგმას, რომელიც ჩემი ერთ-ერთი საყვარელი და დიდი ტრადიციის პიესაა. თან რუსთაველის თეატრში ბრწყინვალე სპექტაკლი იყო ამ პიესის მიხედვით განხორციელებული. ჩვენ მას ვერ შევეჯიბრებით, მაგრამ მიყვარს ეს პიესა და სურვილი მაქვს დავდგა. მაქვს მშობლიური წინადადება ზესტაფონის თეატრიდან, სადაც კლდიაშვილის დადგმა უნდათ. თან ზესტაფონის ფეხბურთელები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, ამიტომ ზესტაფონელები ასე ადვილად ხელწამოსაკრავი ხალხი არ ვართ. მარტო მთაწმინდაზე ორი ადამიანია ზესტაფონელი — უდიდესი მსახიობები უშანგი ჩხეიძე და სერგო ზაქარიაძე. ძალიან დიდი თეატრალური ქალაქია ზესტაფონი, საკმაოდ სერიოზულად ვემზადები კლდიაშვილის განსახორციელებლად, თან თითქმის არ დადგმულა კლდიაშვილი ზესტაფონის თეატრის სცენაზე.

***— რუსთაველის თეატრში არაფერს დადგამთ?***

— რობერტ სტურუასთან მქონდა მოლაპარაკება და გადავწყვიტეთ, რომ განვახორციელებ გოდერძი ჩოხელს. ეს იქნება პირველი მცდელობა გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ქართულ სცენაზე გადმოტანისა. მე და ქალბატონი მანანა გეგეჭკორი ვმუშაობთ ამ თემაზე, ურთულეს რაღაცას შევეჭიდეთ და ვგრძნობ, რაც უფრო ღრმად შედიხარ, მით უფრო ეფლობი მის სამყაროში.

# ამერიკის პირველი კომიკოსი ჯიმ კერი

ამერიკული კინოსამყაროს ბოლო დროის ყველაზე ფენომენალურ კომიკოს მსახიობად აღიარებული ჯიმ კერი კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში. 1997-98 წლებში ზედიზედ ორჯერ მსახიობი „ოქროს გლობუსის“ პრემიის ლაურეატიც გახდა.

### ბავშვობა

ჯიმ იუჯინ კერი დაიბადა 1962 წლის 17 იანვარს კანადის პროვინცია ოტარიოს პატარა ქალაქ ნიუ□მარკეტში. მამამისი უიღბლო მუსიკოსი იყო. თავად საქსოფონზე დაკვრას აღმერთებდა, მაგრამ პურის ფულის შოვნა ბუღალტრობით უხდებოდა. დედამისი კი მრავალშვილიანი ოჯახის დიასახლისი იყო. საერთოდ, ოჯახი ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობა და კერის ბავშვობას ბედნიერს ვერ ვუწოდებთ.

მომავალი მსახიობი არც სკოლაში გამოირჩეოდა დიდი წარმატებებით. მისი საყვარელი საქმიანობა სარკის წინ დგომა და „როჟების კერვა“ იყო. უკვე 10 წლის ასაკში ეს იმდენად კარგად გამოსდიოდა, რომ თავისი საუკეთესო „ნამუშევრის“ 80 სურათი ტელევიზიაში გააგზავნა, კეთილი მასწავლებლები კი უფლებას აძლევდნენ, გაკვეთილების შემდეგ 15-წუთიანი წარმოდგენა გაემართა თანაკლასელებისთვის.



### კარიერის დასაწყისი

15-წუთიანი წარმოდგენები გახდა მისი კარიერის დასაწყისი. 16 წლის ასაკში კერიმ სკოლა მიატოვა, ტორონტოში წავიდა და შტურმით აიღო იქაური კომედიური კლუბის სცენები, სადაც საკუთარ პაროდიებს აჩვენებდა მაყურებელს.

სწორედ ტორონტოში შეამჩნია მისი ტალანტი ცნობილმა იმპრესარიომ როდნი ჯენჯერფილდმა. მან ხელი მოჰკიდა ყმაწვილს და ლას ვეგასში წაიყვანა, სადაც ცნობილ კლუბ „იუკ□იუკში“ მოუწყო გამოსვლა. ეს ვოიაჟი მისთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა და ახალგაზრდა მსახიობმა კანადაში პატარა ტურნეც მოაწყო, ხოლო 1979 წელს ლოს-ანჟელესში გაემგზავრა, სადაც უმალ მიიღეს თეატრ „კომედიურ მაღაზიაში“.

### კინო

ჯიმ კერის მთავარ სამიზნედ დიდ ეკრანზე გამოჩენა რჩებოდა. კერიმ წარმატებით დაამთავრა სამსახიობო კურსები და ცნობილ მსახიობებთან ერთად ხშირად ჩნდებოდა იუმორისტულ შოუებში ადგილობრივ კლუბებში. ჯიმი მალე შეამჩნიეს რეჟისორებმა და პროდიუსერებმა. რამდენიმე მცირე კინოროლის შემდეგ კერის ბედმაც გაუღიმა — 1985 წელს გადაიღეს ფილმში „ერთხელ ნაკბენი“, სადაც უმწიკვლო ყმაწვილის როლს თამაშობს, რომელსაც ვამპირი ქალი დასდევს. პუბლიკას ძალიან მოეწონა ახალი მსახიობი და აღტაცებით მიიღო.

ამის მიუხედავად, კერი აგრძელებს კლუბებში გამოსვლებს და ნელ-ნელა ისევ პატარა როლებს სჯერდება. თუმცა, ფილმები უკვე ხმაურიანებია — ფრენსის კოპოლას „პეგი სიუ გათხოვდა“ და ბადი ვან ჰორნის ორი ფილმი — „მკვდარი მორევი“ და „ვარდისფერი კადილაკი“, სადაც კერი პარტნიორობას თვით კლინტ ისტვუდს უწევდა. თავისი კომედიური ტალანტი კი კერიმ მაინც მასობრივ შოუ „ცოცხალ სალებავებში“ გამოამჟღავნა, რომლის აქტიური მონაწილეც იყო. ამ მომენტიდან იწყება მისით რეჟისორებით სერიოზული დაინტერესება.

### 90-იანი წლები

რეჟისორ ჩარლზ რასელის ფილმმა „ნიღაბმა“, რომელიც მისი მეთხუთმეტე ნამუშევარია, მსახიობს უდიდესი წარმატება, აღიარება და უზარმაზარი ჰონორარები მოუტანა. ფილმში კერიმ დემონსტრირება გაუკეთა სახის მიმიკებს, რომელიც სიამოვნებით მიიღო მაყურებელმა.

მისი ნამუშევრები თანდათან განუმეორებელი ხდებოდა. კერი განსაკუთრებულად ფლობდა სხეულს, ძალიან მოქნილი და პლასტიკური მოძრაობებით გამოირჩეოდა, თუმცა, ყველაზე განსაკუთრებული მაინც მისი სახის მიმიკების განსხვავებული სტილი იყო. ამ ყველაფერს თუ დავუმატებთ უზადო საცეკვაო ხელოვნებასა და ცხოველებთან მუშაობის ცოდნას, რომელიც გაჯერებული იყო კომპიუტერული ეფექტებით, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად ხმაურიანად შეაბიჯებდა კერი ჰოლივუდში.

არანაკლები პოპულარობა მოუტანა კერის მცირებიუჯეტიანმა ფილმმა „აის ვენტურამ“. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ფილმის შემოსავალმა 38 მილიონს გადააჭარბა. ეს თითქოს დიდი შემოსავალი არ არის, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მის გადასაღებად 10-ჯერ ნაკლები თანხა დაიხარჯა, მაშინ ფილმი ნამდვილად წარმატებული გამოდგა.

მისი შემდგომი კინოჰიტი იყო „ჩლუნგი და ჩლუნგზე ჩლუნგი“, რომელიც კრიტიკოსებმა ცუდად მიიღეს, მაგრამ მაყურებელს თავისი კერპი მაინც მოსწონდა. დიდებისკენ პირველი სერიოზული ნაბიჯი აღმოჩნდა მისი ნამუშევარი ფილმში „ბეტმენი სამუდამოდ“, რომელმაც თვით კრიტიკოსებიც კი აღაფრთოვანა და თავად კერის წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ. ზუსტად 2 წელიწადში კი მათი წინასწარმეტყველება ახდა და მსახიობი პირველად გახდა „ოქროს გლობუსის“ ლაურეატი. ეს მოხდა ფილმში „მატყუარა, მატყუარა“ თამაშისთვის.

მალევე გამოვიდა ეკრანებზე მისი მორიგი ნამუშევრები — „სადენების სპეციალისტი“, რომელმაც თავად მსახიობს 20 მილიონი დოლარი მოუტანა და „უოლტერ მიტის საიდუმლო ცხოვრება“. ჯიმ კერის „მუდმივი მანჭიასა“ და ამერიკის პირველი კომიკოსის იარლიყი მიეკერა.

ამას მოჰყვა ზედიზედ მეორე „ოქროს გლობუსის“ პრემია, რომელიც ფილმ „ტრუმენის შოუში“ თამაშისთვის დაიმსახურა.

### 2000-იანი წლები

აღიარებული კერი უკვე ექსპერიმენტებსაც არ ერიდება და, კომედიის გარდა, ძალები სხვა ჟანრის ფილმებშიც მოსინჯა. მართალია, მისი ექსპერიმენტები ისეთივე წარმატებული ვერ გამოდგა, როგორიც კომედიაში, მაგრამ მსახიობს ამით ბევრი არაფერი დაჰკლებია.

თუმცა, კერი შემდეგში სხვაგვარად მიუდგა საქმეს და კომედიური ჟანრის ფსიქოლოგიურ ტრილერებსა და მიუზიკლებში გადაწყვიტა თამაში. აქ უკვე კერი ნამდვილად თავის ამპლუაში წარდგა მაყურებლის წინაშე. წარმატებული გამოდგა მისი ფილმი „ყოვლისშემძლე ბრიუსი“, რომელმაც თვით კრიტიკოსები დაადუმა. ფილმ „ნომერი 23“-ის სცენარის წაკითხვის შემდეგ მსახიობმა ჯოელ შუმახერმა განაცხადა, რომ ეს სპეციალურად ჯიმ კერისთვის არის დაწერილი და ასეც მოხდა — მთავარ როლში კერი მიიწვიეს და, ცხადია, წარმატებითაც ითამაშა.

კერი ყოველთვის ირჩევდა იმ ფილმებს, რომლებიც მის პიროვნებასთან ახლოს იყო. ამასთან, ცდილობდა თავისი სამსახიობო გამოცდილება კიდევ უფრო გაეღრმავებინა.

### პირადი ცხოვრება

კერის პირველი ცოლი, მელისა, მხოლოდ ერთს ითხოვდა — ქალურ ბედნიერებას. წყვილი ტორონტოში მყუდრო სახლში ცხოვრობდა. კერის კარგი შემოსავალი ჰქონდა, კარიერას მაშინ იწყებდა და თითქოს ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავად მსახიობმა გადაწყვიტა ცოლისა და შვილის მიტოვება. თუმცა, მთლად უპატრონოდაც არა — გოგონას უყიდა ყველაზე ძვირადღირებული ველოსიპედი, ტანსაცმელი, სათამაშოები და ყოფილ ცოლს თვიურად 10.000 დოლარს უგზავნის.

მისი მეორე ცოლი იყო მსახიობი ლორენ ჰოლი, რომელიც ფილმში „ჩლუნგი და ჩლუნგზე ჩლუნგი“ მისი პარტნიორი იყო, მაგრამ მათი თანაცხოვრება წელიწადზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა. მიზეზად კერის ცუდი ხასიათი სახელდება, რომელიც მას პირველი ქორწინებიდან მოჰყვებოდა.

თუმცა, ქალი, რომელიც მასთან ერთად იცხოვრებდა, ისევ გამოჩნდა — რენე ზელვეგერი, ნაკლებად წარმატებული მსახიობი, თავის წინამორბედებზე გაცილებით ჭკვიანი აღმოჩნდა და ქმარში მხოლოდ სპონსორს არ ხედავდა. თავად კერიც აღფრთოვანებული იყო რენეთი, მაგრამ დიდხანს ვერც ამ წყვილმა გაძლო და ერთმანეთს დაშორდნენ.

ამის შემდეგ კერი ღიად აცხადებდა, რომ მარტო ცხოვრება უკეთესია და მას შემდეგ ფლირტებით ერთობა. ახლა მისი ცხოვრება მხოლოდ გადასაღებ მოედანს უკავშირდება და ღამით სახლში მარტოა. მიუხედავად კარჩაკეტილი ცხოვრებისა, დეპრესია არ აქვს, ვერ იტანს სასმელსა და ნარკოტიკებს. მისთვის ყველაზე საინტერესო გართობა კი მოტოციკლეტით ქროლვაა.

### საინტერესო ფაქტები

ხალხისთვის ღიმილის მოგვრა კერის სურვილი კი არა, ცხოვრების მიზანი იყო. ის ყველას უყვარს, მაგრამ სერიოზულად არავინ აღიქვამს.

მისი ოცნებაა, დაჯდეს ტერასაზე, გააბოლოს ანაშა, დალიოს ტეკილა და აკნატუნოს ჩიპსები გოგონებთან ერთად. ცხადია, ამ ოცნების ასრულება კერის არ გაუჭირდება და ალბათ ხვდებით, რატომაც ოცნებობს.

ჯიმ კერი არის ბუდისტიც, მუსლიმანიც და ქრისტიანიც. მას სწამს ყველა რელიგიისა და, როგორც თავად ამბობს, ამ რელიგიებს ბევრი საერთო აქვთ, ასევე მცირე დოზით სჯერა ნუმეროლოგიისა და ასტროლოგიის.

მსახიობი თავისი უზარმაზარი ჰონორარებიდან არასდროს იშურებდა სერიოზულ თანხას ქველმოქმედებისთვის.

# ჯოდი ფოსტერი — საიდუმლოებით მოცული ოსკაროსანი

ამერიკელი კინომსახიობი ჯოდი ფოსტერი „ოსკარის“ პრემიის ორგზის ლაურეატია — 1989 და 1991 წლებში. განსაკუთრებით ცნობილი გახდა ფილმებით „ბრალდებულნი“ და „კრავთა დუმილი“.



### ბავშვობა და კინოკარიერა

ალისა კრისტინ ფოსტერი — ასეთია მისი ნამდვილი სახელი და გვარი, 1962 წლის 19 ნოემბერს ლოს ანჟელესში დაიბადა. მისი კინოკარიერა თითქმის დაბადებიდანვე დაიწყო. უკვე 2 წლის ასაკში გადაიღეს სარეკლამო რგოლში, ხოლო 7 წლის ასაკში ტელესერიალში „პატრიკების ოჯახი“ პატარა როლი ითამაშა.

მამამ ოჯახი ჯერ კიდევ გოგონას დაბადებამდე მიატოვა. ამიტომ ცოლ-შვილი ხელმოკლედ ცხოვრობდა და მშველელად სწორედ ჯოდი მოევლინათ, რომელსაც უკვე ბავშვობაში გაუჩნდა შანსი, ოჯახს დახმარებოდა.

10 წლისას დებიუტი კინოშიც ჰქონდა — ფილმში „ნაპოლეონი და სამანტა“. შემდეგ იყო რამდენიმე ეპიზოდური როლი, მაგრამ — დატვირთული გრაფიკით. ამის მიუხედავად, ჯოდი კალიფორნიის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში წარმატებით სწავლობდა, თანატოლებთან არცთუ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, რადგან მსურველიც არავინ იყო, ეკონტაქტა გოგონასთან, რომელსაც თავი ვარსკვლავად მოჰქონდა.

1974 წელს რეჟისორმა მარტინ სკორსეზემ გოგონა მიიწვია ფილმში „ალისა აქ აღარ ცხოვრობს“, ხოლო 2 წლის შემდეგ ჯოდიმ შესანიშნავად ითამაშა ფილმში „ბაგსი მელოუნი“.

იმავე წელს გენიალურმა სკორსეზემ ჯოდი არასრულწლოვანი მეძავის როლზე მიიწვია ფილმში „ტაქსის მძღოლი“. შორტებსა და უზარმაზარ შლაპაში გამოწყობილი გოგონა ყვავილივით გამოიყურებოდა სიბინძურეში, ხოლო ძალიან ღია სცენებში მას დუბლიორობას უფროსი და უწევდა.

ფილმმა ფოსტერი ამომავალ ვარსკვლავად აქცია, ხოლო ამერიკაში მოზარდები თუ მოწიფული მამაკაცები ჯოდისთან ურთიერთობაზე ფიქრობდნენ.

„ტაქსის მძღოლის“ შემდეგ გოგონამ რამდენიმე როლი ითამაშა, რომლებიც შეუმჩნეველი დარჩა. ეს იმის გამო მოხდა, რომ ან ფილმი იყო სუსტი, ანაც — რეჟისორის მუშაობა. გოგონას კარიერას ხელი დედამ მოჰკიდა, რომლის წყალობითაც ჯოდი მეორეხარისხოვან მსახიობად არ იქცა.

18 წლის ასაკში გოგონამ ჰოლივუდი მიატოვა, სწავლა იელის უნივერსიტეტში განაგრძო და იქ 6 წელი დაჰყო.

### კარიერის გაგრძელება

1985 წელს ფოსტერმა წარმატებით დაასრულა უნივერსიტეტი და ჰოლივუდს დაუბრუნდა. სწავლით გამოწვეულ პაუზას გარკვეულწილად უკვე ემოქმედა და ჯოდისადმი ინტერესი რეჟისორების მხრიდან განელებული იყო. ამიტომ უკვე თავად ცდილობდა, მხოლოდ ის როლები შეერჩია, რომლებიც თავად მოეწონებოდა. ასე გამოჩნდა ფილმებში „სიესტა“, „ხუთი კუთხე“ და „მოქნილი დარტყმა“. ეს უკანასკნელი კრიტიკოსებმა არ მიიღეს და მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ფილმში დაუვიწყარი მხოლოდ ფოსტერი იყო.

ამის შემდეგ ფოსტერმა შეცვალა გარყვნილი გოგოს იმიჯი და სხვა მსახიობებთან დაძაბულ ბრძოლაში მოახერხა, მთავარ როლზე დაემტკიცებინათ ფილმში „ბრალდებულნი“, რომელმაც „ოსკარი“ მოუტანა და უკვე მყარად დამკვიდრდა მაღალი კლასის მსახიობთა სიაში. ამის შემდეგ ჯოდის კარიერა დიდი სისწრაფით მიიწევს წარმატებისკენ. ჯოდიმაც სასწრაფოდ მოიშორა ზედმეტი კილოგრამები, რამაც უფრო მომხიბვლელი გახადა და პარალელურად კრივში დაიწყო ვარჯიში.

### „კრავთა დუმილი"

ეს ფილმი მის კარიერაში ცალკეა გამოსაყოფი. 1991 წელს შესრულებულმა მელისა სტარლინგის როლმა ჯოდის „ოსკარის“ კიდევ ერთი ქანდაკება მოუტანა. ფილმში ფოსტერს პარტნიორობას უწევს ასევე ყველასთვის კარგად ნაცნობი მსახიობი ენტონი ჰოპკინსი.

ცხადია, ამ აღიარების შემდეგ ფოსტერზე მოთხოვნა არ წყდება. 1993 წელს რეჟისორ ჯონ ემიელის მელოდრამაში „სომერსბი“ ჯოდიმ ტემპერამენტიანი ლორის როლი ითამაშა, ხოლო პარტნიორობას უკვე რიჩარდ გირი უწევდა.

კიდევ ერთი სუპერვარსკვლავი, მელ გიბსონი, მისი მეწყვილე გახდა ფილმში „მავერიკი“, რომელიც 1994 წელს არის გადაღებული. ფილმის დასრულების შემდეგ მედია მათ რომანზე ალაპარაკდა, მაგრამ ამ საუბარს ბოლო თავად გიბსონმა მოუღო, რომელმაც განაცხადა, რომ არ შეუძლია, ახლო ურთიერთობაში იყოს ქალთან, რომელმაც ღრმა ნოკაუტში გაგზავნა და ეს პირდაპირი გაგებით თქვა — ფოსტერი შესანიშნავი მოკრივე გამოდგა.

საერთოდ, ჰოლივუდში აღიარებული ფოსტერი ძალიან იშვიათად ჩნდებოდა საღამოებზე და მამაკაცები ხშირად აღიარებდნენ, რომ მასთან ინტიმურ ურთიერთობაში შესვლა საშიშიც იყო.

ფოსტერს შეეძლო, კიდევ ერთი ქანდაკება მიეღო, როდესაც ფილმში „ნელ“ ითამაშა. ჯოდი „ოსკარის“ ნომინაციაზე წარდგენილი კი იყო, მაგრამ მაშინ მისი მოპოვება ვერ მოახერხა.

### 2000-იანი წლები

ამ ათწლეულში ფოსტერმა რამდენიმე შესანიშნავი კინოროლი შექმნა. ერთია, ჯოდი უკვე ასაკში იყო შესული და უფრო სხვა ტიპის როლების შესრულება უხდებოდა. ამის მაგალითია „შიშის ოთახი“, სადაც 35 წლის ჯოდი უკვე დედის როლს თამაშობს. 2005 წელს ფოსტერმა დაარწმუნა „დისნეის“ სტუდიის ბოსები და რეჟისორი რობერტ შტინკე, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ტრილერ „გაფრენის ილუზიაში“ მთავარ როლს ქალი ითამაშებდა. ფოსტერმაც შესანიშნავად ითამაშა ავიაინჟინრის როლი, თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ელემენტარული მათემატიკური მოქმედებების შესრულებაც კი უჭირდა.

2006 წელს დენზელ ვაშინგტონთან და კლაივ ოუენთან ერთად ჯოდიმ ითამაშა სპაიკ ლის ფილმში „ვერ დაიჭერ, ქურდი არ არის“, რომელსაც კიდევ რამდენიმე კინოროლი მოჰყვა და ბოლო დროს მსახიობმა ხანმოკლე პაუზა აიღო, თუმცა, კარიერის დასრულებას ჯერ არ ფიქრობს.

### პირადი ცხოვრება

მიუხედავად იმისა, რომ მისი კარიერა ელვის სისწრაფით მიიწევდა წინ, პირადი ცხოვრება საიდუმლოდ რჩებოდა. ჟურნალისტებმა მის რომანებზე ვერანაირი ინფორმაცია ვერ მოიპოვეს და შემდეგ ჯოდის ჰომოსექსუალურ გადახრებზე ალაპარაკდნენ.

მათთვის მოულოდნელად 1998 წელს ჯოდიმ ბიჭი შვა, მაგრამ ისევ საიდუმლოდ დარჩა მამის ვინაობა, ხოლო თავად ჯოდი აცხადებდა, რომ შვილი ხელოვნური განაყოფიერების შედეგია.

2001 წელს ფოსტერს უკვე მეორე ბიჭი შეეძინა და ახლა 2 შვილს ზრდის, რომლებსაც არასდროს ეცოდინებათ, ვინ არის მათი მამა.

საერთოდ, ჯოდი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა და მისი სახლი ნამდვილ ციხესიმაგრეს ჰგავს — ულტრათანამედროვე სიგნალიზაცია, ტყვიაგაუმტარი მინები, ლითონის ჟალუზები და სხვა დამცავი ტექნოლოგიები. სახლშიც თავად აკეთებს ყველაფერს და მოსამსახურეებს პირველ მოღალატეებად მიიჩნევს.

### საინტერესო ფაქტები

მის პატივსაცემად ასტეროიდს ნომრით 17744 ჯოდი ფოსტერი უწოდეს.

2007 წელს ფოსტერმა სენსაციური განცხადება გააკეთა და თქვა, რომ 14 წლის მანძილზე ცხოვრობდა ლესბოსელ პროდიუსერ სიდნი ბერნარდტთან, ხოლო მისი ახალი სიყვარული 51 წლის სცენარისტი და პროდიუსერი სინდი მორტია.

ჯოდი ფოსტერი ჰილარი სუონკთან ერთად ის მსახიობია, რომელმაც 2 „ოსკარის“ მიღება 30 წლამდე მოასწრო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ჯოვანი დოს სანტოსი — გამოცდილი ახალგაზრდა

მექსიკელი ჯოვანი დოს სანტოსი ჯერ 21 წლისაა, თუმცა მისი სახელი საფეხბურთო სამყაროს უკვე 4 წელია პირზე აკერია. ის ჯერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი, როცა „ბარსელონას“ შემადგენლობაში გამოჩნდა და გულშემატკივარი მოხიბლა. ჯოვანის კარიერა ისე ვერ წარიმართა, როგორც ამას მისი ფანები ისურვებდნენ, რადგან ინგლისში გადასვლამ აშკარად უკან დახია. მექსიკელი სანტანდერის „რასინგში“ ბოლო ხანს მშვენივრად გამოიყურება და ფიფას საიტის ჟურნალისტმა, ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა მასთან გასაუბრება.

***— ჯოვანი, როგორ გრძნობთ თავს ამჟამად?***



— უაღრესად კმაყოფილი ვარ იმით, როგორც მიდის ამ ქალაქში ჩემი საქმეები. ვფიქრობ, ესპანეთში დაბრუნებამ ჩემს პროგრესში უმთავრესი როლი ითამაშა. ეს ხომ ის ქვეყანაა, სადაც ფეხბურთის თამაში ვისწავლე. აქ ნამდვილად მეძლევა საშუალება, ვაჩვენო ყველაფერი, რისი თავიც მაქვს. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი მოტივაცია, რამაც „რასინგში“ გადასვლა გადამაწყვეტინა. ახლა მთავარია, პრიმერაში ადგილის შენარჩუნება მალევე გავინაღდოთ.

***— „ტოტენჰემში“ გატარებული პერიოდის შემდეგ თავს ნამდვილად თავისუფლად უნდა გრძნობდეთ.***

— ლონდონში ორი საკმაოდ მძიმე წელიწადი გავატარე, რადგან მხოლოდ ეპიზოდურად მიწევდა თამაში. მათ ჩემთვის უბრალოდ შანსიც კი არ მოუციათ. არადა, თავის დროზე ხუანდე რამოსმა მითხრა, რომ ძირითადის ფეხბურთელად მომიაზრებდა. მერე რედნაპი მოვიდა, რომლის გეგმებშიც ვერაფრით ჩავჯექი. სეზონის წინ დიდი იმედები მქონდა, რადგან მოსამზადებელ ეტაპზე კარგად ვთამაშობდი, მაგრამ ჩემპიონატის განმავლობაში ისევ განაცხადს მიღმა ვრჩებოდი.

***— მენეჯერთან პირადი პრობლემები ხომ არ გქონიათ?***

— ასე ვერ ვიტყოდი. ვარჯიშისას 100 პროცენტით ვიხარჯებოდი იმისთვის, რომ კვირის ბოლოს მწვრთნელს ჩემთვის ცოტა მეტი დრო მოეცა, მაგრამ მას ჩემი არ ესმოდა. ახლა მთავარი ის არის, რომ სანტანდერში თავს კარგად ვგრძნობ და ვცდილობ, საუკეთესო ფორმაში რაც შეიძლება მალე ჩავდგე. ეს ჩემი მიზანია და უაღესად კონცენტრირებული ვარ, რათა ამ მიზანს მივაღწიო.

***— რთულ პერიოდს როგორ უმკლავდებოდით?***

— ყოველთვის ყველაფერი ისე არ ვითარდება, როგორც ადამიანს სურს. ასეა ფეხბურთშიც. კარიერა კარგი და ცუდი ეტაპებისგან შედგება. მთავარია, რომ ძლიერი ნებისყოფა გამოიჩინო და არ მისცე უფლება წარუმატებლობას, ძირს დაგცეს. მეც ასე მოვიქეცი — ვუთხარი ჩემს თავს, რომ მხოლოდ სიმშვიდე მიშველიდა.

***— ჯერ 21 წლის ხართ, მაგრამ მწვერვალებს უკვე რა ხანია ეპოტინებით. ბავშვობაში ელოდებოდით, რომ ყველაფერი ასე განვითარდებოდა?***

— სიმართლე თუ გინდათ, არ ვიცი. ვიმეორებ, ამ წუთში მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ დავიბრუნო ჩემი საუკეთესო ფორმა.

***— თქვენი უმცროსი ძმა ჯონათანიც „ბარსელონაშია“ და ძირითად გუნდში მოსახვედრად იბრძვის. რჩევებით თუ ეხმარებით მას?***

— როცა მას ველაპარაკები, მუდამ იმას ვუმტკიცებ, რომ მომთმენი უნდა იყოს. ის მსოფლიოს უპირველეს კლუბში ირიცხება და ფაქტია, რომ მის გვერდით მხოლოდ უმაღლესი დონის ფეხბურთელები თამაშობენ. მათთან ვარჯიშიც კი დიდი პატივია. ჯონათანმა სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს და თავის შანსს დაელოდოს.

***— ცოტა რამ მექსიკის ნაკრებზეც გვითხარით. როგორ მოგწონთ მისი ახალი ეპოქა?***

— ბედნიერი ვარ. ხოსე მანუელ დე ლა ტორემ დამარწმუნა, რომ ჩემი სჯერა. ვფიქრობ, ჩვენი ახალი გუნდი იმდენად ნიჭიერია, რომ შეუძლია ისტორიაში შესვლა. განსხვავებაც ეს არის ძველ ნაკრებთან, რომ ჩვენ ახალგაზრდები, მაგრამ გამოცდილები ვართ.

***— დე ლა ტორეს დანიშვნამდე გუნდმა დიდი რყევები განიცადა. მზად არიან თუ არა მექსიკელი ფეხბურთელები, რომ ეს ყველაფერი დაივიწყონ?***

— ვფიქრობ, ახალ მწვრთნელთან მუშაობა ჩვენმა ნაკრებმა სუფთა ფურცლიდან დაიწყო. გუნდში მკვიდრდება ახალი სისტემა და ყალიბდება ახალი ატმოსფერო. აღარ არის იმის დრო, რომ ცუდ რამეებზე ვიფიქროთ. რასაც აქამდე ჩვენზე ცუდს ლაპარაკობდნენ, ისიც ცოტა გადაჭარბებული იყო.

***— მექსიკის ნაკრები კონკაკაფის ოქროს თასზეც ითამაშებს და კოპა ამერიკაზეც. რომელ ტურნირში გირჩევნიათ ძალების გამოცდა?***

— თუკი შესაძლებელი იქნება, ორივეში სიამოვნებით ვიასპარეზებდი. თუმცა, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. რასაც ის მეტყვის, ულაპარაკოდ გავაკეთებ. მაგრამ, უნდა აღვნიშნო, რომ ერთი ოქროს თასი უკვე მოგებული მაქვს ნაკრებში, კოპაზე კი არასოდეს ვყოფილვარ.

# ლევან კორღალიძე: „დაჩიადან“ წასვლაზე დავფიქრდებოდი

**ლევან კორღალიძის კიშინიოვის „დაჩია" მოლდოვის ჩემპიონი გახდა, რითაც ტირასპოლის „შერიფის" ათწლიანი ჰეგემონია დაამხეს. ცხადია, ამ საქმეში უდიდესი წვლილი ქართველმა პლეიმეიკერმა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირმაც შეიტანა. კორღალიძემ კლუბის ვებგვერდზე გულშემატკივართა შეკითხვებსაც უპასუხა.**



ლევან კორღალიძე:

— დიდი სიხარული განვიცადე, რადგან წარმატებას სერიოზული შრომით მივაღწიეთ. როგორ? კარგი, ძლიერი და ერთსულოვანი შემადგენლობით. ჩვენ მხოლოდ ერთი მიზნით ვცხოვრობდით — გავმხდარიყავით ჩემპიონები. ჩემპიონი ლატვიაშიც გავხდი. მოლდოვის ოქროს მედალი კი კარიერაში წინგადადგმული ნაბიჯი და დიდი სიამოვნებაა, რადგან საკუთარი ძალების რწმენა გიჩნდება — რა თქმა უნდა, პრემიასაც არ ვივიწყებ.

***— უკეთესი პირობები რომ შემოგთავაზონ, სხვა კლუბში გადახვალ?***

— „დაჩია“ ჩემთვის ბევრს ნიშნავს, მაგრამ ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა, მე კი 40 წლამდე ვერ ვითამაშებ, მყავს ოჯახი, რომელიც უნდა ვარჩინო. ამიტომ უკეთესი შემოთავაზების შემთხვევაში დავფიქრდებოდი, მაგრამ, ალბათ, მაინც „დაჩიაში“ დავრჩებოდი.

***— მადლობა, ლევან, ჩვენს გუნდში რომ ხარ. გვახარებთ არა მხოლოდ სპორტული თვისებებით, არამედ გულახდილობითა და კეთილგანწყობითაც. რა საერთოა მოლდოველ და ქართველ ხალხს შორის?***

— ბევრია საერთოც და განსხვავებაც. ქართველები ფიცხი ხალხი ვართ, მოლდოველები — უფრო მშვიდნი. ჩვენ ერთნაირი რწმენა გვაქვს, ალბათ, ამიტომ ერთმანეთს უფრო ვგავართ.

***— წლეულს ყველაზე მეტად რომელი შეხვედრა დაგამახსოვრდათ?***

— 2001 წელს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „სკონტოში“ „ვისლას“ წინააღმდეგ ვითამაშე და გავიტანე. ეს გოლი ლატვიელებმა წლის გოლად აღიარეს. აქ კი „შერიფთან“ შეხვედრას გავიხსენებ, რომელშიც ანგარიში ბოლო წუთზე გავათანაბრე. ვფიქრობ, ჩემპიონობა იმ შეხვედრის შედეგმაც განაპირობა.

***— რომელია შენი საყვარელი სიმღერა — გია სურამელაშვილის „ბედი ისეთი რამ არის“?***

— იყო დრო, ამ სიმღერას ვუსმენდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სხვებზე მეტად მიყვარს.

***— ტიტულებიდან რომელია ყველაზე ძვირფასი?***

— ლატვიაში მივიღე „ყველაზე კაცური ფეხბურთელის“ პრიზი. საქმე ისაა, რომ მძიმე ტრავმის გამო 6 თვე თამაში ამიკრძალეს, მაგრამ მოედანს ნაადრევად დავუბრუნდი. ბევრს ეგონა, ფეხებს გავუფრთხილდებოდი, მაგრამ ეს არ გამიკეთებია, რადგან თამაში ძალიან მინდოდა. რა თქმა უნდა, მოლდოვაში მიღებული პრიზი „თვის ფეხბურთელიც“ ჩემთვის ძვირფასი ჯილდოა.

***— წინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპია. შენი აზრით, „დაჩია“ საამისოდ მზად არის?***

— გაძლიერება აუცილებლად დაგვჭირდება.

***— გინდათ, რომ თქვენი შვილიც ფეხბურთელი გახდეს?***

— მამაჩემი ფეხბურთელი იყო და უცნაური იქნება, ჩემი შვილი ჩვენს კვალს რომ არ გაჰყვეს. გამიხარდება, ოჯახურ ტრადიციას თუ გააგრძელებს და დავეხმარები კიდეც, მაგრამ არასოდეს დავაძალებ.

***— გუნდში ამდენი ქართველი რომ არ იყოს, თავს ასევე კომფორტულად იგრძნობდით?***

— ჩვენ ერთმანეთისთვის კარგი დასაყრდნი ვართ. თუმცა, რომ არ ყოფილიყვნენ, არა მგონია, პრობლემები შემქმნოდა, რადგან ადამიანებთან საერთო ენას იოლად ვპოულობ. ამას გარდა, გუნდში მეგობარი, ალექსანდრე ონიკა, დამხვდა.

# ერიკ აბიდალი: „ფეხბურთი სისულელეა, როცა ბავშვებს შიათ, ომია და ხალხი იღუპება“

„ბარსელონას“ ფრანგ მცველ ერიკ აბიდალს წლეულს, მარტის დასაწყისში, ღვიძლის სიმსივნე აღმოუჩინეს. ჩვიდმეტ მარტს ფეხბურთელს ოპერაცია გაუკეთეს და მაისის დასაწყისში მოედანს დაუბრუნდა. ეს ორთვიანი პაუზა რომ არა, აბიდალისთვის მიმდინარე სეზონი საუკეთესო იქნებოდა „ბარსელონაში“ — მარტამდე მართლაც ძალიან კარგად თამაშობდა.

ესპანურ მედიასთან საუბარში აბიდალი არ მალავს, რომ ოპერაციის შემდეგ მინდორზე გასვლისა ეშინოდა, თუმცა ეს გრძნობა ახლა უკვე დაძლეულია.

***— არ გეშინოდათ, რომ ფეხბურთში ვეღარ დაბრუნდებოდით?***

— ამაზე მიფიქრია. როდესაც ექიმებმა დიაგნოზი მითხრეს, მაშინვე გავიფიქრე, რომ ცუდად იყო საქმე. ექიმებს ვკითხე, შევძლებდი თუ არა თამაშს. მიპასუხეს, ამ სეზონში ძნელიაო... საბოლოოდ ყველაფერი კარგად აეწყო.

***— სიცოცხლეს ახლა უფრო მეტად აფასებთ?***

— ცხოვრებას სხვა თვალით შევხედე და რაც მქონდა, ყველა მანქანა გავყიდე. ფეხბურთელის პროფესია მაღალ დონეზე ცხოვრების საშუალებას იძლევა, მაგალითად, სწრაფი ავტომობილების ყიდვა თავისუფლად შეგიძლია. მაგრამ, როდესაც რაღაც ხდება, ხვდები, რომ ფუფუნება არაფერს ნიშნავს. გავყიდე მანქანები და ეს ფული კარგ საქმეში ჩავდე — სხვადასხვა ასოციაციას, ორგანიზაციებსა და საავადმყოფოებს გადავეცი.

***— ყველაზე ემოციური მომენტი როდის გქონდათ?***

— ბევრი იყო, მაგრამ, რამაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — ოპერაციის შემდეგ ვარჯიშს შევუდექი და ვნახე კლუბში მოსული ყველა წერილი, რომლებიც გამომიგზავნეს. ვეცადე, ყველასთვის მეპასუხა.

***— და ყოველივე ამის შემდეგ, როგორ ფიქრობთ, „რეალ“-„ბარსელონას“ დუელი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის?***

— რა თქმა უნდა, უფრო მნიშვნელოვანი ამბებიც ხდება. ნებისმიერი საფეხბურთო ჯახი სისულელეა, როცა მსოფლიოში ბავშვებს შიათ, ომია და ხალხი იღუპება... მაგრამ ეს სხვადასხვა რამ არის. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და მათ შორის, სამწუხაროდ, ბევრი ცუდიც.

***— 28 მაისს ლონდონში ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიმართება. „მანჩესტერის“ წინააღმდეგ ორი წლის წინაც ითამაშეთ ფინალში. როგორ ფიქრობთ, ლონდონშიც ითამაშებთ?***

— არ ვფიქრობ ამაზე. მცირე დრო დარჩა და არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა. მთავარია, „ბარსამ“ მოიგოს. მე ყოველთვის ასეთი მენტალიტეტი მქონდა და ვერც შევიცვლი.

***— რამდენად დიდი შანსია იმისა, რომ 28 მაისს სრულყოფილ ფორმაში შეხვდეთ?***

— ძველებურ დონეზე დაბრუნება ჯერ გაძნელდება. ეს გარკვეულ დროში, დიდი მუშაობის შედეგად მოდის.

***— „ბარსა“ „მანჩესტერზე“ ძლიერია?***

— არ ვიცი. ფინალის შემდეგ გიპასუხებთ.

# ნიჟნი ნოვგოროდში ხარობენ: გოჩა ხოჯავა დაგვიბრუნდა!

**ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ქართველმა ნახევარმცველმა გოჩა ხოჯავამ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რომელიც მუხლის ტრავმით იყო გამოწვეული, ვარჯიში განაახლა და ამ ფაქტმა გუნდის ქომაგები ერთობ გაახარა. „ვოლგას" საიტზეც უმალ პლეიმეიკერთან ინტერვიუ გამოჩნდა.**

***— შენი დაბრუნება ძალიან გვახარებს. რამდენად სერიოზული აღმოჩნდა ტრავმა?***

— „ყუბანთან“ დათარსული მატჩის შემდეგ სამი დღის განმავლობაში სიარულიც კი არ შემეძლო. გადამიღეს მუხლის სურათი და მითხრეს, რომ მკურნალობას არანაკლებ ორი კვირა დასჭირდებოდა, თუმცა, ისე გამოვიდა, რომ ლამის მთელი თვეა არ მივარჯიშია.

***— გაგიჭირდა ფეხბურთის გარეშე?***

— თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მინდოდა თამაში. ვეხვეწებოდი, წავეყვანე ნალჩიკში, თუნდაც მაყურებლის როლში, მაგრამ ექიმებმა თავის შეკავება და ტრავმის ბოლომდე მოშუშება მირჩიეს. იმ თამაშს ტელევიზორში ვაჟიშვილთან ერთად ვუყურე. ჩემმა ბიჭმაც კი შენიშნა, რომ „ვოლგამ“ ბოლო თამაში უკეთ ჩაატარა.

***— ახლა როგორ გრძნობ თავს?***

— კარგად. ბიჭები გასახდელში მეხუმრებოდნენ — როგორ დაისვენეო. არადა, დასასვენებლად მქონდა საქმე? შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკურთან ერთად მორალური ტრავმაც მივიღე. ყოველდღე ვრეკავდი ნიჟნი ნოვგოროდში, ძალიან განვიცდიდი გუნდის წარუმატებლობას. გუნდთან ერთად ყოფნა და მისთვის სარგებლობის მოტანა მსურდა. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ვეფხვი გალიაში. ახლა, მადლობა უფალს, ყველაფერი უკან დარჩა. დავბრუნდი ნიჟნი ნოვგოროდში და დავიწყე ვარჯიში — ჯერ მხოლოდ ინდივიდუალური პროგრამით. ექიმები ამბობენ, რომ ათი დღის შემდეგ საერთო ჯგუფთან ერთად ვივარჯიშებ, „კრილია სოვეტოვთან“ საშინაო მატჩში კი მოედანზე გასვლასაც შევძლებ.

***— რას იტყვი ცსკა-სთან მატჩის 21 ივლისისთვის გადატანაზე?***

— ძალიან მიხარია, ეს თამაში რომ გადაიტანეს. ასე რომ არა, მასში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. იმედი მაქვს, არმიელებთან თამაშამდე ოპტიმალურ ფორმას აღვიდგენ და ცსკასაც და რუსული ფეხბურთის სხვა გრანდებსაც მედგრად შევებრძოლებით.

# მშვიდი ტურების მოლოდინში

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | ასტონ ვილა-ლივერ. | 2.62 | 3.2 | 2.3 |
| 22.05 | ბოლტონი-სიტი | 4.33 | 3.5 | 1.73 |
| 22.05 | ევერტონი-ჩელსი | 2.62 | 3.2 | 2.3 |
| 22.05 | ფულემი-არსენალი | 3.5 | 3.4 | 1.95 |
| 22.05 | მანჩესტერი-ბლექპული | 1.57 | 3.8 | 5.0 |
| 22.05 | ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი | 1.91 | 3.3 | 3.3 |
| 22.05 | სტოკი-უიგანი | 2.7 | 3.2 | 2.3 |
| 22.05 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.53 | 3.6 | 5.0 |
| 22.05 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.95 | 3.3 | 3.25 |
| 22.05 | ვულვზი-ბლექბერნი | 2.0 | 3.1 | 3.3 |

**ასტონ ვილა — ლივერპული**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ჟან მაკუნი

ლივერპული: ***ტრავმ***-მილან იოვანოვიჩი, ფაბიო აურელიო (?), მარტინ კელი (?), დანიელ აგერი, სტივენ ჯერარდი

**ბოლტონი — სიტი**

ბოლტონი: ***ტრავმ***-შონ დევისი, სტიუარტ ჰოლდენი, სამუელ რიკეტსი

სიტი: ***ტრავმ***-შეი გივენი, ჯერომ ბოატენგი

**ევერტონი — ჩელსი**

ევერტონი: ***ტრავმ***-ლუი საა, მარუან ფელაინი; ***დისკვ***-დინიარ ბილიალედტინოვი

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

**ფულემი — არსენალი**

ფულემი: ***ტრავმ***-დიომანსი კამარა, დამიენ დაფი; დისკვ□კრის ბაირდი

არსენალი: ***ტრავმ***-იოან ჯურუ, გაელ კლიში, სამირ ნასრი, სესკ ფაბრეგასი, ლუკაშ ფაბიანსკი

**მანჩესტერი — ბლექპული**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-რაფაელი, ჯონ ოში, ოუენ ჰარგრივზი

ბლექპული: ***ტრავმ***-კრის ბაშამი, დევიდ კორნი

**ნიუკასლი — ვესტ ბრომვიჩი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-სტივ ჰარპერი, ჯეიმს პერჩი, კევინ ნოლანი, მაიკლ უილიამსონი, ლეონ ბესტი, ჰატემ ბენ არფა

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-პაბლო იბანიესი, გრაჰამ დორანსი

**სტოკი — უიგანი**

სტოკი: ***ტრავმ***-რიკარდო ფაულერი, მამადუ სიდიბე

უიგანი: ***ტრავმ***-მაიკლ პოლიტი

**ტოტენჰემი — ბირმინგემი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-უილსონ პალასიოსი, უილიამ გალასი, გარეტ ბელი, ჯერმეინ ჯენასი, ბენუა ასოუ□ეკოტო, ალან ჰატონი

ბირმინგემი: ***ტრავმ***-ნიკოლა ზიგიჩი, ობაფემი მარტინსი, ჯეიმს მაკფადენი, სკოტ დანი

**ვესტ ჰემი — სანდერლენდი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-გარი ონილი, კირონ დაიერი, ჯუნიორ სტანისლასი

სანდერლენდი: ტრავმ-დევიდ მეილერი, ანტონ ფერდინანდი, მაიკლ ტერნერი, ტიტუს ბრამბლი, ასამოა გიანი, კირონ რიჩარდსონი, კრეიგ გორდონი, ფრაიზერ კემბელი

**ვულვზი — ბლექბერნი**

ვულვზი: ***ტრავმ***-სტივენ მოუიოკოლო, დევიდ ედვარდსი, რონალ ზუბარი

ბლექბერნი: ***ტრავმ***-კრისტოფერ სამბა, რაიან ნელსენი, ვინსე გრელა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 37 | 22 | 11 | 4 | 74:35 | 77 |
| 2.ჩელსი | 37 | 21 | 8 | 8 | 69:32 | 71 |
| 3.სიტი | 37 | 20 | 8 | 9 | 58:33 | 68 |
| 4.არსენალი | 37 | 19 | 10 | 8 | 70:41 | 67 |
| 5.ტოტენჰემი | 37 | 15 | 14 | 8 | 53:45 | 59 |
| 6.ლივერპული | 37 | 17 | 7 | 13 | 59:43 | 58 |
| 7.ევერტონი | 37 | 12 | 15 | 9 | 50:44 | 51 |
| 8.ფულემი | 37 | 11 | 15 | 11 | 48:41 | 48 |
| 9.სტოკი | 37 | 13 | 7 | 17 | 46:47 | 46 |
| 10.ბოლტონი | 37 | 12 | 10 | 15 | 52:54 | 46 |
| 11.ვესტ ბრომ. | 37 | 12 | 10 | 15 | 53:68 | 46 |
| 12.ნიუკასლი | 37 | 11 | 12 | 14 | 53:54 | 45 |
| 13.ას. ვილა | 37 | 11 | 12 | 14 | 47:59 | 45 |
| 14.სანდერლ. | 37 | 11 | 11 | 15 | 42:56 | 44 |
| 15.ბლექბერნი | 37 | 10 | 10 | 17 | 43:57 | 40 |
| 16.ვულვზი | 37 | 11 | 7 | 19 | 44:63 | 40 |
| 17.ბირმინგემი | 37 | 8 | 15 | 14 | 36:56 | 39 |
| 18.ბლექპული | 37 | 10 | 9 | 18 | 53:74 | 39 |
| 19.უიგანი | 37 | 8 | 15 | 14 | 39:61 | 39 |
| 20.ვესტ ჰემი | 37 | 7 | 12 | 18 | 43:67 | 33 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.05 | ბოლონია-ბარი | 1.6 | 3.5 | 6.5 |
| 22.05 | ბრეშა-ფიორენტინა | 3.0 | 3.2 | 2.4 |
| 22.05 | კალიარი-პარმა | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 22.05 | ჯენოა-ჩეზენა | 1.67 | 3.6 | 5.25 |
| 22.05 | ინტერი-კატანია | 1.53 | 3.7 | 7.0 |
| 22.05 | პალერმო-კიევო | 1.8 | 3.5 | 4.4 |
| 22.05 | იუვენტუსი-ნაპოლი | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 22.05 | ლეჩე-ლაციო | 7.0 | 3.75 | 1.53 |
| 22.05 | რომა-სამპდორია | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 22.05 | უდინეზე-მილანი | 3.75 | 1.53 | 6.5 |

**ბოლონია — ბარი**

ბოლონია: ***ტრავმ***-ანდრეა ესპოზიტო, ანტონიო ბუსცე; დისკვ□გასტონ რამირესი, მიგელ ბრიტოსი

ბარი: ***ტრავმ***-ნიკოლა ბელმონტე, აბდელკადერ გეზალი, ემანუელ რივასი, სერჟიო ალმირონი, მარკო როსი, ხოსე კასტილიო, სტეფანო ოკაკა ჩუკა, ვიტალი კუტუზოვი, ვიტო ბარეტო; დისკვ□ალესანდრო პარისი, კამილ გლიკი

**ბრეშა — ფიორენტინა**

ბრეშა: ***ტრავმ***-ჰუგო მარეკო, კრისტიანო ძანეტი, მატეო სერენი, სიმონე დალამანო; დისკვ□პანაგიოტის კონე

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ალბერტო ჯილარდინო, სტევან იოვეტიჩი; დისკვ□პერ კროლდრუპი

**კალიარი — პარმა**

კალიარი: ***ტრავმ***-ანდრეა კოსუ, ფრანჩესკო პისანო

პარმა: ***ტრავმ***-გაბრიელ პალეტა, მარკო პისანო, ერნან კრესპო, რაფაელ პალადინო, ფერნანდო მარკესი; დისკვ□ბლემირ ჯემაილი

**ჯენოა — ჩეზენა**

ჯენოა: ***ტრავმ***-ლუკა რიგონი, აბდულაიე კონკო, დარიო დაინელი

ჩეზენა: ***ტრავმ***-სტივ ფონ ბერგენი, ივან ფატიჩი

**ინტერი — კატანია**

ინტერი: ***ტრავმ***-ჟულიო სეზარი, ვესლი სნეიდერი, ივან კორდობა

კატანია: ***ტრავმ***-მაქსი ლოპესი, მატიას სილვესტრი, ნიკოლას სპოლი, კრისტიან ლამა, ფაბიო სკიაცა

**პალერმო — კიევო**

პალერმო: ***ტრავმ***-მაურისიო პინილია, ფედერიკო ბალძარეტი; დისკვ□აბელ ერნანდესი, არმინ ბაჩინოვიჩი

კიევო: ***ტრავმ***-ლუკა რიგონი, ფერნანდო ურიბე

**იუვენტუსი — ნაპოლი**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ფაბიო გროსო, მარკო სტორარი, მარკო მოტა, ალბერტო აკვილანი, ჟდენეკ გრიგერა, ვინჩენცო იაკინტა, ფაბიო კვარიალერა, რინაუდო

ნაპოლი: ***ტრავმ***-ჯანლუკა გრავა; დისკვ□ედისონ კავანი

**ლეჩე — ლაციო**

ლეჩე: ***ტრავმ***-გუსტავო, რუბენ ოლივეირა, ნენად ტომიჩი, სტეფანო ფერარიო, კარლოს გროსმიულერი

ლაციო: ***ტრავმ***-ფრანჩესკო მატუსალემი, სიმონე დელ ნერო, ანდრე დიასი, შტეფან რადუ

**რომა — სამპდორია**

რომა: ***ტრავმ***-დონი, ლეანდრო გრეკო, მარკო კასეტი, მატეო ბრიგი, დამიელე დე როსი, სიმონე პეროტა, ფილიპ მექსე

სამპდორია: ***ტრავმ***-სტეფანო ლუჩინი, ფედერიკო მაჩედა, დანიელე კასტადელო

**უდინეზე — მილანი**

უდინეზე: ***ტრავმ***-ანდრეა კოდა

მილანი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონინი, მარეკ იანკულოვსკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 37 | 24 | 9 | 4 | 65:24 | 81 |
| 2.ინტერი | 37 | 22 | 7 | 8 | 66:41 | 73 |
| 3.ნაპოლი | 37 | 21 | 6 | 10 | 57:37 | 69 |
| 4.უდინეზე | 37 | 20 | 5 | 13 | 65:43 | 65 |
| 5.ლაციო | 37 | 19 | 6 | 12 | 51:37 | 63 |
| 6.რომა | 37 | 17 | 9 | 11 | 56:51 | 60 |
| 7.იუვენტუსი | 37 | 15 | 12 | 10 | 55:45 | 57 |
| 8.პალერმო | 37 | 17 | 5 | 15 | 57:60 | 56 |
| 9.ფიორენტინა | 37 | 12 | 14 | 11 | 47:42 | 50 |
| 10.ჯენოა | 37 | 13 | 9 | 15 | 42:45 | 48 |
| 11.კატანია | 37 | 12 | 10 | 15 | 39:49 | 46 |
| 12.პარმა | 37 | 11 | 12 | 14 | 38:46 | 45 |
| 13.კალიარი | 37 | 12 | 8 | 17 | 43:50 | 44 |
| 14.კიევო | 37 | 10 | 13 | 14 | 35:39 | 43 |
| 15.ჩეზენა | 37 | 10 | 8 | 16 | 36:47 | 43 |
| 16.ბოლონია | 37 | 11 | 12 | 14 | 35:48 | 42 |
| 17.ლეჩე | 37 | 11 | 8 | 18 | 44:62 | 41 |
| 18.სამპდორია | 37 | 8 | 12 | 17 | 32:46 | 36 |
| 19.ბრეშა | 37 | 7 | 10 | 20 | 32:50 | 31 |
| 20.ბარი | 37 | 4 | 9 | 24 | 23:56 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.05 | მალაგა-ბარსელონა | 3.5 | 3.3 | 2.1 |
| 21.05 | ერკულესი-ხიხონი | 2.2 | 3.3 | 3.25 |
| 21.05 | რეალი-ალმერია | 1.14 | 7.5 | 17.0 |
| 21.05 | დეპორტივო-ვალენსია | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 21.05 | ესპანიოლი-სევილია | 2.9 | 3.6 | 2.3 |
| 21.05 | ლევანტე-სარაგოსა | 5.5 | 4.33 | 1.53 |
| 21.05 | მალიორკა-ატლეტიკო | 2.62 | 2.75 | 3.1 |
| 21.05 | ოსასუნა-ვილიარეალი | 1.83 | 2.8 | 6.0 |
| 21.05 | სოსიედადი-ხეტაფე | 2.4 | 3.25 | 2.9 |
| 21.05 | რასინგი-ბილბაო | 2.87 | 3.4 | 2.1 |

**მალაგა — ბარსელონა**

მალაგა: ***ტრავმ***-დუდა, რონდონი, ნაჩო კამაჩო, ქუინსი ოვუსუ აბეიე, სერხიო ასენხო

ბარსელონა: ***ტრავმ***-კარლეს პუიოლი, მარტინ მონტოია, გაბი მილიტო, ადრიანო

**ერკულესი — ხიხონი**

ერკულესი: ***ტრავმ***-ნელსონ ვალდესი, რუფეტე, ოლივიერ ტომერტი, როისტონ დრენტე, ტოტე, კრისტიანი

ხიხონი: ***ტრავმ***-მიგელ კუევასი, სასტრე, ივან გუელარი

**რეალი — ალმერია**

რეალი: ***ტრავმ***-სამი ჰედირა, ფერნანდო გაგო

ალმერია: ***ტრავმ***-მოდესტე მბიამი, მიგელ ნიეტო

**დეპორტივო — ვალენსია**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ზე კასტრო, მორელ როდრიგესი, ჯუკა, ანტონიო ტომასი

ვალენსია: ***ტრავმ***-ვისენტე პანადერო, ჩორი დომინგესი

**ესპანიოლი — სევილია**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხავიერ მარკესი, კრისტიან ალვარესი, ალდო დუშერი, დავიდ გარსია, სერხიო გარსია, რაულ ბაენა, ხუან ფორლინი, ივან დე ლა პენია

სევილია: ***ტრავმ***-ფედერიკო ფაციო, ფერნანდო ნავარო, ივან რაკიტიჩი, ხესუს ნავასი, ტიბერიო გუარენტე

**ლევანტე — სარაგოსა**

ლევანტე: ***ტრავმ***-სერხიო, ასიერ დელ ორნო, ხუანლუ

სარაგოსა: ***ტრავმ***-მატეო კონტინი, ვიქტორ ლაგუარდია

**მალიორკა — ატლეტიკო**

მალიორკა: ***ტრავმ***-სერხიო ტეიშერა, ენრიკე კორალესი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-დიეგო გოდინი, ლუის პერეა

**ოსასუნა — ვილიარეალი**

ოსასუნა: ***ტრავმ***-ნელსონი, კარლოს არანდა, რობერტო, რუპერი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-კანი, გონსალო, ანგელ ლოპესი

**სოსიედადი — ხეტაფე**

სოსიედადი: ***ტრავმ***-ვადიმ დემიდოვი

ხეტაფე: ***ტრავმ***-რაფა ლოპესი, ხაიმე გავილანი

**რასინგი — ბილბაო**

რასინგი: ***ტრავმ***-ჯოვანი დოს სანტოსი, ტონო, გონსალო კოლსა, ოსკარ სერანო

ბილბაო: ***ტრავმ***-დელ კამპო, სუსაეტა, იგორ კასერესი, იონას რამალიო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 37 | 29 | 6 | 2 | 92:20 | 93 |
| 2.რეალი | 37 | 28 | 5 | 4 | 94:32 | 89 |
| 3.ვალენსია | 37 | 20 | 8 | 9 | 62:44 | 68 |
| 4.ვილიარეალი | 37 | 18 | 8 | 11 | 54:43 | 62 |
| 5.ატლეტიკო | 37 | 16 | 7 | 14 | 58:50 | 55 |
| 6.ბილბაო | 37 | 17 | 4 | 16 | 57:54 | 55 |
| 7.სევილია | 37 | 16 | 7 | 14 | 59:59 | 55 |
| 8.ესპანიოლი | 37 | 15 | 4 | 18 | 44:52 | 49 |
| 9.ხიხონი | 37 | 10 | 13 | 13 | 35:42 | 46 |
| 10.მალაგა | 37 | 13 | 7 | 17 | 53:65 | 46 |
| 11.რასინგი | 37 | 12 | 10 | 15 | 40:54 | 46 |
| 12.ლევანტე | 37 | 12 | 9 | 16 | 40:50 | 45 |
| 13.ოსასუნა | 37 | 12 | 8 | 17 | 44:46 | 44 |
| 14.მალიორკა | 37 | 12 | 8 | 17 | 38:52 | 44 |
| 15.სოსიედადი | 37 | 14 | 2 | 22 | 48:65 | 44 |
| 16.ხეტაფე | 37 | 12 | 7 | 18 | 48:59 | 43 |
| 17.დეპორტივო | 37 | 10 | 13 | 14 | 31:45 | 43 |
| 18.სარაგოსა | 37 | 11 | 9 | 17 | 38:52 | 42 |
| 19.ერკულესი | 37 | 9 | 7 | 21 | 36:60 | 34 |
| 20.ალმერია | 37 | 6 | 12 | 19 | 35:62 | 30 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.05 | ოსერი-ბრესტი | 2.3 | 3.1 | 3.2 |
| 21.05 | ლანსი-არლე | 1.61 | 3.5 | 6.0 |
| 21.05 | ლიონი-კაენი | 1.36 | 4.8 | 8.5 |
| 21.05 | მარსელი-ვალანსიენი | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 21.05 | მონპელიე-მონაკო | 3.0 | 3.2 | 2.37 |
| 21.05 | ნიცა-ლორიენი | 1.8 | 3.25 | 5.0 |
| 21.05 | პსჟ-ლილი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 21.05 | რენი-ნანსი | 1.83 | 3.4 | 4.5 |
| 21.05 | სოშო-სენტ ეტიენი | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 21.05 | ტულუზა-ბორდო | 2.2 | 3.3 | 3.3 |

**ოსერი — ბრესტი**

ოსერი: ***ტრავმ***-იელენი, ქამილ ჩაფნი, ჟან პასკალ მინიო

ბრესტი: ***ტრავმ***-აჰმედ კანტარი, ომარ დაფი

**ლანსი — არლე**

ლანსი: ***ტრავმ***-სიდი კეიტა, ვერდან რუნიე, ნენად კოვაჩევიჩი

არლე: ***ტრავმ***-სირილ მერვილი, სორი ბაქარი, ლოიკ აბენზოარი, გაელ ჟერმენი

**ლიონი — კაენი**

ლიონი: ***ტრავმ***-ლისანდრო ლოპესი

კაენი: ***ტრავმ***-გრეგორი პრომენი, ბრანკო ლაზარევიჩი

**მარსელი — ვალანსიენი**

მარსელი: ***ტრავმ***-ლუჩო გონსალესი, გაბრიელ ჰაინცე

ვალანსიენი: ***ტრავმ***-სტივენ ლანგილი, ვინსენტ აბუბაქარი, რუდი მატერი

**მონპელიე — მონაკო**

მონპელიე: ***ტრავმ***-იონას მარტინი, ნენად ძოძიჩი

მონაკო: ***ტრავმ***-ფრედერიკ ბულიო, ვინსენტ მურატორი, ჯიმი ტრაორე, მაჰამადუ დიარა

**ნიცა — ლორიენი**

ნიცა: ***ტრავმ***-აბდო ტრაორე, დავიდ ბელიონი, ემერსე ფაე

ლორიენი: ***ტრავმ***-ფაბიენ აუდარი, ბასა, ფრანკო სოსა

**პსჟ — ლილი**

პსჟ: ***ტრავმ***-კლოდ მაკელელე, სეარა, პეგი ლუინდულა

ლილი: ***ტრავმ***-ფლორიენ ბალმო, ჯერი ვანდამი

**რენი — ნანსი**

რენი: ***ტრავმ***-ალექსანდერ ტეტეი, ტონგო დუმბია, ეკოკო, იასინ ბრაჰიმი, სილვიან მარვო

ნანსი: ***ტრავმ***-სამბა დიაკიტე, მარამა ვაირუა, ჯენარო ბრაჩილიანო

**სოშო — სენტ ეტიენი**

სოშო: ***ტრავმ***-ფატი, კევინ ანინი, იასინ მიკარი

სენტ ეტიენი: ***ტრავმ***-კრისტიფერ ლანდრინი, დიმიტრი პოიეტი, იორიკ რავე

**ტულუზა — ბორდო**

ტულუზა: ***ტრავმ***-ხავიერ პენტეკოტე, მარკ ვიდალი

ბორდო: ***ტრავმ***-იოან გურკუფი, აბდულაიე კეიტა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 36 | 20 | 12 | 4 | 63:32 | 72 |
| 2.მარსელი | 36 | 18 | 12 | 6 | 58:35 | 66 |
| 3.ლიონი | 36 | 16 | 12 | 8 | 59:40 | 60 |
| 4.პსჟ | 36 | 15 | 13 | 8 | 53:38 | 58 |
| 5.რენი | 36 | 15 | 11 | 10 | 36:30 | 56 |
| 6.სოშო | 36 | 15 | 7 | 14 | 55:41 | 52 |
| 7.ლორიანი | 36 | 12 | 13 | 11 | 45:44 | 49 |
| 8.ბორდო | 36 | 11 | 15 | 10 | 41:40 | 48 |
| 9.სტ.ეტიენი | 36 | 12 | 12 | 12 | 44:44 | 48 |
| 10.მონპელიე | 36 | 12 | 11 | 13 | 32:40 | 47 |
| 11.ოსერი | 36 | 9 | 19 | 8 | 43:39 | 46 |
| 12.ვალანსიენი | 36 | 9 | 17 | 10 | 41:38 | 44 |
| 13.ტულუზა | 36 | 12 | 8 | 16 | 34:36 | 44 |
| 14.კაენი | 36 | 11 | 11 | 14 | 44:49 | 44 |
| 15.ბრესტი | 36 | 10 | 13 | 13 | 35:41 | 43 |
| 16.ნიცა | 36 | 10 | 13 | 13 | 30:46 | 43 |
| 17.ნანსი | 36 | 11 | 9 | 16 | 37:48 | 42 |
| 18.მონაკო | 36 | 8 | 17 | 11 | 35:38 | 41 |
| 19.ლანსი | 36 | 7 | 14 | 15 | 35:53 | 35 |
| 20.არლე | 36 | 2 | 11 | 23 | 19:67 | 17 |

# მე ყველა ფერში ვეძებ სიყვარულს

***„ქალის გულის მოგებაო უცდიათო ყველაფერში,***
***ახლისა და ძველის შექმნას არ სჭირდება, ალბათ, ტაში“.***

ეს სიტყვები რომ არ დაეწერათ, მერწმუნეთ, ქალბატონ ნანა სტეფნიანს აუცილებლად მიუძღვნიდნენ, რადგან მის სამყაროში ძალიან ლამაზად არის ჩაქსოვილი ფერთა ზეიმი. ქალბატონმა ნანამ მოდის სამყაროში თავისი შტრიხი შეიტანა — ქართული ტრადიცია, დაუღალავი შრომა და ბევრი სიყვარული თავისი საქმისადმი. დღეს ამ კეთილშობილ ქალბატონს „ახალი თაობის“ მკითხველი გაიცნობს, როგორც ქართული მოდის სამყაროში თავისი განსხვავებული ხელწერით მოსულ დიზაინერს.

***— ქალბატონო ნანა, თქვენ განსხვავებული სიტყვა თქვით მოდის სამყაროში თქვენი ხელწერით. როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდებით მათგან?***

— რომ გითხრათ, ახალი არა, 10 წლის უკან ვთქვი ჩემი სათქმელი მოდის სამყაროში, ალბათ, ზოგისთვის მოსაწონი, ზოგისთვის გამაღიზიანებელი და ზოგისთვისაც — განსხვავებული. დღემდე არ ვკარგავ ექსკლუზივს, რომელიც თითქმის ყველა ჩემ მიერ შექმნილ კოსტიუმშია ჩადებული. რაც მთავარია, ერთი მეორეს არ უნდა ჰგავდეს. ქსოვილი, რომელსაც ნათელი ფერებით ვქმნი, მინდა დავამკვიდრო თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

***— საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს თქვენს ხელწერას. იქნებ უამბოთ მკითხველს?***

— რა ვიცი, რამდენად საინტერესოდ მოეჩვენებათ, მაგრამ ჩემთვის იმ დროს იყო ტრაგედია. კაბები, რომლებიც ძალიან მიყვარდა, ერთ საღამოს გაჩნდა ხანძარი და დამეწვა. შოკირებულმა გადავწყვიტე, 10 დამწვარი კაბისგან რაღაც შემექმნა. მთელი ღამე ვფიქრობდი. ავიღე ფერადი ძაფები და დამწვარი კაბის ადგილები ამოვქარგე. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, ახლანდელი გადმოსახედით, იცით, რომელ ანდაზას მივუსადაგებდი? — „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ (იცინის). რამდენიმე დღის შემდეგ ამ კაბებიდან ერთ-ერთი 600 ლარად გაიყიდა.

***— ნათქვამია, ყველაზე სასიამოვნო ყველაზე უსარგებლოდ იქცევა, თუ ზომებს გასცდებაო. როგორ ფიქრობთ, რამდენად უწევთ კონკურენციას თქვენი ახალი ბრენდით და თუ შეხვედრიხართ წინააღმდეგობებს?***

— ნამდვილად სასიამოვნო საქმიანობაა ჩემთვის. უნდა მოგწონდეს, რომ შექმნა. მე ეს ნათელ ფერებში მაქვს აღქმული. ალბათ, ვუწევ კონკურენციას ჩემი ნაწარმით. თურქეთიდან ჩამოტანილ პროდუქციას ერთფეროვნება ახასიათებს და, თუ ვინმეს ვგონივარ კონკურენტი, მინდა დავაწყნარო, ის ბაზარი, რომელიც მათ აქვთ მოპოვებული, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, ჩემი ბრენდი სწორედ ექსკლუზივია. მთავარი ადამიანური ღირსების შენარჩუნებაა და არა — სავაჭრო ბაზარი. სამწუხაროდ, ბევრს ავიწყდება ეს. არანაირად არ ვცდილობ, ჩემი არსებობით ვინმეს ბიზნესი დავუნგრიო, მაგრამ არც მე მივცემ იმის უფლებას, ჩემს საქმეში ვინმე ჩაერიოს. თავისუფალია ბაზარი, არჩევანი კი თვითონ მომხმარებელმა უნდა გააკეთოს.

***— რამდენი საავტორო ნამუშევარი გაქვთ და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან, თქვენთვის გამორჩეული რომელია?***

— ჩემი საყვარელი საავტორო ნამუშევარია „ომი და მშვიდობა!“. ეს იმიტომ გამოვყავი, რომ დღეს თითქმის ყველასათვის სანატრელი და სადარდებელია ეს თემა. სულ ცოტა ხნის წინ „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა საღამო, რომელიც სწორედ ამ თემას მიეძღვნა. საღამოს უძღვებოდა ზაზა ალექსიძე. ჩვენ ამ საღამოზე



წარმოვადგენილი კოსტიუმები, რომლებიც საქართველოს დროშით იყო მოქარგული, კაბა ჩემს საყვარელ მოდელ თათია როგავას ეცვა (სხვათა შორის, თათია ფეხმძიმედ გახლდათ. ისე, ცნობისთვის, ჩემი რძალიცაა). ზაზა ალექსიძემ საფინალოდ ასეთი ფრაზებით დაამთავრა თათას დანახვაზე: „ჩვენ გვინდა მშვიდობა და მომავალი“. თითქმის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა კოლექცია განსხვავებულია თავისი შინაარსით, ყველას თავისებური ელფერი და დატვირთვა აქვს.

***— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ საკმაოდ წარმატებული სამოდელო სტუდია გაქვთ, მრავალ კონკურსზე გამარჯვებული, ისიც ვიცით, რომ ივლისში მიწვეული ხართ თურქეთში, ქალაქ ალანიაში ქართული კულტურის დღეებზე...***

— დიახ, მაქვს სამოდელო სტუდია „ენ-სი“, სადაც ჩვენი პატარები ძალიან ბევრ საღამოს ალამაზებენ. დეფილეს პედაგოგი თათია როგავა გახლავთ, გიორგი სტეფნიანი, ჩემი ვაჟი, სამხატვრო ხელმძღვანელია, ხოლო მეორე ვაჟი, დავითი, ფოტოსესიებს ხელმძღვანელობს. ასე რომ, ჩემო კარგო, მთელი ოჯახი ხელოვნებას ვემსახურებით. დიახ, ივლისის ბოლოს მიწვევა გვაქვს თურქეთში, სადაც ქართული დეტალებით შექმნილი კოსტიუმების ჩვენებაა დაგეგმილი. ჩვენ არა მარტო ჩვენს კოლექციას წარმოვადგენთ ღირსეულად, არამედ ქვეყანას, რომლის ტრადიციები, ხასიათი ჩადებული მაქვს თითოეულ შტრიხში.

**ესაუბრა მეგი მეზვრიშვილი**

საქმე №2/118-11

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
**საქართველოს სახელით**
**ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების შესახებ**

5 მაისი 2011 წელი ქ. მარნეული

ბოლნისის რაიონული სასამართლო
მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი

განმცხადებელი – კაზაკბეი მუსაევი
მოთხოვნის არსი – ქონების უპატრონოდ ცნობა
ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების საკითხი და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გამოქვეყნდეს ცნობა, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების თაობაზე;
2. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი

**ბოლნისის რაიონული სასამართლო**

**ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. №113**
**ტელ. 8(258) 2-26-64; 2-28-48;**

საქმე №2/118-11 5 მაისი 2011 წელი

**საჯარო შეტყობინება**
**ინფორმაციის გავრცელების შესახებ**

ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების შესახებ, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 მაისის №2/118-11 განჩინების საფუძველზე, ბოლნისის რაიონული სასამართლო ავრცელებს ცნობას, იმის შესახებ, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს წარმოებაში იმყოფება კაზაკბეი მუსაევის განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის მოთხოვნით.
განმცხადებელი კაზაკბეი მუსაევი ითხოვს, მოძრავი ქონების, მის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული, 1977 წელს გამოშვებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება "ტ-16-მგ" მარკის №1076078 ძრავის მქონე, თვლიანი ტრაქტორის უპატრონოდ ცნობას.
პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, უნდა განაცხადონ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში, დღიდან პუბლიკაციისა.

მოსამართლე: მერაბ ღვინიაშვილი

საქმე №2/112-11

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით
განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ

5 მაისი 2011 წელი ქ. მარნეული

ბოლნისის რაიონული სასამართლო
მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი
განმცხადებელი – იმაიდინ მურსაკულოვი
წარმომადგენელი – ელზა ლუქუნიძე
მოთხოვნის არსი - ქონების უპატრონოდ ცნობა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. განცხადება მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში;
2. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი**

საქმე №2/112-11

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
**საქართველოს სახელით**
**ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების შესახებ**

5 მაისი 2011 წელი ქ. მარნეული

ბოლნისის რაიონული სასამართლო
მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი

განმცხადებელი – იმაიდინ მურსაკულოვი
წარმომადგენელი – ელზა ლუქუნიძე
მოთხოვნის არსი – ქონების უპატრონოდ ცნობა
ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების საკითხი და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გამოქვეყნდეს ცნობა, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების თაობაზე;
2. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი

# ჩვენ საქართველოს გათავისუფლებას ვიწყებთ!

## რას აპირებს სახალხო კრება

გერა მამულაშვილი

ქვეყანა კვლავ რევოლუციურ ტალღაზე იმყოფება. იწყება მორიგი „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის". „სახალხო კრება" თბილისისა და ბათუმის ქუჩებში გამოსული ხალხის სახლში უშედეგოდ დაბრუნებას აღარ აპირებს. ირაკლი ოქრუაშვილი ქართველ ჯარისკაცებს ხალხის გვერდით დგომისკენ მოუწოდებს. საპარლამენტო უმრავლესობას კი მთელი ეს მოწოდებები „სასაცილოდაც არ ჰყოფნის". თუმცა, ანალიტიკოსები ხელისუფლებას მოუწოდებენ, აქციების ორგანიზატორებთან წინასწარი მოლაპარაკებები დაიწყოს და „კომპრომისული ნაბიჯები გადადგას".

— „სახალხო კრება" სააკაშვილის რეჟიმისგან საქართველოს გასათავისუფლებლად გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს. სრულიად საქართველოს მასშტაბით მობილიზებულია „სახალხო კრების" სამოქალაქო წინააღმდეგობის 74 კომიტეტი და ათიათასობით მხარდამჭერი, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც „სახალხო კრების" აღმასრულებელმა საბჭომ გუშინ გაავრცელა.

თბილისში, თავისუფლების მოედანზე და პარალელურად ბათუმში, „ერას მოედანზე" საკუთარი ღირსებისა და კონსტიტუციური უფლებებისთვის ათეულობით ათასი ჩვენი თანამემამულე იკრიბება. იკრიბება ყველა ის ადამიანი, რომელიც მზად არის, ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად ბოლომდე იბრძოლოს. სააკაშვილის ხელისუფლებამ მოსალოდნელი დასასრულის მოახლოების შიშით ჩვენს აქტივისტებზე, მომხრეებსა და მხარდამჭერებზე ფიზიკური, მორალური და ფსიქოლოგიური ტერორის მექანიზმები გაააქტიურა (დაჭერები, მოტაცებები, უმოწყალო ცემის ფაქტები, სატელეფონო ტერორი...) სააკაშვილის უგუნური, დამნაშავე ხელისუფლება ყოველდღე ყოველი მსგავსი მოქმედებით თავის დასასრულს სულ უფრო მეტად უახლოვდება, — აცხადებენ „სახალხო კრებაში" და მიიჩნევენ, რომ „ხელისუფლების ვერანაირი მოქმედება ვერ შეუშლის ხელს დაგეგმილ აქციებს".

განცხადების მიხედვით, „სახალხო კრებას" შემუშავებული აქვს თანმიმდევრული მოქმედების გეგმა, გათვალისწინებული ყველა სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მოვლენები განვითარდეს.

— ყველა იმ ადამიანის თუნდაც ყველაზე გულწრფელი გულშემატკივრის თვითშემოქმედების საფუძველზე დაწყებული მოქმედება დიდი ალბათობით შეიძლება გახდეს პროცესების ხელისშემშლელი, რითაც სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. სწორედ ამიტომ მოგიწოდებთ, არ აჰყვეთ პროვოკაციას... იმოქმედეთ „სახალხო კრების" შტაბის მითითებების სრული დაცვით. ხალხის სიმრავლე, ორგანიზებულობა და თანმიმდევრული მოქმედებები რეჟიმზე საბოლოო გამარჯვებას უზრუნველყოფს.

ჩვენ ვიბრძვით დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნებისთვის და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის შემდეგ არის შესაძლებელი ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. იწყება სააკაშვილის რეჟიმისგან საქართველოს გასათავისუფლებლად გადამწყვეტი ბრძოლა!

ჩვენ ვიბრძვით მამულისთვის! ჩვენ ვიბრძვით ღირსეული მომავლისთვის! — ნათქვამია „სახალხო კრების" განცხადებაში.

„სახალხო კრების" ლიდერ ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, ხელისუფლების ვერანაირი მოქმედება ვერ შეუშლის ხელს 21 მაისს დაგეგმილ აქციას. მისი თქმით, სახალხო კრებას შემუშავებული აქვს თანმიმდევრული მოქმედების გეგმა, გათვალისწინებულია ყველა ის სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მოვლენები განვითარდეს.

— ყველა იმ ადამიანის, თუნდაც ყველაზე გულწრფელი გულშემატკივრის თვითშემოქმედების საფუძველზე დაწყებული მოქმედება დიდი ალბათობით შეიძლება გახდეს პროცესების ხელის შემშლელი, რითაც სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. სწორედ ამიტომ მოგიწოდებთ, არ აჰყვეთ პროვოკაციას. იმოქმედებს სახალხო კრების შტაბი მითითებების სრული დაცვით. ხალხის სიმრავლე, ორგანიზებულობა და თანმიმდევრული მოქმედებები რეჟიმზე საბოლოო გამარჯვებას უზურნველყოფს, — განაცხადა გაფრინდაშვილმა სახალხო კრების ოფისში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე.



მისი თქმით, სრულიად საქართველოს მასშტაბით მობილიზებულია სახალხო კრების სამოქალაქო წინააღმდეგობის 74 კომიტეტი და 10 ათასობით მხარდამჭერი.

— დღეს თბილისში 15:00 საათზე თავისუფლების მოედანზე და პარალელურად ბათუმში ერას მოედანზე საკუთარი ღირსებისა და კონსტიტუციური უფლებებისთვის ათეულობით ათასი ჩვენი თანამემამულე იკრიბება. იკრიბება ყველა ის ადამიანი, რომელიც მზად არის, ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად ბოლომდე იბრძოლოს. სააკაშვილის ხელისუფლებამ მოსალოდნელი დასასრულის მოახლოების შიშით ჩვენს აქტივისტებზე, მხარდამჭერებსა და მომხრეებზე ფიზიკური, მორალური და ფსიქოლოგიური ტერორის მექანიზმები გაააქტიურა, რაც გამოიხატება ჩვენი მხარდამჭერების დაკავებით, მოტაცებებით, უმოწყალო ცემის ფაქტებით, სატელეფონო ტერორითა და სხვა მსგავსი ფაქტებით. სააკაშვილის უგუნური და დამნაშავე ხელისუფლება ყოველდღე ყოველი მსგავსი მოქმედებით თავის დასასრულს სულ უფრო მეტად უახლოვდება, — აღნიშნა გაფრინდაშვილმა.

თავის მხრივ, „ქართული პარტიის" ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ღია წერილით მიმართავს:

— ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მოგმართავთ პოლიტიკოსი, რომელსაც ყველაზე მეტად აქვს გათავისებული თქვენი, როგორც სამხედროებისა და მთლიანად ჯარის სატკივარი. ბედმა მარგუნა, რომ ორი წლის განმავლობაში თქვენს რიგებში ვყოფილიყავი, იქნებოდა ეს ყოველდღიური ცხოვრება, საველე პირობებში ყოფნა თუ საბრძოლო ოპერაციები. ორი წლის განმავლობაში ნათლად დავინახე, რომ ვერც ერთი სხვა მოხელე, იქნება ეს პოლიციელი თუ მეციხოვნე, ტოლსაც ვერ გიდებთ წესიერებაში, ღირსებასა და ქვეყნის სიყვარულში. თუმცა, შესაბამისი დაფასება ბოლო წლების განმავლობაში ნამდვილად არ გქონიათ. თქვენი ეშინოდა ორივე მთავარსარდალს — შევარდნაძესაც და სააკაშვილსაც. ამ უკანასკნელს პათოლოგიური ზიზღიც კი გაუჩნდა ჯარისადმი 2008 წლის ომის შემდგომ და თავზე ჯალათი დაგასვათ ახალაიას სახით, იმ ერთადერთი მიზნით, რომ გაკონტროლონ, დაგთრგუნონ და აზრის გამოთქმა აგიკრძალონ იმ სიბინძურეზე, რომელიც დღეს ქვეყანაში ხდება. აშკარაა, რომ მთავარსარდალი თქვენ ისე გექცევათ, როგორც დანარჩენ საქართველოს და პოლიციასა და სპეცსამსახურებს თქვენ წინააღმდეგ ძალადობისათვის ისევე იყენებს, როგორც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. პოლიციის ის დაფასება, მატერიალური წახალისება და სხვა ტიპის ყურადღებაც საკმარისია იმის დასანახავად, რომ თქვენ არ მიგიჩნევენ მათ თანასწორად. თქვენი ეშინოდათ და თქვენი ეშინიათ. 2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილმა იმდენად შეგიძულათ, რომ მხოლოდ სამხედრო აღლუმებზე ჩასატარებლად გიყენებთ, ან ცოტა უფრო მეტი, სხვის ომში, ერაყსა თუ ავღანეთში, როგორც ექსკურსიაზე, ისე გგზავნიან გროშებისა და უდიდესი რისკის ფასად, იმისათვის, რომ დასავლეთში დემოკრატად წარმოჩნდეს. ამ უაზრობას კი ჩვენი მეგობრები, თქვენი თანამებრძოლები ეწირებიან. თქვენ არ გენდობოდნენ და თქვენ არ გენდობიან, საუკეთესო ოფიცრების დიდი ნაწილი არა მხოლოდ პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით სამსახურიდან დაითხოვეს, არამედ ციხეში გამოკეტეს შეთითხნილი ბრალდებით, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო უყვარდათ და ეს ხმამაღლა თქვეს. მამუკა გორგიაშვილისა და ლევან ამირიძის მაგალითიც კი საკმარისია ყოველივე ამისათვის.

სააკაშვილს არც დაუმალავს თავისი დამოკიდებულება თქვენდამი, როდესაც ხმამაღლა განაცხადა: ჯარი რისი ჯარია, თუ არ დაიხოცაო.

2008 წლის ომი ყველა ჩვენგანისათვის დიდ ტკივილად დარჩება. ჩვენ დავკარგეთ საუკეთესო თანამებრძოლები. ნაცვლად იმისა, რომ სააკაშვილსა და სხვა მაღალჩინოსნებს გმირობისა და თავგანწირვის მაგალითები ეჩვენებინათ, ტელეკამერების წინ გარბოდნენ, თავს გჭრიდნენ თქვენც და მთელ საქართველოსაც. მაშინ, როდესაც თქვენ საზარბაზნე ხორცი იყავით და იხოცებოდით, ხელისუფლება საკუთარ ოჯახებს საზღვარგარეთ ხიზნავდა და ქონების გატანით იყო დაკავებული.

თქვენ დაგაბრალეს, რომ ომი წააგეთ. ომი, რომელიც მხოლოდ ერთმა ადამიანმა წააგო და მას მთავარსარდალი სააკაშვილი ჰქვია. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „თავდადებული მღვდელი თევდორე" რიგითი მღვდელი სააკაშვილი თავგანწირვის მაგალითია მტერთან ბრძოლაში, ხოლო დღეს მთავარსარდალი სააკაშვილი სირცხვილის მაგალითად იქცა. ცოტა ხანში თქვენ დადგებით ურთულესი არჩევნის წინაშე. ასეთი მომენტი იშვიათად დგება ადამიანის ცხოვრებაში.

რამდენიმე დღეში ქართველი ხალხი ბარიკადებს მიღმა აღმოჩნდება სააკაშვილთან და მის ხელისუფლებასთან.

ამ დროს მე ჩემი ხალხის გვერდით ვიდგები და სხვაგვარად არც შეიძლება. ვიდგები ხალხთან ფიზიკურად და სიცოცხლის რისკის ფასად. თქვენი არჩევანი ისტორიას შეცვლის, თქვენი არჩევანი სირცხვილს ჩამოგვრეცხავს, თქვენი არჩევანი საქართველოს გადაარჩენს, თუ დადგებით ხალხთან და მე პირადად ერთი წუთითაც ეჭვი არ მეპარება, რომ სხვაგვარად არც შეგიძლიათ. ღმერთი იყოს ჩვენი და საქართველოს მფარველი! — აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი.

***— ქართული პარტიის ლიდერ ირაკლი ოქრუაშვილს საქართველოში ჩამოსვლისთანავე დააკავებენ, — ასე გამოეხმაურა შს სამინისტრო ოქრუაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებას.***

— კი, როგორ არა, ჩამოვა! შს სამინისტროს ოქრუაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეუწყვეტია და, ბუნებრივია, მას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთისთანავე დააკავებენ, — განუცხადა „პირველს" შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობას კი ირაკლი ოქრუაშვილის მიმართვაც და რუსეთში სტუმრობაც „სასაცილოდ" მიაჩნია.

როგორც ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოკა გაბაშვილმა განუცხადა, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, სად არის ირაკლი ოქრუაშვილი ფიზიკურად, რადგან პოლიტიკურად ის და მისი პოლიტიკური ძალა დიდი ხანია მოსკოვშია. მისივე თქმით, განსაკუთრებული ცინიზმია, რომ ამ პოლიტიკურ ძალას „ქართული პარტია" ჰქვია.

***— ყველამ კარგად იცის, რომ ეს არის რუსული პარტია, — განაცხადა გაბაშვილმა. რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის მიმართვას ქართული ჯარისადმი, გოკა გაბაშვილს ესეც სასაცილოდ მიაჩნია.***

— არც პუტინის, არც მედვედევისა და არც ოქრუაშვილის მიმართვით საქართველოს შეიარაღებული ძალები, ქართული არმია არ გახდება რუსული და მოსკოვის არმია. ამიტომ, რამდენიც უნდა, იმდენი მიმართოს, — განაცხადა გაბაშვილმა და დასძინა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის სიტყვებზე ზედმეტი კომენტარები აბსურდულია, რადგან რეალურად რას წამოადგენს ოქრუაშვილი და ვინ არის მისი მხარდამჭერი, ყველამ კარგად იცის.

**გაგრძელება მე-15 გვერდზე**

## ორშაბათი 23 მაისი

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** **კალათბურთი**. საქ. ჩემპიონატის ფინალი **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00** აუდიტორია **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.30** ღამის საუბრები **01.30** მხ. ფილმი "**მგელი**" (**15**) (ჯ. ნიკოლსონი) **03.50** მოამბე **04.10** ცხოვრება მშვენიერია

~~**08.00** დოკ. ფილმი~~ **09.00** საბ. ფილმი "**ორსაუკუნოვანი ადამიანი**" **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფ. "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფილმი "**პატარა შავი წიგნი**" **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი "**გულშემატკივარი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმნდობელი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. "**მორენას ვნება**" **18.45** სერ. "**დანიელა**" **19.45** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **22.00** ნიჭიერი (პირდ.) **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** შუა დღე (გან.) **03.00** პატრული **03.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **11.30** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** შეგირდი (გან.) **23.45** ღამის შოუ (გან.) **01.00** რემონტი (გან.) **01.55** მხ.ფ."**ილაის წიგნი**" (**15**) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) **04.10** მხ. ფილმი "**პრინცესა მუხუდოს მარცვალზე 3**" (კ. ბარნეტი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **12.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **13.00** მხ. ფილმი **14.40** პულსი **15.20** სერ."**ორნახევარი კაცი**" **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **21.00** სერ. "**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **01.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. "**მონტალბანო**" **12.50, 19.30** სერ. "**ცნობილი ოჯახები**" **14.50** ფერისცვალება **15.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ."**სკოლის მეგობრები**" **18.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05** მხ.ფ."**რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე**" **13.35** კონცერტი – ნიჟინარი და სახიობა **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.05** სპექტაკლი "**წუთისოფელი ასეა**" **17.35** დოკ. ფ."ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი "**ნინო**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დრო და ტრადიციები **22.20** დოკ. ფილმი "სიაუშ ქართველი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ.ფილმის გაგრძელება **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** სუფთა დაფა

## სამშაბათი 24 მაისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **13.55** **რაგბი**. **20** წლამდელთა მსოფლიოს ალაფი: სამოა – აშშ **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **17.55** **რაგბი**. **20** წლამდელთა მსოფლიოს ალაფი: საქართველო - კანადა **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00, 01.20** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფ. "**ნაფიცი მსაჯული**" (**15**) (დ. მური) (სუბტ.) **01.00** მოამბე **02.20** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **20.00** მხ. ფილმი "**კვინ ჯონსის გაუჩინარება**" **01.00** მხ. ფილმი "**მგელი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმნდობელი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. "**მორენას ვნება**" **18.45** სერ. "**დანიელა**" **19.45** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.25** მხ. ფილმი "**წერილები ჯულიეტასთვის**" (ა. საიფრიდი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფ. "**შავი ორქიდეა**" (**15**) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **12.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ."**ორნახევარი კაცი**" **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **01.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. "**მონტალბანო**" **12.50, 19.30** სერ. "**ცნობილი ოჯახები**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "სიაუშ ქართველი" **11.30** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ნინო**" **13.45** კონცერტი – ანდრე რიე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი "**ბედნიერი შეხვედრა**" **16.45** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.10** დოკ. ფილმი "განცხადებული სასწაულები" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი "**მონანიება**" **1**-ლი ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სადვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი

## ოთხშაბათი 25 მაისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** მეხსიერება **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. "**ხუთი და**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი სამართალი **18.30** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "დინოზავრების კვალდაკვალ" **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00** ევროპული არჩევანი **23.30** აივანი **00.00** მხ. ფილმი "**დედინაცვალი**" (ჯ. რობერტსი) **02.45** მოამბე **03.05** ევროპული არჩევანი **04.35** ჩვენი ეზო

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **20.00** მხ. ფილმი "**უკეთესი არ არსებობს**" **01.00** მხ. ფილმი "**ნაფიცი მსაჯული**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმნდობელი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. "**მორენას ვნება**" **18.45** სერ. "**ავრორა**" **1**-ლი ს. **19.45** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.45** შეგირდი **00.15** პოკერ რინგი **01.25** მხ. ფ."**ტერმინატორი 3**" (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) **03.30** მხ. ფილმი "**ამერიკელი ცოლი**" (ჯ. ბილი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** პულსი **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. "**მონტალბანო**" **12.50** სერ. "**ცნობილი ოჯახები**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **19.30** სერ. "**უკვალოდ**" **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სადვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**მონანიება**" **1**-ლი ნ. **13.35** კონცერტი – ანს. "შავნაბადა" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფ. "**მაისის თოვლი**" **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**მონანიება**" მე-**2** ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** მოკლ. ფილმი "**ჟოლგა**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სუფთა დაფა **00.40** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი–ქართული სული

## ხუთშაბათი 26 მაისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **13.30** ქართ. ფილმი "**ამბავი ივანე კოტორაშვილისა**" **14.40** ქართული დოკუმენტალისტიკა **17.00** **ფეხბურთი**. საქართველოს თასის ფინალი **19.05** საუკუნის პორტრეტები – ე. თაყაიშვილი **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00, 03.20** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **23.00** კონცერტი–"ქართული ხმები" **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი "**ოკეანის ფსკერზე**" (მ. პფაიფერი) **04.20** მხ. ფილმი "**ბოროტი ქალი**" (**12**) (ჯ. ბლეკი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები – ნ. ჟორდანია **16.30** საუკუნის პორტრეტები – ე. თაყაიშვილი **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი "**ამბავი ივანე კოტორაშვილისა**" **01.00** მხ. ფ. "**დედინაცვალი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმნდობელი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. "**მორენას ვნება**" **18.45** სერ. "**ავრორა**" **19.45** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** შეგირდი (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** ქართ. ფილმი "**უშენოდ მგონი მოვკვდები**" (**12**) **00.00** **შეგირდი** **00.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი (გან.) **02.25** მხ. ფ. "**საიდუმლო სია**" (**15**) (ჰ. ჯეკმენი) (სუბტ.) **04.30** მხ. ფილმი "**სიკვდილის შემდეგ**" (**12**) (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. "**მონტალბანო**" **12.50** სერ. "**უკვალოდ**" **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **19.30** სერ."**ცნობილი ოჯახები**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 0830

დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "მოკითხვა უთხარით საქართველოს" **10.50** დრო და ადამიანები – ნოე ჟორდანია **11.05** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**მონანიება**" მე-2ნ. **13.30** კონცერტი – ანიტა რაჭველიშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ.ფ."**ვალსი პეჩორაზე**" **17.10** დოკ. ფილმი "გაფითრებული თებერვლის ლანდი" **18.05** სადვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** დოკ. ფილმი "ექვთიმე" (პრემიერა) **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** დრო და ადამიანები – მ. კოსტავა **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** დრო და ადამიანები – ზვიად გამსახურდია **22.35** დოკ. ფილმი "ღირსი მამა ექვთიმე ათონელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საფ. სპექტაკლი "**ბედი ქართლისა**" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** დოკ. ფ. "წინანდალი" **01.50** დოკ. ფილმი "ქართველი ლეგიონერი"

## პარასკევი 27 მაისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. "**ხუთი და**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** დამხადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ. ფილმი "**გზაზე**" (**18**) **01.50** მოამბე **02.10** ქართული დოკუმენტალისტიკა **03.10** ან. ფილმი უფროსებისთვის "საბოლოო ფანტაზია: სულების თავდასხმა" **05.00** მხ. ფილმი "**მე დავიპყარი ციხესიმაგრე**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **20.00** მხ. ფილმი "**ყოვლისშემძლე გამომძიებლები**" **01.00** მხ. ფ. "**ოკეანის ფსკერზე**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმნდობელი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **18.45** სერ. "**ავრორა**" **19.45** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ."**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ."**გოგონა გარეუბნიდან**" **23.00** ღამის შოუ **00.00** **შეგირდი** **00.30** მუსიკალური ლიგა (გან.) **01.45** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფილმი "**სისხლიანი მოწმე**" (ს. მაკკუინი) (სუბტ.) **04.30** მხ. ფილმი "**საბედისწერო ნიშნები**" (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **07.15** სერ. "**ბოშები**"

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **21.00** გადაცემა "**105** წუთი" (პირდ.) **22.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **01.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **02.00** პულსი **02.30** მხ. ფილმი

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. "**მონტალბანო**" **12.50** სერ. "**უკვალოდ**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **19.00** მუსიკა **21.00** სერ. "**მონტალბანო**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 0830

დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "წინანდალი" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** დოკ. ფილმი "ექვთიმე" **13.30** კონცერტი – ანს. "შვიდკაცა" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფ."**გაზაფხული საკანში**" **17.00** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.25** დოკ. ფილმი "ლახტის გაკვეთილი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი "**ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი "**ბურთი და მოედანი**" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## შაბათი 28 მაისი

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** პლანეტა ბასტიბუბუ **10.00** მხ. ფილმი "**მერლინის შეგირდი**" **11.30** "ბავშვობანა" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** მოამბე **12.15** მხ. ფილმი "**გრძნობა და გონება**" (კ. ვინსლეტი) **14.30** სპექტაკლი"**თეთრი ფრინველი იკაროსზე**" **15.55** **რაგბი**. **20** წლამდელთა მსოფლიოს ალაფი: იაპონია-კანადა **17.55** **რაგბი**. **20** წლამდელთა მსოფლიოს ალაფი: საქართველო-ზიმბაბვე **20.00** მოამბე **21.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **22.00** ჩემპიონთა ლიგა. წინასაფეხბურთო გადაცემა **22.30** **ჩემპიონთა ლიგა**. ფინალი (პირდ.) **01.20** მხ. ფილმი "**სიღრმე**" (**15**) (ჟ. ბისე) **03.35** წითელი ზონა **04.35** მხ. ფილმი "**გზაზე**" (**18**)

**08.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** ბრიფინგის დროით **17.00** ბრიფინგის დროით **17.30** ჩვენი სამართალი **18.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **19.00** **ძიუდო**. მოსკოვის დიდი მუზარადი. ფინალები **20.30** მხ. ფილმი "**გრძნობა და გონება**" **22.30** ბ. კვერნაძის საიუბილეო საღამო **23.35** წითელი ზონა **00.35** მხ. ფილმი "**გზაზე**"

**08.00** კურიერი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **09.00** სერ. "დაკარგული სამყარო" **10.00** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **11.00** ეკი-ვოკი (გან.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **13.00** მხ. ფილმი **15.30** ქართ. ფილმი **17.30** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **18.45** სერ. "**ავრორა**" **19.50** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **21.00** პ. ს. კურიერი **22.30** **ჩემპიონთა ლიგა**. ფინალი **01.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **03.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00, 09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **08.40** ან. ფილმი "ვენდი ვუ: მეომარი დედოფალი" **10.30** თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** გადაიხადე ნაკლები **11.45** სერ. "**შუა ქალაქში**" **13.15** სოკარ პეტროლიუმ ჯორჯიას წამახალისებელი გათამაშება **14.30** რემონტი **15.00** თბილისი ლაივი **15.40** "**გოლდენ ტალანტ 2011**" დღიური **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **20.30** სპეც. რეპორტაჟი **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** **შეგირდი** **23.45** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.00** ფლეიბოი იმედზე **01.30** სერ. "**შუამავალი**" მე-**7**ს. **02.40** მხ. ფილმი "**თაფლობის თვე**" (ს. მილერი) (სუბტ.) **04.30** მხ. ფილმი "**დამცველი**" (**12**) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.) **07.15** სერ. "**ბოშები**"

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** ფარული კამერა **11.30** პულსი **12.00** სერ. "**ვერონიკა მარსი**" **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **17.30** მხ. ფილმი **19.30** მხ. ფილმი **21.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **01.00** მზის კინოკლუბი

**09.00, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.00** დილის ტალღა **12.00** ფერისცვალება **12.30** სერ. "**მონტალბანო**" **13.15, 19.30** სერ. "**უკვალოდ**" **14.30** დროის ვექტორი **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **21.00** სერ. "**გაზაფხული**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.20** ჩვენი ფონდი **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფ. "გუდის ყვავილი" **10.40** კვირიაკე **12.15** მხ. ფილმი "**ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი**" **13.30** მულტფილმი **15.30** ოპერა "ბოჰემა" **18.05** საფ. არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ქართული ალბომი **19.40** მხ. ფილმი "**ალყა**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კარაბადინი **22.20** თბილისის ტაძრები **22.30** დოკ. ფილმი "პიროს ბროთელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ოვალური ბურთი" **00.30** საფ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები

## კვირა 29 მაისი

**08.00** პლანეტა ბასტიბუბუ **10.00** მხ. ფილმი "**მერლინის შეგირდი**" **12.00, 16.00, 20.00, 03.25** მოამბე **12.15** მხ. ფილმი "**ჩარლის ანგელოზები**" **14.00** **კალათბურთი**. საქ. ჩემპიონატი. სუპერთასი **16.15** ჩვენი ეზო **17.30** ვაშინგტონი დღეს **18.00** ქართ. ფილმი "**ცისფერი მთები**" **18.30** ბიძინა კვერნაძის საიუბილეო საღამო **20.00** აქცენტები **21.00** ცხოვრება მშვენიერია **22.00** საჯარო პოლიტიკა **23.00** პილოტი **00.00** "კავკასიუს ლაივი" **01.00** მხ. ფილმი "**დონი ბრასკო**" (**18**) (ალ პაჩინო) **03.30** აქცენტები

**08.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **15.00** სპექტაკლი "**კვაჭი კვაჭანტირაძე**" **17.00** ისტორია **18.00** დოკ. ფილმი "იმპერატორი ჰიროჰიტო" **19.00** საუკუნის პორტრეტები **20.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **21.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **21.30** მხ. ფილმი "**ჩარლის ანგელოზები**" **23.35** კონცერტი: "ელო" **00.35** მხ. ფილმი "**სიღრმე**" (**15**)

**08.00** "კურიერი პ.ს." დაიჯესტი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **09.00** საბ. სერ. "დაკარგული სამყარო" **10.00** ანა-ბანა (გან.) **11.00** საბავშვო ამბები **11.30** მულტფილმი "მხიარული ფერმა" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ვაკანსია **13.00** მხ. ფილმი **15.20** სერ. "**სიამაყე**" **17.25** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **19.00** ეკი-ვოკი **20.00** ეთამაშე ვარსკვლავს **21.00** კომედი შოუ **22.00** ქართ. ფ. "**საპირალი**" **23.00** ქართ.სერ."**დეტექტივები**" **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **02.20** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00, 09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **08.40** მხ. ფილმი "**იმერული ესკიზები**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** საბ. გადაცემა "ორმაგი რისკი" **12.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **12.35** სერ."**ჰანა მონტანა**"13-14ს. **14.30** სპეცრეპორტაჟი **15.00** საბ. გადაცემა "თავდაყირა" **17.30** ბოიარის ციხესიმაგრე **17.45** ეტალონი **19.05** სერ."**გოგონა გარეუბნიდან**" **20.15** იმედის გმირები **20.30** მუსიკალური ლიგა **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** **შეგირდი** **00.00** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **01.30** სერ."**შუამავალი**" მე-**8**ს. **02.40** მხ. ფილმი "**ჩვევად ქცეული ქორწინება**" (კ. ბესინგერი) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **11.30** პულსი **12.00** სერ. "**ვერონიკა მარსი**" **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** მხ. ფილმი **18.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **19.00** ფარული კამერა **20.00** მზის კინოკლუბი **23.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **03.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.00** დილის ტალღა **12.00, 21.00** სერ."**გაზაფხული**" **13.00, 19.30** სერ. "**უკვალოდ**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **19.30** სერ. "**სალომეა**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დოკ. ფილმი "პიროს ბროთელი" **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "გელინო" **1**-ლი ნ. **11.40** ქართული ალბომი **12.15** მხ. ფილმი "**ალყა**" **13.30** ქართული მულტფილმები **13.50** საფ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.35** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** სუფთა დაფა **16.50** დოკ. ფილმი "ოვალური ბურთი" **17.15** სადვთისმეტყველო საუბრები **18.00** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.05** გზა, რომლითაც ვიარე **19.25** მხ. ფილმი "**იყო შაშვი მგალობელი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კვირიაკე **22.45** დრო და ადამიანები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** კინოკლასიკა **00.05** პატრიარქის ქადაგება **00.40** ოპერა

# ჩემი შვილის გამო მრცხვენია

ყველა დედა ოცნებობს, შვილი ისე გაზარდოს, მისით იამაყოს და სიბერეში მშვიდი ცხოვრება მოიპოვოს. სწორედ ამაზე ოცნებობდა ქალბატონი მედეა, რომელიც ხუთი შვილის დედაა. განსაკუთრებული ბედნიერება მას მეხუთე შვილის — გოგონას დაბადებამ მოუტანა, რომელიც მათ ოჯახში ოთხი ბიჭის შემდეგ გაჩნდა.

დღეს ქალბატონი მედეა ყველაზე უბედური დედაა. მისი ერთადერთი ქალიშვილი პატიმარია და სასჯელს ციხეში ნარკოტიკების შენახვისთვის იხდის. ქალბატონი მედეა არ მალავს, რომ ქალიშვილის გამო უბედურია და რცხვენია, რომ მისი ერთადერთი იმედი ცხოვრებას გისოსებს მიღმა ატარებს.

**ქალბატონი მედეა:**

— ჩემი შვილის გამო მრცხვენია. ზედმეტს არავინ მეუბნება, მაგრამ ვხვდები, რომ ზურგს უკან ყველა ჩემზე ლაპარაკობს. ჩემი ერთადერთი ქალიშვილი პატიმარია. ის სასჯელს ნარკოტიკების შენახვისთვის იხდის. არ ვიცი, მის გათავისუფლებამდე ცოცხალი დავრჩები თუ არა, იმიტომ, რომ ყოველდღე სულ უფრო და უფრო მიჭირს ამ ამბის გათავისება და რეალობასთან შეგუება.

ჩემი შვილი ჩვენს ოჯახში ნაბოლარა, მეხუთე შვილია. ცხოვრებაში იმდენი ტანჯვა გამოვიარე, კიდევ ასეთ სასჯელს ნამდვილად არ ვიმსახურებდი. ჩემი ქმრის ნათესავებს რძლად არ მოვწონდი და ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ოჯახი შეგვექმნა. დედამთილმა სახლში კი შემიშვა, მაგრამ მთელი ცხოვრება გამიმწარა — ერთი დღე არ მახსოვს მასთან ერთად მშვიდად და წყნარად გატარებული. ჩემი მამამთილიც კარგი უნიათო ვიღაც იყო — ერთს არ ეტყოდა თავის ცოლს, რადგან რძლად მიიღე, ერთად ცხოვრებაში ხელსაც ნუღარ შეუშლიო. სულ უკმაყოფილო იყო, სულ იმის მიზეზს ეძებდა, როგორმე ჩემსა და ჩემს ქმარს შორის უთანხმოება ჩამოეგდო. ბევრი ვითმინე, მთელი ცხოვრება ხმა არ ამომიღია. იმედი მქონდა, რომ ჩემი ქმრის სიყვარული ყველაფერს გადამატანინებდა და ასეც მოხდა. ჩემი ქმარი არასოდეს ყოფილა ჩემით უკმაყოფილო, თვითონ მეტყოდა ხოლმე, დედაჩემის ნათქვამს ყურადღებას ნუ მიაქცევ, მთავარია, რომ მე მიყვარხარო. მისი ნათქვამი გულს მიმშვიდებდა და საოცრად მაწყნარებდა.

პირველი ბიჭი რომ გვეყოლა, ჩემი ქმარი სიხარულით ცას ეწია. ჩემმა დედამთილმაც მომილოცა და მოურიდებლად მითხრა, კიდევ კარგი, ბიჭი გაგვიჩინე, თორემ კარგი დღე არ დაგადგებოდაო. ვერ მივხვდი მის ნათქვამს, არ ვიცი ამაში რა იგულისხმა. მინდოდა გოგო-ბიჭი მყოლოდა, ალბათ ყველა დედა ოცნებობს გოგოც ჰყავდეს და ბიჭიც, მაგრამ მეორეც ბიჭი მეყოლა. ჩემი ქმარი ისევ კმაყოფილი დარჩა, მე კი უკვე — აღარ. გოგოზე ვოცნებობდი, იმედი მქონდა, სიბერეში მისით გავიხარებდი.

მესამედ რომ დავორსულდი, ჩემმა ქმარმა მითხრა, სიზმარი ვნახე და მესამეც ბიჭი გვეყოლებაო. არ დავუჯერე და როცა ექოზე მივედი, მითხრეს, გილოცავთ, ბიჭი გეყოლებაო. ძალიან მეწყინა, იმდენად განვიცადე, რომ ტირილი დავიწყე. იმ საღამოს გადავწყვიტე, ეს ბავშვი არ გამეჩინა. ისედაც ვიწროდ ვცხოვრობდით და სამი ბიჭის მოვლას და მერე დაბინავებას ნამვილად ვერ შევძლებდით.

***— ამის შესახებ თქვენმა ქმარმა რა თქვა?***

— ჩემი ქმრისთვის არაფერი მითქვამს. თავს არ ვუვლიდი, ყველანაირ სიმძიმეს ვწევდი, ერთხელ კალციც კი გავიკეთე, რომ მუცელი მომშლოდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამასობაში ოთხი თვის ორსული გავხდი. ვისაც ჩუმად მოგროვილი ფულით აბორტისთვის მივაკითხე, ყველამ უარი მითხრა, უკვე დიდი ხარ და ხელს ვერ დაგადებთო. ჩემსას მაინც არ ვიშლიდი, ყველას ვთხოვდი, იქნებ ვინმე იცოდეთ, ვინც ამ ბავშვს მომაშორებს-თქო. ბოლოს ერთმა ჩემმა შორეულმა ნაცნობმა მიმიყვანა ადამიანთან, რომელმაც პირობა მომცა, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ ამ ბავშვს მომაშორებდა. ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდ ეს ორსულობა შემეწყვიტა.

***— მესამე ბავშვი მოიშორეთ?***

— კი და ძალიან ბედნიერი ვიყავი. იმ საღამოს ცუდად გავხდი, ჩემმა ქმარმა ჩათვალა, რომ ორსულობა გამირთულდა და მეორე დღეს ექიმთან წასვლა მირჩია. მეც წავედი ექიმთან და იქიდან ცუდი ამბით დავბრუნდი — ნაყოფი განუვითარებელი იყო და ვერ შევინარჩუნე-მეთქი, გამოვაცხადე. გულზე მომეშვა, თითქოს დავმშვიდდი, რადგან გოგო მაინც არ მეყოლებოდა, მაშინ არც მესამე ბიჭი მინდოდა. ამასობაში ჩემი დედამთილი ლოგინად ჩავარდა და მისი დაწუნებული რძლის მოსავლელი გახდა. არ ვარ ბოროტი, ამიტომ მისი წყენა გულში არ ჩამიდია და სიკვდილამდე ალალად მოვუარე. გვიან მიხვდა ჩემი დედამთილი, რომ არ ვიყავი ცუდი ადამიანი, სიკვდილის წინ პატიებაც მთხოვა და ზიარებისთვის მღვდლის მოყვანაც ისურვა. ამ გაწამაწიაში ვერ გავიგე, ისე დავორსულდი. როცა ბავშვი გამოძრავდა, მაშინ მივხვდი, რომ ისევ ორსულად ვიყავი.

***— სხვა სიმპტომები არ გქონიათ?***

— არა, რადგან თვეების განმავლობაში მენსტრუაცია ჩვეულებრივად მქონდა. ორსულობაზე ეჭვი არ მიმიტანია. როცა ექიმთან მივედი, უკვე ლამის ხუთ თვემდე ორსული ვიყავი.

***— და ისევ ბიჭზე?***

— დიახ. მივხვდი, რომ ბედმა მწარედ დამცინა, მივხვდი, რომ ბედისწერას ვერსად გავექცეოდი, ამიტომ ამ ბავშვის მოშორებაზე აღარ მიფიქრია. პირიქით, სინანულში ჩავვარდი და მივხვდი, რომ ის ბავშვიც სულ ტყუილად გავწირე. მეოთხედ უკვე ე.წ. გამოთვლით დავორსულდი. ყველა მეუბნებოდა გოგოს გააჩენო, მაგრამ ისიც ბიჭი აღმოჩნდა. შოკში ვიყავი, თითქოს ცხოვრებამ მწარედ დამცინა — გოგოზე ვოცნებობდი და მე კი უკვე ოთხი ბიჭი მყავდა გაჩენილი. თან ისიც მკლავდა, რომ ჩვენი სივიწროვის გამო, შვილების წესიერად აღზრდას და დაბინავებას ვერ შევძლებდი.

***— მეხუთედ დაორსულება როგორღა გაბედეთ?***

— არ ვიცი, ალბათ ესეც ბედი იყო. კისტა მქონდა, როცა მეხუთედ დავორსულდი. ამბობენ, კისტა დაორსულებას ხელს არ უშლისო, მაგრამ ვიცი ქალები, რომლებიც სწორედ კისტის გამო ვერ ორსულდებოდნენ. ისე გავაჩინე მეხუთე შვილი, მისი სქესი არ გამიგია. ექოზე რომ მივიდოდი, წინასწარ ვაფრთხილებდი ექიმებს, რომ ჩემთვის სქესი არ ეთქვათ, არ მინდოდა კიდევ ერთხელ გამხეთქვოდა გული. საბედნიეროდ, მეხუთედ გამიმართლა და ოქროსფერთმიანი, ცისფერთვალება გოგონა გავაჩინე. ჩემზე ბედნიერი არავინ იყო, ჩემს ქმარსაც ძალიან გაუხარდა.

ბავშვს მარიამი დავარქვით. ჩემს დედამთილს მარინა ერქვა და ჩემმა ქმარმა ვითომ მის პატივსაცემად შეარჩია ეს სახელი. პირადად მომწონს ძალიან ეს სახელი, ამიტომ არ გამიპროტესტებია. ყველანი ხელისგულზე ვატარებდით, ძალიან ლამაზი და მშვიდი ბავშვი იყო. როცა სკოლაში მივიყვანეთ, მისი ძმები უკვე დიდები იყვნენ, დაცვასავით უკან დაყვებოდნენ, ზედმეტს ვერავინ უბედავდა. ხომ იცით, ადამიანმა თუ მოინდომა, ყველაფერს გააკეთებს. ჩვენი მკაცრი კონტროლის მიუხედავად, მარიამისთვის ბოლომდე თვალყურის მიდევნება ვერ შევძელით. სკოლაში სწავლას მოუკლო, ცუდი ნიშნები ჰყავდა, მუსიკაზე საერთოდ არ დადიოდა, აცდენდა მხატვრულ ტანვარჯიშსაც. თავიდან ვცადე მე დავლაპარაკებოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ისიც კი ვუთხარი, შენზე ყველაფერი ვიცი-მეთქი, მაგრამ არც ამას შეუშინებია, პირიქით, უფრო ჯიუტად მეუბნებოდა, რაც არ უნდა იცოდე, მთავარი მაინც არ გეცოდინებაო.

არ ვიცი როდის და სად აღმოჩნდა მისთვის შეუფერებელ გარემოში, მაგრამ ჩემი ნაბოლარა შვილი ძალიან შეიცვალა, აგრესიული გახდა, ჩვენი ნათქვამი ყველაფერი უკუღმა ესმოდა, სულ გვიყვიროდა, ჩხუბობდა, ამბობდა, არავის გიყვარვართ, თუ არ გინდოდით, რაღას მაჩენდითო. მაქსიმალურად მოთმინებით ვექცეოდით, რადგან გარდატეხის პერიოდში იყო და ვიცოდით, რომ გაუვლიდა, მაგრამ მისი ახირებები და ისტერიკა აღარ დამთავრდა. მაქსიმალურად ვცდილობდი მისი ძმების ყურამდე არაფერი მიმეტანა, მაგრამ მათ მაინც ყველაფერი გაიგეს და მარიამს სკოლის გარდა ყველგან აუკრძალეს სიარული.

მარიამმა მათი ასეთი საქციელი გააპროტესტა და თავის მოკვლა სცადა — წამლები დალია, მაგრამ დროზე მივუსწარით და გადავარჩინეთ. მივხვდით, რომ მისი ჩაკეტვაც არ იყო კარგი საქციელი და ისევ მივეცით თავისუფლება. მარიამმა ისევ თავი ქუდში იგრძნო და ძველებურად დაიწყო მოქცევა. იძულებული გავხდი ყველაფერი მამამისისთვის მეთქვა. ჩემი ქმარი ძალიან გაბრაზდა, მისაყვედურა, აქამდე ამას რატომ მიმალავდიო და მარიამთან დალაპარაკება გადაწყვიტა. მათი ლაპარაკიც უშედეგოდ და კიდევ უფრო მძიმე შედეგით დასრულდა — მარიამი სახლიდან გაიქცა. ჩემმა ქმარმა თქვა, მისი ფეხი არ ვნახო ჩემს სახლშიო. მაინც დედა ვარ და გულმა არ მომითმინა, მისი ძებნა დავიწყე — სად აღარ ვეძებე, კლასელებში, მეგობრებში, ნათესავებში, მაგრამ მის კვალს ვერსად მივაგენი. სამი დღის შემდეგ თვითონ მოგვაკითხა, არ ვიცი ნასვამი იყო თუ რა სჭირდა, თვალები არეული ჰქონდა და გაუგებრად რაღაცეებს ლაპარაკობდა. მინდოდა გამომეკითხა რა დაემართა ან სად იყო ამდენი დღის განმავლობაში, მაგრამ მისი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე.

სიმართლეს მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა ჩემი შვილი დაიჭირეს და პოლიციიდან დაგვირეკეს, თქვენი ქალიშვილი ჩვენს განყოფილებაშია და მის სანახავად მობრძანდითო. მეგონა მეხუმრებოდნენ, ერთი და იგივე სამჯერ გამოვკითხე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სიმართლეს მეუბნებოდნენ. ჩემი შვილი პოლიციას მაშინ დაუჭერია, როცა ვიღაც ბიჭთან ერთად მაღაზიიდან გამოდიოდა. ჩემს ერთადერთ ქალიშვილს, ჩემს იმედსა და სიამაყეს ჩანთაში ნარკოტიკი ედო. პოლიციელისგან ამ ამბის მოყოლის შემდეგ მივხვდი ჩემი შვილის იმდღევანდელ მდგომარეობას, როცა ჩვენთან მოვიდა და მთვრალს გავდა. იმ ბიჭის შესახებ კი გავიგე, რომ თურმე მისი შეყვარებული ყოფილა, ისიც ნარკომანი და როცა დაკარგული იყო, სწორედ მასთან ცხოვრობდა.

***— რა გითხრათ თქვენმა შვილმა, ის ბიჭი ვინ არისო?***

— მითხრა, ჩემი შეყვარებულია, ერთმანეთი გვიყვარს და დაქორწინებას ვაპირებთო. ის ბიჭი არ ვიცი ვინ არის, არასოდეს მინახავს, არც მისი კლასელია და არც ვინმე ჩვენი ნაცნობი. ჩემი ბიჭები გაგიჟებულები არიან. სულ თვალყურს ადევნებდნენ, სულ კუდში დასდევდნენ, მაგრამ ჩემმა გოგომ მაინც ის გააკეთა, რაც უნდოდა.

***— ბიჭები დაოჯახებული გყავთ?***

— სამი ბიჭი დაოჯახებულია. ორს უკვე შვილებიც ჰყავთ. მეოთხე ბიჭი მუშაობს, მაგრამ ცოლი ჯერ არ ჰყავს. ყველაზე მეტად იმაზე მეცინება, რომ რაზეც ვნერვიულობდი, ყველაზე მეტად ის მოგვარდა უმტკივნეულოდ და უპრობლემოდ და რისი იმედიც მქონდა, მან გამამწარა და დამაქცია. ჩემმა შვილებმა სახლები საკუთარი შრომის ფასად იყიდეს და დღეს ყველა ცალ-ცალკე ცხოვრობს. ჩვენთან მხოლოდ მეოთხე ბიჭია. ისიც ამბობს, ცოლს რომ მოვიყვან, მეც ცალკე გავალო. თითქოს მათი დაბინავების მეშინოდა და თვითონვე დაიბინავეს თავი. ჩემმა გოგონამ კი ყველას თავი მოგვჭრა და შეგვარცხვინა. ყველაფრის მიუხედავად, მარიამი ჩემი შვილია, მიყვარს და მინდა კარგად იყოს. იმედი მაქვს, ეს სასჯელი მისთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება და თავისუფლებააღკვეთილს მაინც აეხილება თვალი, მიხვდება, რა არის ნორმალური ცხოვრება და თავის დანაშაულსაც აღიარებს.

***— მარიამის გათავისუფლება არ გიცდიათ?***

— ჩემმა ქმარმა მის გამოხსნაზე უარი თქვა. ბიჭები თითით საჩვენებელი მყავს და გოგოს გულისთვის მილიციაში როგორ უნდა ვირბინოო. ვემუდარე, ბევრი ვიტირე, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. ჩემს ბიჭებსაც ვეხვეწე, მაგრამ მითხრეს, მაგის საქმე უკვე წასულია, ერთხულ თუ გადავარჩენთ, მერე უარესს გააკეთებსო. მისთვის დახმარების ხელის გაწვდენა არავინ ისურვა. დღეს ჩემი შვილი ციხეშია, მის გამო მრცხვენია. ციხიდან რამდენჯერმე დაგვირეკეს, თქვენს შვილს „ლომკა" აქვს და ძალიან ცუდად არისო. ჩემმა ქმარმა მასთან წასვლა ამიკრძალა, მითხრა, თუ ჩვენთან ყოფნა უნდოდა, აქ არაფერი აკლდა, ახლა მისმა მეგობრებმა უშველონო. ჩუმჩუმად მის ამბებს მაინც ვიგებ — ვიცი, რომ უკეთ არის და წამლის „ლომკაც" დაძლია. ვიცი, რომ ჩემი შვილი ცუდად მოიქცა და ოჯახის წევრებსაც სირცხვილი გვაჭამა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მინდა, რომ გამოსწორდეს და როცა სასჯელს მოიხდის, ჩვენთან დაბრუნდეს.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასიამოვნო რჩევები

fhufbhe] jsvrthlb

გაზაფხულის მოსვლასთან ერთად კანის გარუჯვა აქტუალური გახდა. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, სოლარიუმით გარუჯვა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საკმაოდ საშიშია, თუმცა არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს მკერდის გარუჯვაც.

მკერდის კანზე ცუდად მოქმედებს ტენის დაკარგვა, ამიტომ წესად გაიხადეთ, რომ დაბანის შემდეგ მკერდსა და დეკოლტეს მიდამოში წაისვით დამატენიანებელი კრემი, რაც კანს რბილს და ნაზს გახდის. საერთოდ ყველანაირი ტონიკი, გელი, კრემი, ნიღაბი ხელს უწყობს მკერდის აწევას, სიმკვრივეს, კანის სიგლუვეს. ეცადეთ ეს საშუალებები დღეში 2-ჯერ წაისვათ. წასმა დაიწყეთ ნაზი მოძრაობებით მკერდის ცენტრიდან გვერდებისკენ ყელისა და დეკოლტეს ჩათვლით.



მკერდის მასაჟისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რადგან ძლიერი დაწოლით შესაძლოა სარძევე ჯირკვლები დააზიანოთ. რეკომენდებულია მხოლოდ ჰიდრომასაჟი. ის არ აზიანებს მკერდს, წყალი კი მსუბუქ ზემოქმედებას ახდენს მასზე და წევს ტონუსს. დაარეგულირეთ წყლის ტემპერატურა — საშუალო ტემპერატურის წყალი დისკომფორტს არ გაგრძნობინებთ. წყლის ნაკადი ძლიერი არ უნდა იყოს, რათა მკერდი არ დააზიანოთ, არც სუსტი, რათა სათანადო ეფექტი მიიღოთ. წყლის ნაკადით გაიკეთეთ ზევით მიმართული წრიული მოძრაობები თითოეულ მკერდზე 10-ჯერ, მკერდის ქვეშ მოძრაობა უფრო ინტენსიური უნდა იყოს, რადგან ეს ზონაა პასუხისმგებელი მკერდის სიმაღლეზე. თავები და მის ირგვლივ მიდამო მეტად მგრძნობიარეა, ამიტომ მოარიდეთ წყლის პირდაპირ ჭავლს. მასაჟის ხანგრძლივობა 10 წუთია. შხაპის შემდეგ კარგად გაიმშრალეთ მკერდი და მაკორექტირებელი ბალზამი ან მკვებავი კრემი წაისვით.

**თიკო ნინიაშვილი**

## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● ვაკეთებ ეპილაციას ლაზერის აპარატით. მიღება ჩაწერით. მისამართი: ჩიტაიას 19 (ყოფილი საბჭოს ქუჩა). ტელ: 96-67-03; 895-35-64-13 ექიმი გულიკო ჩიკვილაძე.

● გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთო-ქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

## სწორად უგებთ თუ არა მამაკაცებს




1. თავს კარგად მხოლოდ იმ მამაკაცებთან ვგრძნობ, რომლებიც ჩემზე უფრო განათლებული არიან და უფრო მეტ ფულს შოულობენ.
2. როდესაც მამაკაცი ჩემზე უფრო ნაკლებად არის დაინტერესებული ჩვენი ურთიერთობით, თავი უსარგებლოდ მიმაჩნია.
3. არ მომწონს, როდესაც ვგრძნობ, რომ მამაკაცს რაღაცის ეშინია.
4. მე მგონი, მამაკაცებს უყვართ ქალების გაცურება.
5. მაღიზიანებს, როდესაც მამაკაცი მოდას ყურადღებას არ აქცევს და ჩაცმა არ იცის.
6. მომწონს, როდესაც მამაკაცი ჩემზე ძლიერი და გამოცდილია.
7. არ მსურს რაიმე საერთო მქონდეს მამაკაცთან, რომელიც სხვას უფლებას აძლევს რამე უბრძანოს, ან თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს.
8. მამაჩემი ძლიერი და ნიჭიერი მამაკაცი იყო, მან მომცა ყველაფერი, რაც ოდესმე დამჭირვებია.
9. ემოციების გამოვლენას ქალებს უფრო ვპატიობ, ვიდრე მამაკაცს.

**პასუხები**

*დადებითი პასუხების ოდენობის მიხედვით:*

**0-3 ქულა:** მამაკაცებს აღიქვამთ რეალისტურად, ილუზიების გარეშე, ისინი თქვენს გვერდით თავს ბუნებრივად და ლაღად გრძნობენ.

**4-6 ქულა:** მამაკაცებზე ილუზორული წარმოდგენა გაქვთ. რაც მისი გაღიზიანების და დისკომფორტის მიზეზი შეიძლება გახდეს.

**7-9 ქულა:** არასწორი წარმოდგენა გაქვთ მამაკაცებზე, რაც სერიოზული პრობლემების მიზეზი ხდება.

**გ.თ.**

# ანგელა მერკელს მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელად ევროპელი სურს



გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის პოსტზე ევროპის რომელიმე ქვეყნის წარმომადგენლის ხილვას ისურვებდა.

მერკელი ამ განცხადებით მას შემდეგ გამოვიდა, რაც აშშ-ში სექსუალური ძალადობის ბრალდებებით დაკავებულმა დომინიკ სტროს-კანმა გადადგომის განცხადება გაავრცელა.

კანცლერს არ დაუზუსტებია, თუ კონკრეტულად რომელ კანდიდატურას უჭერს მხარს, მაგრამ დაუმატა, რომ ევროზონის ქვეყნებში არსებული პრობლემების გამო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი უახლოეს მომავალში უნდა დაინიშნოს.

გერმანია ევროზონის ქვეყნებს შორის უდიდესი ეკონომიკის მფლობელია და ამიტომ მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ტრადიციულად მსოფლიო სავალუტო ფონდს ევროპელი ხელმძღვანელობს ხოლმე, მსოფლიო ბანკს — აშშ-ის კანდიდატი.

სამხრეთ აფრიკის, ბრაზილიის და მექსიკის, აგრეთვე რიგი განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები მსოფლიო სავალუტო ფონდს ამ ტრადიციის უარყოფისაკენ მოუწოდებენ. ბრაზილიის წარმომადგენლების თქმით, „ეს ეპოქა დასრულდა“.

ჩინეთის წარმომადგენელმა კი ხუთშაბათს განაცხადა, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის არჩევის პროცესი გამჭვირვალე და კანდიდატების დამსახურებაზე დაფუძნებული უნდა იყოს.

მსოფლიო სავალუტო ფონდის ახალ ხელმძღვანელს ფონდის სამმართველო აირჩევს და მასში უმრავლესობას დიდი შვიდეულის წარმომადგენლები შეადგენენ.

პოტენციურ კანდიდატებს შორის წამყვან კანდიდატად მიჩნეულია თურქეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ქემალ დერვიში. გარდა ამისა, კანდიდატებს შორის არიან ქრისტინ ლაგარდი, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი, გორდონ ბრაუნი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი აქსელ ვებერი, სინგაპურის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ტარმან შანმუგარატნამი, სამხრეთ აფრიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ტრევორ მანუელი, ისრაელის ცენტრობანკის ხელმძღვანელი სტენლი ფიშერი,

დსთ-ის ქვეყნებმა ყაზახეთის ეროვნული ფონდის თავმჯდომარეს, გრიგორი მარჩენკოს დაუჭირეს მხარი.

**გ.თ.**

# სამი ხეობის კაშხალმა ჩინეთს სერიოზული პრობლემები შეუქმნა



ჩინეთის მთავრობამ პირველად აღიარა, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი, სამი ხეობის კაშხლის აშენებამ მთელი რიგი პრობლემები წარმოქმნა, რასაც სასწრაფოდ გადაწყვეტა ესაჭიროება.

კაშხლის მშენებლობა ჩინეთს დაახლოებით 40 მილიარდი დოლარი დაუჯდა და ეკოლოგების სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა. ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ-მინისტრი ვენ ძიაბაო ხელმძღვანელობს და მშენებლობის საკითხებს იგი დიდ ყურადღებას უთმობს. საბჭოს მიერ მომზადებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ სამი ხეობის კაშხლის აშენების შემდეგ შემცირდა წყალდიდობის რისკი, გაუმჯობესდა ნავიგაცია მდინარე იანძიზე და გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება.

მაგრამ განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ საჭირო გახდა რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა მაგალითად, იმ ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება, რომლებიც კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებით აჰყარეს და სხვა ადგილას გადაასახლეს. გარდა ამისა, გეოლოგიური კატასტროფების საფრთხე გაიზარდა.

სამი ხეობის კაშხლის მშენებლობაზე ჯერ კიდევ მაო ძედუნი ოცნებობდა. მშენებლობა 1994 წელს დაიწყო და 2006 წელს დასრულდა.

კაშხლის აგების შედეგად შეიქმნა წყალსაცავი, რომლის სიგრძე 660 კმ-ია. კაშხალი წყლით 2010 წელს აივსო და შედეგად დაიტბორა 13 ქალაქი, 140 დაბა და 1350 სოფელი.

ადგილობრივი ხელისუფლები დიდი ხანია, რაც კაშხლის აგებით გამოწვეულ პრობლემებს უჩივიან. ერთ-ერთ მთავარ ზონას წარმოადგენს რეზერვუარში წყლის დონის ცვალებადობა, რაც ხშირ მეწყრებს იწვევს. გარდა ამისა, მთავრობას შეეძლო იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მეტი დახმარება გამოეყო. კაშხლის აგების შედეგად სახლების დატოვება მილიონზე მეტ ადამიანს მოუხდა.

სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლების თქმით, ევაკუირებული მოსახლეობისათვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, ამასთანავე სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესება არის საჭირო.

სახელმწიფო საბჭოს განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ამ პრობლემების უმეტესობის შესახებ ჯერ კიდევ კაშხლის მშენებლობის დაწყებამდე იყო ცნობილი.

**გ.თ.**

# ჩვენ საქართველოს გათავისუფლებას ვიწყებთ!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აი, „უწყინარი კითხვა-პასუხის“ ფონზე წინა პლანზე ოდიოზური ფიგურებიც აქტიურად გამოდიან.

— საქართველოს მმართველი სისხლში ხელებგასვრილი ნაცები ხელისუფლებას ასე ადვილად არ დათმობენ, — აცხადებს საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე რუსულ სააგენტო „ინტერფაქსთან“ საუბარში.

— საქართველოს დღეს ადგილობრივი ნაცები და პროვინციული ფაშები მართავენ. ისინი ხელისუფლებას, რომელმაც მათ გამდიდრების საშულება მისცა, ასე ადვილად არ დათმობენ, მით უფრო, რომ მათი ხელები სისხლშია გასვრილი. ქართველი ხალხი კი, როგორც კი მას ამის საშულება მიეცემა, მათ ყველაფერზე პასუხს სრული პროგრამით აგებინებს, — აცხადებს გიორგაძე.

გიორგაძის თქმით, ჯერჯერობით საქართველოში დაგეგმილი აქციების განვითარების შესახებ ის პროგნოზს ვერ აკეთებს, თუმცა, აქციების დაწყებას ელოდება.

— მოდით, ქართულ მატარებელს წინ არ გავუსწროთ, დაიწყოს ჯერ აქციები. აი, მაშინ ვილაპარაკოთ პერსპექტივებსა და წარმატებებზე, — აცხადებს გიორგაძე.

მის განცხადებას „სახალხო კრების“ ერთ-ერთ ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი გამოეხმაურა.

— სადაც მე დავდგები, იქ გიორგაძის მსგავსი პირები ვერ გამოჩნდებიან. 21 მაისს დავიწყებთ ხელისუფლების შეცვლის პროცესს და ამ ბრძოლაში ჩემ გვერდით იგორ გიორგაძე არ იქნება, — განაცხადა ბათიაშვილმა.

მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელ ეკა ბესელიას განცხადებით, თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, მისი საქართველოში ჩამოსვლა ძნელად წარმოსადგენი და საფრთხის შემცველია.

— ეს ძნელად წარმომიდგენია, რადგან მისი დაბრუნება ძალიან დიდ რისკთან არის დაკავშირებული, მათ შორის — მისი სიცოცხლის უსაფრთხოებასთან. ამიტომ ძნელად წარმოსადგენია, როგორ მოხდება, რომ ის ბარიკადებთან დადგება. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ლეგალურად შემოსვლის საშუალება უნდა ჰქონდეს. იმ სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე კი, რომელიც მას აქვს, ეს საფრთხის შემცველი ნაბიჯია, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ იმოქმედებს ოქრუაშვილის შესაძლო ჩამოსვლა დაგეგმილ საპროტესტო აქციებზე, ბესელიას თქმით, „საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც ქუჩაში გამოდის და კრიტიკულად არის განწყობილი, შეიძლება ოქრუაშვილის ჩამოსვლა დამატებითი მოტივაცია აღმოჩნდეს“.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ გიორგი თარგამაძის შეფასებით კი პოლიტიკა მთავრდება იქ, სადაც ბრძოლის ველზე შეიარაღებული ადამიანი გამოჰყავთ. როგორც თარგამაძემ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გუშინ გავრცელებული მიმართვის კომენტირებისას განაცხადა, ნებისმიერი პოლიტიკური დაპირისპირება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის, მაგრამ პოლიტიკა მთავრდება იქ, სადაც შეიარაღებული ადამიანი ძალით გამოჰყავთ ბრძოლის ველზე. მისი თქმით, ეს ველი უკვე არა პოლიტიკურია, არამედ მართლაც ბრძოლის ველად იქცევა.

— სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიაში გვაქვს არაერთი მაგალითი, როდესაც მსგავსმა უპასუხისმგებლო მოქმედებამ და პოლიტიკოსების მიერ პროვოცირებულმა სამხედრო დაპირისპირებამ გამოიწვია ქვეყნისთვის საბედისწერო და სავალალო შედეგები, რასაც დღესაც ვიმკით, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ და დასძინა, რომ სრულიად მიუღებელია არათუ ასეთი რამის მცდელობა, არამედ მოწოდებაც კი.

მისი თქმით, ადამიანებს, რომლებიც ღირსეულად ატარებენ თავიანთი ქვეყნის დამცველის მუნდირს, არანაირი დამატებითი ახსნა-განმარტება არ სჭირდებათ, რომ ეს იარაღი ხელში საქართველოს მტერთან საბრძოლველად აიღონ და არა საკუთარ მოქალაქეებთან დასაპირისპირებლად.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 3. რაიონული ცენტრი აფხაზეთში; 4. საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში ფაშისტური ოკუპაციის დროს; 5. ზღვის ფრინველი; 6. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 8. ფეხსაცმლის მკერავი ძველად; 11. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 14. დამკაბადონებელი ოსტატი სტამბაში; 15. კარსტული მღვიმე იმერეთში; 16. ქალის არაძვირფასი სამკაულები; 17. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 19. სამაგიეროს გადახდა; 21. ბრაზილიური ცეკვა; 22. მინერალური წყალი იმერეთში.

**თარაზულად:** 1. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 5. ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 7. მდინარე სამეგრელოში; 9. ქართველი მხატვარი ქალი; 10. ფასის დაკლება პროდუქტზე უხარისხობის გამო; 12. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 13. დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება; 16. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დათვი; 17. ჩეხეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 18. საფრანგეთის პირველი ლედი; 20. ათკაპიკიანი მონეტის სახელწოდება ძველად საქართველოში; 22. რამდენიმე თოფის, ქვემეხის ერთდროული გასროლა; 23. ზოგიერთი სასურსათო საქონლის საერთო სახელწოდება; 24. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 25. არათვითმავალი სამდინარო გემი.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ტოშიბა“; 2. სინაი; 3. სვინგი; 4. ალმასი; 6. ბოქაული; 9. თეთრი; 11. სევილია; 15. სუბმარინა; 16. სამაია; 17. ხიზილალა; 19. ილუმენი; 21. თაკვერი; 22. შუამთა.

**თარაზულად:** 5. ბოლივუდი; 7. ოკულარი; 8. ამქარი; 10. მექსიკა; 12. „სილვა“; 13. ეგერი; 14. „ბორისპოლი“; 18. ჩეიზი; 20. ჯალიტა; 23. მულამი; 24. კაკა; 25. ანიელი; 26. თონე; 27. პროჟექტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. „ნეირატი“; 3. ლუიზიანა; 4. ავანტიურა; 5. ვაიდა; 6. ალგეთი; 8. ყმუილი; 11. დენტინი; 14. იერუსალიმი; 15. „კუკარაჩა“; 16. ჰუმანიზმი; 17. კარტიე; 19. ბოკვერი; 21. მანგო; 22. ნეზვი.

**თარაზულად:** 1. ენოლოგია; 5. ვეძა; 7. მწყერი; 9. ცივილიზაცია; 10. გუდაუთა; 12. ათანელი; 13. ალუმინი; 16. ჰონოლულუ; 17. კალა; 18. ობამა; 19. აქსაკალი; 22. ნიავი; 23. ავენიდა; 24. ზარზმა; 25. გეიმი.

## სამგლოვიარო განცხადებები

ანზორ მაისურაძე, ვალიკო გრძელიშვილი, ქუჩი სხირტლაძე, ნოდარ სხირტლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი

**ზურაბ კერვალიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და მთლიანად საქართველოს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**21 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6766 |
| ევრო | 2,4901 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7672 |
| რუსული რუბლი | 0,0612 |

## ამინდის პროგნოზი 21 მაისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 11-15

**დასავლეთ საქართველო:** საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-28, ღამით — 16-17

**სამხრეთ საქართველო:** საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-18, ღამით — 5-13








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## გაბელიამ კანდიდატები შეარჩია

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ოთარ გაბელიამ გამოაცხადა იმ 26 ფეხბურთელის სია, რომლებიც 3 ივნისს ხორვატიასთან ევროშესარჩევი მატჩისთვის მოემზადებიან.




აქამდე მხოლოდ 8 ლეგიონერის სია იყო ცნობილი, ახლა კი მათ 18 ფეხბურთელი დაემატა. გაბელია ამ 26-დან 18 ფეხბურთელს შეარჩევს, რომელთაც ხორვატიაში წაიყვანს. მანამდე კი თბილისში იქნება ვარჯიშები. 21-წლამდელები 23 მაისს, 13:00 საათზე შეიკრიბებიან სასტუმრო „ბომონდ გარდენში", თუმცა — ჯერ არასრული შემადგენლობით.

სრული სია კი ასეთია:

მეკარეები: გიორგი მაკარიძე (ლე მანი, საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა (დინამო), გიორგი ნადირაძე (დინამო-2);

მცველები: ივანე კანდელაკი (ოლიმპი), ლაშა კალანდაძე (გაგრა), სოლომონ კვირკველია (რუბინი, რუსეთი), ნიკოლოზ აფაქიძე (ბაია), ლევან კაკუბავა (დინამო), დავით ხოჭოლავა (სიონი), ნიკოლოზ ჯიშკარიანი (გაგრა), თეიმურაზ შონია (სპარტაკი);

ნახევარმცველები: ნიკა ძალამიძე (ვიძევი, პოლონეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), ზაქარია ბეგლარიშვილი (ფლორა, ესტონეთი), გიორგი სალარიძე (უგუნდო), თორნიკე თარხნიშვილი (ტორპედო), ნიკა კვეკვესკირი, გიორგი თექთურმანიძე ირაკლი ლექვთაძე (ყველა დინამო), ვალერი ყაზაიშვილი (სიონი), ზვიად სიხარულია (ბაია);

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე, ირაკლი შეყილაძე (ორივე ემპოლი, იტალია), გიორგი ჭანტურია (ვიტესი, ჰოლანდია), ირაკლი ქობალია (ბაია), ნიკოლოზ საბანაძე (ტორპედო).

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 21 მაისი — შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — დღეს საკუთარი თავის რეალიზებას შეძლებთ, არ დაყაროთ ფარ-ხმალი. **კურო** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** — მთავარი საქმე წინ არის, არ მოდუნდეთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, ზედმეტად ნუ იაქტიურებთ. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, მთავარია მოინდომოთ. **ღრიანკალი** — ყურადღების ცენტრში ხართ და ეს გახარებთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, წადით მეგობრებში. **თხის რქა** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მერწყული** — თქვენს ცხოვრებაში ცვლილებაა, გარდატეხის პერიოდი იწყება. **თევზები** — ჩაფიქრდით და სათანადო დასკვნასაც გამოიტანთ.

### 22 მაისი — წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **ქალწული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **ღრიანკალი** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, პრობლემები აღარ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, იაქტიურეთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი პოზიცია დააფიქსირეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 16 მაისიდან იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 5

სერვანტესი

გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი


## იუმორი



— ალო, გამარჯობათ, თქვენი ზედა მეზობელი გაწუხებთ.

— დიახ, ვიცი, დიდი ხანია თქვენთვის ამის თქმას ვაპირებდი...

* * *

— ბოქსის ყველაზე მთავარი წესი: ერთხელ დაფიქრდი, ასჯერ დაარტყი...

* * *

— ბურატინომ შესანიშნავად იცოდა, თუ რატომ წვავდა ინკვიზიცია ერეტიკოსებსა და ალქაჯებს კოცონზე. ის ვერ გაეგო, შეშამ რა დააშავა...

* * *

ტრავმატოლოგიური განყოფილება. ექიმი მედდას ეუბნება:

— ჩაწერე, თავის ქალას ტრავმა.

— იქნებ ქალა-ტვინის ტრავმა ჩაგვეწერა?

— სად აქვს ტვინი, თუკი ცოლის დაბადების დღეზე საყვარელთან ერთად მივიდა...

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 2. ლუთერანული ეკლესია; 3. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 4. გარდატეხილი ან არეკლილი სხივების გადაკვეთის წერტილი; 6. რომაული სახლების შიდა, დახურული ეზო; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. მუსლიმანთა რელიგიური სამართალი; 15. აჭარული ცეკვა; 16. იტალიური სპორტული ავტომობილი; 17. წითელი ფერის, მშრალი, ქართული სამარკო ღვინო; 19. ქართული ძილისპირული; 21. ხელის, ზამბარიანი სასწორი; 22. იმრე კალმანის ოპერეტა.

**თარაზულად:** 5. რაიონული ცენტრი კახეთში; 7. ფულის ერთეული მონღოლეთში; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 10. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 12. ქიშმიშის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 14. წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მორწმუნე; 18. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 20. სამურაების მეთაური; 23. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 24. კოლოს ძველი ქართული სახელწოდება; 25. ცნობილი იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 26. ჩინელ იმპერატორთა დინასტია; 27. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა




ლურჯი წითელი ყვითელი შავი